გიორგი გორგაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში და მათი დაძლევის გზები

თბილისი 2014

რედაქტორი:

ნანული არევაძე

გამომცემლობა
„სვეტი“

ISBN 978-9941-9368-1-4



ავტობიოგრაფია

გიორგი გორგაძე დაიბადა 1982 წლის 8 იანვარს ქალაქ თბილისში. 2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ მცხეთის №1 საშუალო სკოლა.

2006 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა „თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტი“-ის დიპლომატიურ-იურიდიული ფაკულტეტი.

2011 წელს დაიცვა დისერტაცია „თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტ“-ში, სადაც მას მიენიჭა ეკონომიკურ-მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აქვს სამუშაო გამოცდილება არასამთავრობო, საბანკო და პარტიულ სექტორში. არის დაოჯახებული.

შესავალი

თემის აქტუალობა. განვითარებად ქვეყნებს ეკუთვნით დედამიწის ტერიტორიების უდიდესი ნაწილი და ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 4/5. მათი რაოდენობა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გაიზარდა, ბოლო პერიოდში მათ შემადგენლობაში აღმოჩნდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უმეტესობა.

განვითარებად ქვეყნებში არსებული პრობლემები ძალზე მნიშვნელოვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათ გააჩნიათ ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის, ლოკალური, ან გლობალური მნიშვნელობის ბევრი საერთო პრობლემაც, რომელთა დაძლევის ინდივიდუალური შესაძლებლობები სულ უფრო პრობლემატური ხდება.

ამდენად განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის კვლევა ამა თუ იმ ასპექტში ფრიად მნიშვნელოვანია, სამწუხაროდ აღნიშნული პრობლემები თეორიულ ასპექტში დღეის მდგომარეობით ნაკლებად არის შესწავლილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თემის აქტუალობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

თემის ძირითადი მიზანი და ამოცანები.

ნაშრომის ძირითადი მიზანია: გლობალიზაციის პირობებში განვითარებადი ქვეყნების არსის, სპეციფიკური ნიშნებისა და სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების ახლებური გააზრება და მის საფუძველზე აღნიშნული ქვეყნების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მათი სოციალ-

ურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზების გამონახვა.

საკითხი მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

– განვითარებადი ქვეყნების არსისა და სპეციფიკური ნიშნების განსაზღვრას თანამედროვე თვალთახედვით;

– განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების სიღრმისეულ ანალიზსა და მის საფუძველზე მათი დაძლევის გზების ძიებასა და გამოვლინებას;

– პოსტსაბჭოური განვითარებადი ქვეყნების, ტრადიციული განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებულ თავისებურებების სიღრმისეულ ანალიზს;

– პოსტსაბჭოური განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსაზღვრას გლობალიზაციასთან შესაბამისობაში;

– განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზების ძიებას გლობალიზაციასთან კავშირში;

– განვითარებადი ქვეყნების სოციალური პრობლემების დაძლევის გზების შემუშავებას გლობალიზაციის პირობებში.

თემის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

წიგნში განხილული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების მეცნიერული კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტური გამოკვლევები და აღნიშნული პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები.

გამოყენებული იქნა ასევე ცალკეული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისა და საქართველოს ცალკეული სამინისტროების მასალები, ეკონომიკური პროფილის კვლევითი დაწესებულებების ფონდებში დაცული მეცნიერული გამოკვლევები, პერიოდული პრესისა და ინტერნეტის მასალები და ა.შ.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე: ნაშრომის ძირითადი შედეგებიდან შეიძლება გამოიყოს:

– არსებული თეორიული შეხედულებებისა და პრაქტიკული მასალების ანალიზის საფუძველზე განვითარებადი ქვეყნების არსისა და სპეციფიკური ნიშნების ახლებური განსაზღვრა;

– ყოველ ქვეყანაში, საჭიროება მოითხოვს, ადგილობრივი პირობების შესაბამისი ისეთი გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობის დასაბუთებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის რამდენადმე გადამეტება დემოგრაფიული ზრდის ტემპებზე, დემოგრაფიული ზრდის გარკვეული ნორმის ჩარჩოებში მოქცევის პირობებში;

– ქვეყნების უმრავლესობაში საჭიროა ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ზოგიერთი მათგანის ტრადიციული კულტურული ფასეულობების თანდათანობით შეცვლას;

– ავტორისეული მოსაზრება მსოფლიოს მომავალი ორგანიზებული მოწყობის თაობაზე.

მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგნაირად:

– განვითარებადი ქვეყნების არსისა და სპეციფიკური ნიშნების ახლებული განსაზღვრა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკურად ჩამორჩენილია, ეკონომიკის სტრუქტურა არქაულია, მასში მაღალი ხვედრითი წილით სოფლის მეურნეობაა წარმოდგენილი, რომელსაც ახასიათებს კაპიტალიზმამდელი წარმოებითი ურთიერთობების დიდი მასშტაბები, ცხოვრების დაბალი დონე, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობა, განუვითარებელი ინდუსტრიული ბაზა, სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, განათლების დაბალი დონე (ხშირ შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარობა) ჰუმანური განვითარების (HDI) საშუალო ან დაბალი ინდექსი, ეთნიკური სიჭრელე, არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, ძალიან დაბალი შრომის ნაყოფიერება;

– უმუშევრობა და სიღარიბე განხილულია, როგორც განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის უპირველესი პრობლემა, რომელიც ამ ქვეყნებში იმდენად მასობრივი მოვლენაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად არის გადაქცეული. მათ დასაძლევად აუცილებელია, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, სწორი, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომლის განხორციელება ყოველმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს განვითარებული ქვეყნებისა და ზოგიერთი უკვე წარმატებული განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება და, ადგილობრივი პრობლემებიდან გამომდინარე, სწორად უნდა განისაზღვროს ქვეყნის სტრატეგია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, ყოველი ქვეყნის ძლიერი და ის სუსტი მხარეები, რომელთა აღმოფხვრაც პირველ რიგში

უნდა განხორციელდეს, იმოქმედოს არჩეული სტრატეგიის შესაბამისად და იბრძოლოს მისი რეალიზაციისათვის.

– განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში (განსაკუთრებით აფრიკასა და აზიაში) არსებული კულტურის სისტემა მიჩნეულია, როგორც კაპიტალის დაგროვების ხელშემშლელი ფაქტორი, რამდენადაც ტომის კანონები გაჭირვებულთათათვის დახმარებას ყველასათვის სავალდებულოდ ხდის.

აღნიშნულ პირობებში არავის არ შეუძლია კაპიტალის დაგროვება იმ აუცილებელი მოწყობილობის შესაძენად, რომელიც სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის არის საჭირო.

მაშასადამე, აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და განაპირობოს ზოგიერთი მათგანის კულტურული ფასეულობების თანდათანობით შეცვლას;

– საკუთრებითი უფლებების დაცვა კანონისა და სახელმწიფოს მიერ, მიჩნეულია მეტად მნიშვნელოვნად განვითარებადი ქვეყნებისათვის, რამდენადაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ იქ, სადაც საკუთრებითი უფლებები დაცულია, ყველა გზა გახსნილია მეწარმეობის განვითარებისათვის (სხვა საჭირო პირობების არსებობის დროს). ხოლო საკუთრებითი უფლებების სუსტი დაცვის ან საერთოდ დაუცველობის პირობებში არ არსებობს სტიმულები წარმოებასა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისათვის და შესაბამისად მეწარმეობის განვითარების მოტივაცია.

– ეკონომიკის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღების

მნიშვნელოვან გზად განვითარებად ქვეყნებში მიჩნეულია ეკონომიკური საქმიანობის დაფარული ნაწილის – ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, მისი ჩრდილიდან გამოყვანა და ქვეყნის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა ჩრდილოვან ეკონომიკასთან უკომპრომისო ბრძოლისა და მისი წარმოშობის ხელშემწყობი მიზეზების თანდათანობითი აღმოფხვრის საფუძველზე.

– საგარეო ვალი განხილულია, როგორც განვითარებადი ქვეყნების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. აღნიშნული ვალების გადახდის შესაძლებლობა ქვეყნების უმეტესობას არ გააჩნია, რის გამოც ეს დაგროვილი დავალიანებები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა ჩამოაწერონ მათ, რასაც ესწრაფვის განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა.

– განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიჩნეულია კლანური ხელისუფლების არსებობა, რომელიც გამორიცხავს დემოკრატიულ არჩევნებს და აკანონებს ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემას. მის დასაძლევად საჭიროა შესაბამისი რეფორმების გატარება და მმართველობის დემოკრატიული გზა.

– განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში არსებულ სოციალურ პრობლემებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანად ის პრობლემებია მიჩნეული, რომლებიც არსებობს ჯანმრთელობის დაცვის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განათლების მიღების სფეროებში, და რომელთა დასაფინანსებლად მათ სახსრები არ ჰყოფნით., რაც იწვევს მათ ბრძოლას ახალი მსოფლიო წესრიგისათვის, რომლის შედეგადაც მათ ვალები უნდა ჩამოეწეროთ და უნდა გაეზარდოთ დახმარებების მოცულობა.

– ავტორის მიერ დასაბუთებულია, რომ სოციალური პროგრამების დაფინანსებას პირველ რიგში ეკონომიკის გაძლიერება და შემოსავლების გაზრდა სჭირდება. ავტორს ასევე მიაჩნია, რომ განვითარებადი ქვეყნების წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობა რამდენადმე პრობლემატურია ფინანსურად, თუმცა სრულიად შესაძლებელი ცოცხალი ძალის გამოყენების თვალსაზრისით.

– ავტორის აზრით, ცალკეულ რეგიონალურ გაერთიანებებში მონაწილეობა მიჩნეულია ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის გზად.

– ჩვენი პლანეტის განვითარებადი ქვეყნების ყველა პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივად, ავტორის მიერ მომავლისათვის შემოთავაზებულია იდეა, რომლის თანახმად ყველა ქვეყანა, საკუთარი დამოუკიდებლობის დათმობის ფასად, უნდა გახდეს ერთადერთი სუპერ ზესახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიისა და სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის დროს, აგრეთვე შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის შესაბამისი თემატიკის მიხედვით. ნაშრომის ცალკეული თავებისა და პარაგრაფების გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის პროფილის სალექციო კურსებში.

თავი I. განვითარებადი ქვეყნის არსი, სპეციფიკური ნიშნები და სოციალურ-ეკონომიკური ფინაალმდეგობები

1.1. განვითარებადი ქვეყნის არსი და სპეციფიკური ნიშნები

განვითარებად ქვეყნებს ჩვენი პლანეტის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ასეთი ქვეყნები უმეტესად გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. უფრო კონკრეტულად, ამის შესახებ საუბარია წიგნში „მსოფლიო ეკონომიკა“, რომელშიც აღნიშნულია რომ „განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის პერიფერიას. აქ შედის აფრიკის 58 ქვეყანა (ჩრდილოეთი აფრიკის – 7 და საჰარის სამხრეთის 51 ქვეყანა), ამერიკის – 49 (ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის – 35 და სამხრეთ ამერიკის 14 ქვეყანა), აზიის – 49 (დასავლეთი აზიის – 15, ცენტრალური აზიის – 8, სამხრეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის 26 ქვეყანა), ოკეანეთის – 28“ [1, გვ. 165-166].

ინტერნეტში მოცემულია განვითარებადი ქვეყნების შემდეგი დახასიათება:

ტერმინში „განვითარებადი“ მოიაზრება ისეთი ქვეყნები, სადაც შედარებით დაბალი ცხოვრების დონეა, განუვითარებულია ინდუსტრიული ბაზა და ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI) საშუალო ან დაბალია. ტერმინმა ხმარებიდან განდევნა შედარებით ადრეული ცივი ომისდროინდელი „მესამე მსოფლიო“. რომელმაც დროთა განმავლობაში ნეგატი-

ური ასოციაცია შეიძინა“ [2].

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მოცემულია განვითარებად ქვეყნებზე საინტერესო განმარტება, კერძოდ, „ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნები, რომლებმაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, შექმნეს ეროვნული სახელმწიფოები და არ შედიან იმპერიალიზმის პოლიტიკურ სისტემაში. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ისინი დღესაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან. მაგალითად, მათ სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა 20–25-ჯერ, ხოლო მრეწველობაში 5–7-ჯერ დაბალია განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ასეთი ჩამორჩენილობის ძირითადი მიზეზია კოლონიური სისტემისგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის ცალმხრივი სტრუქტურა. განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს კაპიტალისტური სამყაროს მოსახლეობის 75%, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი კი კაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციაში მხოლოდ 11% უდრის. მეურნეობა ძირითადად ერთდარგიანია, მაგალითად, ვენესუელის ექსპორტის 93% ნავთობზე მოდის; ბრაზილიის ექსპორტის 53% – ყავაზე, ლიბერიის ექსპორტის 86% – კაუჩუკსა და რკინის მადანზე და ა.შ. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ჩამორჩენილობას აძლიერებს აგრეთვე არაეკვივალენტური გაცვლა, ადგილობრივი იაფი სამუშაო ძალის ექსპლუატაცია, კატასტროფულად მზარდი დავალიანება, რაც გამოწვეულია იმპერიალისტების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის გაწეული ე.წ. „დახმარებით“. განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მრავალწყობიანი

ეკონომიკა გვაროვნულიდან კაპიტალისტურამდე. კაპიტალისტური მეურნეობა შედარებით უმნიშვნელოა, ჭარბობს წვრილსაქონლური და ნატურალური, რაც ამუხრუჭებს ეკონომიკურ წინსვლას.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ტემპები დამოკიდებულია იმაზე, თუ განვითარების რომელ გზას აირჩევენ ისინი – კაპიტალისტურს თუ არაკაპიტალისტურს“ [3, გვ. 679].

ძალზე საინტერესოა განვითარებადი ქვეყნების არსისა და სპეციფიკური ნიშნების განმარტება, რომელიც მოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის მიერ გამოცემულ წიგნში **ეკონომიკური თეორია,** რომლის მიხედვით „მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყოფილი კოლონიური, ნახევრად კოლონიური და დამოკიდებელი ქვეყნები, რომლებშიც 1988 წლის მონაცემებით ცხოვრობდა მსოფლიოს აქტიური მოსახლეობის 74%. ამ ქვეყნებისათვის საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე, ეკონომიკის არქაული სტრუქტურა, სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, განათლების სუსტი განვითარება, ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის მაღალი წილი, კაპიტალიზმამდელი ურთიერთობების დიდი მასშტაბით შენარჩუნება, ეკონომიკური დამოკიდებულება და ა.შ. ამ კრიტერიუმებით გაერთიანებული ქვეყნები ქმნიან ეგრეთ წოდებულ განვითარებადი, ანუ სუსტად განვითარებული ქვეყნების ჯგუფს, რომელსაც „მესამე სამყაროსაც“ კი უწოდებენ. ამავე დროს, აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ქვეყნები ძლიერ

განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათგან ზოგი განთავისუფლების შემდეგ დაადგა რევოლუციურ-რადიკალურ გზას, ზოგში კაპიტალისტური ურთიერთობა დამკვიდრდა, ზოგმა ნამდვილად დამოუკიდებელი პოლიტიკა აირჩია, სხვები დღემდე დიქტატორული რეჟიმის ტყვეობაში რჩებიან. ერთი სიტყვით, ამ მხრივ საკმაოდ ჭრელი სურათია" [4, გვ. 511].

განვითარებად ქვეყნებს, ასევე, მესამე სამყაროს ქვეყნებსაც უწოდებენ. როგორც ცნობილია, ეს თეორია, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერს მაო ძედუნს ეკუთვნის, რომელმაც ამ თეორიის მიხედვით მსოფლიო დაყო სამ სამყაროდ. მან, თავდაპირველად პირველ სამყაროში გააერთიანა სოციალისტური ქვეყნები, მეორეში კაპიტალისტური, მესამეში კი აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი სახელმწიფოები. შემდეგ, მან აზრი შეიცვალა. პირველ სამყაროში გააერთიანა საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, მეორეში განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, მესამეში ზემოთ აღნიშნული განვითარებადი ქვეყნები.

განვითარებად ქვეყნებს მესამე სამყაროს უწოდებს აგრეთვე ინტერნეტში მოცემული შემდეგი განმარტებაც, რომლის მიხედვით მესამე სამყარო არის „ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დეკოლონიზებული ქვეყნების, ჩვეულებრივ, სუსტი და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების კრებსითი სახელწოდება, რომელიც მოიცავს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. ეს ცნება გაჩნდა ცივი ომის პერიოდში, რათა ზემოთ ნახსენები ქვეყნები, ერთი მხრივ, განვითარებული კაპიტალისტური სახელმ-

წიფოებისაგან („პირველი სამყარო"), ხოლო მეორე მხრივ, კომუნისტური ბლოკისაგან („მეორე სამყარო") განესხვავებინათ. მესამე სამყაროს (მ.ს-ს.) ქვეყნებს ახასიათებს არამყარი უსაფრთხოება, ეთნიკური სიჭრელე, სასაზღვრო დავები, არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, პატრიმონიალური ან ნეოპატრიმონიალური მმართველი რეჟიმები, კოლონიური და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები, რომლებშიც სოფლის მეურნეობა და მოპოვებითი დარგები ჭარბობს. საერთაშორისო ურთიერთობებში მესამე სამყაროს ქვეყნები (მ.ს-ს.) თავიანთი მიზნების მიღწევას ტრადიციულად ზესახელმწიფოებთან ალიანსების, საერთაშორისო კარტელების (მაგ. ოპეკი), მიუმხრობლობის მოძრაობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, გაეროს) გამოყენებით ცდილობდნენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ მესამე სამყაროს (მ.ს-ს.) ცნებამ ზუსტი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავაც გამოიყენება. საკუთრივ მესამე სამყარო (მ.ს.) მეტად არაერთგვაროვანია, რაც ცნების ანალიტიკურ ფასეულობას ეჭქვეშ აყენებს" [5].

განვითარებად ქვეყნებზე განმარტებები მოცემულია, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონის ცნობარში და განსაზღვრულია ნაშრომში „განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა", რომელშიც მოცემულია, **განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციის განმსაზღვრელი ნიშნები:** მესამე მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურის ძირითადი მაჩვენებლები. ქვეყნების სიდიდე, ისტორიული განვითარების თავისებურებანი, მატერიალური და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო და კერ-

ძო სექტორის როლი ეკონომიკაში და მათი თანაფარდობა. საწარმოო სტრუქტურების თავისებურებანი, საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხი. ქვეყნის ინსტიტუციური და პოლიტიკური სტრუქტურა.

განვითარებადი ქვეყნების საერთო მახასიათებელია ცხოვრების დაბალი დონე, (ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების სიდიდე; მთლიანი ეროვნული პროდუქტი და მთლიანი შიდა პროდუქტი; შემოსავლების ზრდის ტემპები; ეროვნული შემოსავლის განაწილება; სიღარიბის მასშტაბები; ჯანმრთელობის მდგომარეობა; სახალხო განათლება), მწარმოებლურობის დაბალი დონე, მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი და მისი შრომისუუნარო ნაწილის შენახვის მძიმე პირობები (შობადობის საერთო კოეფიციენტი და სიკვდილიანობის დონე), უმუშევრობის და არასრული დასაქმების მაღალი დონე (არასრული დასაქმება, ხილული უმუშევრობა); სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის ექსპორტზე მზარდი დამოკიდებულება, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში დამოკიდებული, დაქვემდებარებული მდგომარეობა“ [6, გვ. 5-6].

ჩვენი აზრით, ინტერნეტში განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით მოცემული განმარტება მცირეა, მაგრამ სწორია და კონკრეტული. ამდენად ვეთანხმებით აღნიშნულ განმარტებას.

შედარებით ფართოდ განმარტება განვითარებად ქვეყნებზე მოცემულია **ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში,** მაგრამ დროის გასვლის გამო ეს განმარტება გარკვეულწილად მოძველებულია. ვინაიდან ეს წიგნი 1977 წელს არის

გამოცემული და მასში მოყვანილი ციფრები გარკვეულწილად შეცვლილია. ასევე, განვითარებადი ქვეყნების მეურნეობები დღეისათვის მეტ-ნაკლებად განვითარდნენ და მრავალდარგოვნად ჩამოყალიბდნენ. (ანუ მათი მეურნეობა ერთდარგიანი აღარ არის).

მცდარია შეხედულება თითქოს განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ტემპები დამოკიდებულია იმაზე, თუ განვითარების რომელ გზას აირჩევენ ისინი – კაპიტალისტურს თუ არაკაპიტალისტურს. ჩვენი აზრით, ყველა ღირსეულმა სუვერენულმა განვითარებადმა ქვეყანამ მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის პირველ რიგში უნდა აირჩიოს გზა ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.

სხვა დანარჩენი ამ განმარტებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია და საყურადღებო.

საკმაოდ ვრცლად, სრულყოფილად და დღევანდელობის შესაბამისად, გადმოცემულია შეხედულება განვითარებად ქვეყნებზე ზემოთ აღნიშნულ 1998 წელს გამოცემულ წიგნში „ეკონომიკური თეორია“ რაც მოწონებას იმსახურებს.

რაც შეეხება თეორიას, რომელიც განვითარებად ქვეყნებს მესამე სამყაროდ მიიჩნევს, ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, შეუსაბამოა თავმომწონე, ღირსეული, სუვერენული განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. ტერმინი „განვითარებადი ქვეყნები“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ და გავაიგივოთ დამამცირებელ მესამე სამყაროს ქვეყნების ტერმინად. კარგი იქნება, თუ ეს ღირსების არმქონე ტერმინი მსოფლიოს სალაპარაკო ლექსიკიდან იქნება აღმოღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნულ ინტერნეტ საიტზე მოთავსებული ნაშრომი **„განვითარებადი ქვეყნები“,** საკმაოდ მნიშვნელოვანი და შინაარსიანია, მაგრამ მასში მოცემული ტერმინი „მესამე სამყარო“ არასწორი შეფარდებაა ტერმინისა „განვითარებადი ქვეყნები“.

ბოლოს, ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში **„განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკა“** ზოგადად, მაგრამ კარგად არის მოცემული განვითარებადი ქვეყნის დახასიათება. თუ არ ჩავთვლით ტერმინს „მესამე სამყარო“-ს.

ამგვარად, ამ შრომებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ განვითარებადი ქვეყნების არსისა და სპეციფიკური ნიშნების დასკვნითი განმარტება.

ჩვენი აზრით, განვითარებადი ქვეყნის არსი და სპეციფიკური ნიშნები მდგომარეობს იმაში, რომ: განვითარებადი ქვეყანა განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილია. მისი ეკონომიკა ახლა იწყებს განვითარებას. მისი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია. დაბალია ცხოვრების დონე, განუვითარებელია ინდუსტრიული ბაზა და დაბალია ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI). საშუალო, ან დაბალია ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საწარმოო ძალების განვითარების დონე, მისთვის დამახასიათებელია სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, სუსტად განვითარებული განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილი, განვითარებულ ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულება. ახასიათებს არამყარი უსაფრთხოება, ეთნიკური სიჭრელე, სასაზღვრო დავები, არასტაბილური პოლიტიკური სისტემები, კოლონიური

და ნედლეულის, სასარგებლო წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე ორიენტირებული და, ამავე დროს, მზა პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკები, რომლებშიც სოფლის მეურნეობა და მოპოვებითი დარგები ჭარბობს, დამოკიდებული მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში.

ლიტერატურა

1. **ვეშაპიძე შოთა, ლეკაშვილი ეკა, გრიშიკაშვილი ამბროსი, ასლამაზაშვილი ნანა.** მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.
2. **განვითარებადი ქვეყნები** http://ka.wikipedia.org/wiki/
3. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.** ტ. II. თბილისი, 1977.
4. **ეკონომიკური თეორია.** სახელმძღვანელო.ჩგ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „სიახლე", 1998.
5. **მესამე სამყარო** http://www.nplg.gov.ge/gwdict/indexs.php?a=term&d=6&t=5148
6. **მსოფლიო ეკონომიკა.** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შემდგენელი ლეკაშვილი ე. რედაქტორი ყორღანაშვილი ლ. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2001.

1.2. განვითარებადი ქვეყნები: განმასხვავებელი ნიშნები და სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობები

განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, პირველ რიგში ტერიტორიის სიდიდით და მოსახლეობის რიცხოვნობით, მაგალითად, ჩინეთი და ბრაზილია ჩვენი პლანეტის ქვეყნების ტერიტორიულ რეიტინგში მესამე და მეხუთე ადგილზე იმყოფებიან, მაშინ როდესაც, აფრიკის და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნები ძლივს ჩანან მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ასევეა მოსახლეობის მიხედვითაც, იგივე ჩინეთი მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგში პირველ ადგილზეა, მაშინ როდესაც აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა მოსახლეობის სიმცირეს განიცდის.

განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ რომელ რელიგიას აღიარებენ. ამ ქვეყნებში, ძირითადად გაბატონებულია ბუდიზმი, ისლამი და ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობები. ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანია (კათოლიკე), ასევე აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის ნაწილიც, ხოლო ნაწილი კი მუსულმანი. აზიის განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა მისდევს ბუდიზმს და ისლამს. თუმცა საერთოდ განვითარებად ქვეყნებში გავრცელებულია ასევე მრავალი სხვა პატარა რელიგიური მიმდინარეობებიც.

ასევე, რაც განსაკუთრებით არსებითია, მნიშვნელოვანი ურთიერთგანსხვავება იგრძნობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებშიც. ამ მხრივ ეკონომიკური რესურსებით და გან-

ვითარების მაღალი დონით გამოირჩევა ჩინეთი, ბრაზილია და მექსიკა. კარგი ეკონომიკური პირობებით ხასიათდებიან ნავთობით მდიდარი განვითარებადი ქვეყნები, მაგალითად საუდის არაბეთი, ქუვეითი, ერაყი, ნიგერია და სხვა. განსაკუთრებით ღარიბი განვითარებადი ქვეყნები მდებარეობენ ცენტრალურ აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, რომელთა ძირითადი რესურსებია ხე-ტყე, ყავა, კაკაო, შაქრის ლერწამი, ბანანი და სხვა ტროპიკული ხილი.

ეკონომიკური ნიშნების მიხედვით განსხვავებაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს წიგნი „მსოფლიო ეკონომიკა", რომლის მიხედვით, **წმინდა კრედიტორი ქვეყნებია:** „ბრუნეი, ქუვეითი, ლიბია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი. **წმინდა მოვალე ქვეყნები** კი: ყველა სხვა განვითარებადი ქვეყანა. **ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნებია:** ალჟირი, ანგოლა, ბაჰრეინი, ვიეტნამი, ვენესუელა, გაბონი, ეგვიპტე, ინდონეზია, ერაყი, ირანი, კამერუნი, კოლუმბია, კონგო, ქუვეითი, ლიბია, მექსიკა, ნიგერია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი, სირია, ტრინიდადი და ტობაგო, ეკვადორი. **ენერგორესურსების იმპორტიორი ქვეყნებია:** ყველა სხვა განვითარებადი ქვეყანა; **ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებია:** ავღანეთი, ანგოლა, ბანგლადეში, ბურკინა-ფასო, ბურუნდი, ბუტონი, ვანუატუ, ჰაიტი, გამბია, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ჯიბუტი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ყოფილი ზაირი), ზამბია, იემენი, კაბო-ვერდე, კამბოჯა, კირიბატი, კომორის კუნძულები, ლაოსი, ლესოტო, ლიბერია, მავრიტანია, მადაგასკარი, რუანდა, დასავლეთი სამოა, სან-ტომე და პრინსიპი, სოლომონის კუნძულები,

სომალი, სუდანი, სიერა-ლეონე, ტოგო, ტუვალუ, უგანდა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, ეკვატორული გვინეა, ერითრეა, ეთიოპია“ [1, გვ. 167-168].

ზემოთ აღნიშნული წიგნი შეიცავს ასევე უნიკალურ ინფორმაციას განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობებზე. ამ წიგნის მიხედვით ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა სასარგებლო წიაღისეულის მარაგებით. იქ არის ნახშირი, რკინა, მანგანუმი, ბოქსიტები, ქარსი, ტიტანი, ქრომიტი, ოქრო, ალმასი, გაზი, ნავთობი, კაუჩუკი.

2000 წლის დამდეგისათვის ინდოეთის მოსახლეობამ მილიარდიან ზღვარს გადააბიჯა. ბოლო ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 600 მილიონი ადამიანით გაიზარდა. თუკი ოჯახები 2-3 ბავშვით დროთა განმავლობაში ნორმა გახდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, კორეა, ტაილანდი და შრი-ლანკა, ინდოეთში ეს მაჩვენებელი 3-4 ბავშვს შეადგენს. შობადობაზე კონტროლის ინდური პროგრამის ჩავარდნის ძირითად მიზეზად სპეციალისტები მოსახლეობის წიგნიერების დაბალ დონეს (დაახლოებით 50%) მიიჩნევენ. ამასთან ეს მაჩვენებელი ქალთა მოსახლეობის მოზარდ ნაწილს შორის მხოლოდ 30%-ის ტოლია, მაშინ როცა სხვა აზიურ ქვეყნებში ეს ციფრი 70%-მდე აღწევს. გაეროს მიერ მიღებული წიგნიერების ინდექსის მიხედვით, ინდოეთს მსოფლიოში 138-ე ადგილი უკავია. ოჯახის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევები ცხადად გვიჩვენებს, რომ ოჯახში, სადაც ქალმა საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღო, როგორც წესი, 2-3 ბავშვით ნაკლებია, ვიდრე ოჯახ-

ებში, სადაც ცოლი უწიგნურია, ამასთან ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ამ უკანასკნელებში 3-ჯერ მაღალია. შობადობის კონტროლის პროგრამის საფუძვლად მიღებულ იქნა შვილოსნობის ასაკის მქონე ქალთა სტერილიზაცია, ქალთა მოსახლეობის მეოთხედს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე, რამაც მთლიანობაში პროგრამის ჩავარდნა განაპირობა. უახლოეს პერიოდში ქმედითი ზომების მიუღებლობა, შობადობაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით მიგვიყვანს იქამდე, რომ 2040 წელს ქვეყნის მოსახლეობა 1,6 მლრდ ადამიანს მიაღწევს. ინდოეთი ამ მაჩვენებლების მიხედვით გაუსწრებს ჩინეთს და იქცევა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სახელმწიფოდ დედამიწაზე [1, გვ. 570-572].

2002-2007 წლებში ინდოეთის ეკონომიკა შემდეგი მაჩვენებლით ხასიათდებოდა. ინდოეთის საერთო ფართობი – 3287263 კვ. კმ; სახნავი მიწების წილი %-ობით საერთო ფართობში – 54%; მოსახლეობა – 1081,2 მილიონი ადამიანი; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა მამაკაცების – 63,2 წელიწადს, ქალების – 66,7 წელიწადს; მოზრდილი მოსახლეობის წიგნიერება -61,0%, ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის – 28,7%. ყოველ 1000 მცხოვრებზე შობადობის საერთო კოეფიციენტი შეადგენდა 23,8-ს, სიკვდილიანობის კოეფიციენტი – 8,3-ს. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (2007 წ.) შეადგენდა 691 მილიარდ აშშ დოლარს; რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საშუალო წლიური ზრდა 1992-2004 წლებში 6,1% იყო; მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე – 640 აშშ დოლარი. საზოგადოების განვითარების ინდექსი – 60,2.

2003 წელს ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) საერთო მოცულობიდან სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა 23,3%, მრეწველობის წილად – 26,2%, მათ შორის გადამამუშავებელი მრეწველობის წილად – 15,4%, მომსახურეობის სფეროს წილად კი – 50,5%. მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა: სოფლის მეურნეობაში 67%, მრეწველობაში – 12%, მომსახურეობის სფეროში – 21%. ჯანდაცვაზე და განათლებაზე ქვეყანა შესაბამისად ხარჯავდა მშპ-ს 5,1 %-ს და 4,1 %-ს. კომპიუტერების რაოდენობა ყოველ 100 ადამიანზე – 0,7. ამ მონაცემებით დასტურდება, თუ როგორი ღარიბია ქვეყანა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსების და მიწის სიჭარბე შრომისა და კაპიტალის მიმართ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქებისგან ისინი სწორედ ამით განსხვავდებიან. ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყანა სასარგებლო წიაღისეულით ძალიან მდიდარია. იქ არის სპილენძი, ტყვია, კალა, თუთია, ურანი, ბოქსიტები, ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ოქრო, ალმასი და ა.შ. ამიტომ ამ ქვეყნების ეკონომიკათა თავდაპირველი ორიენტაცია სასარგებლო წიაღისეულის და ენერგომატარებლების ექსპორტი იყო. მაგალითად არცთუ შორეულ წარსულში ჩილეს და ვენესუელას ექსპორტის 80%-მდე სპილენძი და ნავთობი იყო. მათი ეკონომიკების ასეთი მიმართულება, თუმცა ნაკლები ხარისხით, შენარჩუნებულია დღემდე. მაგალითად, 2000 წელს სპილენძი ექსპორტში 40%-ს შეადგენდა [1, გვ. 577– 578].

ეკონომიკური მოდელი და ეკონომიკის მდგომარეობა. ლათინური ამერიკის ეკონომიკური მოდელის ძირითადი

ნიშნები შემდეგში მდგომარეობს: 1) ინვესტიციებისთვის უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკა ღია გახდა. 2) ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო ეკონომიკური მოდელი ბევრად უფრო გახსნილი გახდა, რის შედეგადაც ლათინური ამერიკის წილი მსოფლიო ექსპორტში 90-იან წლებში წელიწადში საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა, ხოლო თავად ექსპორტი – 9%-ით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტი-ს (მშპ-ის) ზრდის ტემპებს მნიშვნევლოვნად უსწრებდა. საყურადღებოა, რომ ექსპორტში მანქანების და მოწყობილობების წილი მუდმივად იზრდება, ხოლო ნედლეულის წილი მცირდება. ექსპორტის 70% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, ამასთან 50% აშშ-ზე. 3) კონტინენტზე, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორი აქვს, 90-იან წლებში პრივატიზაციის ტალღამ გადაიარა. მან ჯერ ჩილე, 90-იანი წლების ბოლოს მექსიკა გაიარა და დასრულდა ბრაზილიაში. 4) „ბრეიდის გეგმის“ შესაბამისად, მრავალი ლათინო-ამერიკული ქვეყნის საგარეო ვალი რესტრუქტურიზებულ იქნა. ამის შედეგად, იგი საშუალოდ 55%-ზე მეტად შემცირდა. 5) საუკუნის ბოლოს ლათინური ამერიკის ქვეყყნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით მცირე დეფიციტი (მშპ-ის დაახლოებით 2 %) და ზომიერი ინფლაციაა დამახასიათებელი – 10%-მდე, რომელიც თანდათან მცირდება. 6) ლათინური ამერიკის ქვეყნებში თავდაცვაზე მცირე დანახარჯები მოდის. ეს მაჩვენებელი ბევრად ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში. 7) ლათინურ ამერიკაში ინტერგრაციული პროცესები ძალას იკრებს. მექსიკა NAFTA-ს წევრია (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ასოციაცია), ხოლო ბრაზილია, არგენ-

ტინა, ურუგვაი და პარაგვაი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზრად გაერთიანდა – MERCOSUR. ჩილე მისი ასოცირებული წევრია.

ამ ქვეყნების უმეტესობა სამრეწველო-აგრარული ან აგრარულ-სამრეწველოა.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია – ხორბალი, სიმინდი, ყავა, ბამბა და შაქრის ლერწამი. ჩილეში განვითარებულია მეთევზეობა, ხოლო ბრაზილიაში – სატყეო მეურნეობა. განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ავტომშენებლობა (არგენტინა და ბრაზილია), ელექტრონიკა (მექსიკა), საფეიქრო და კვების მრეწველობა. ბრაზილია საკუთარ აეროკოსმოსურ მრეწველობას ანვითარებს. მთლიანად მრეწველობაში ტექნოლოგიური დონე დაბალია. მეცნიერებადტევად წარმოებას ჯერჯერობით მცირე ხვედრითი წონა აქვს.

მომსახურების სფეროში ყველაზე მეტად ტურიზმი ვითარდება, მექსიკასა და ბრაზილიაში კი – ფინანსური მომსახურება. მეხიკოსა და სან-პაულოს ბირჟები რეგიონში წამყვანია [1, გვ.580-582].

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა.

ამ რეგიონში აერთიანებენ ჩრდილო აფრიკის და დასავლეთ აზიის არაბულ ქვეყნებს, აგრეთვე-მუსლიმანურ თურქეთს და ირანს. ამჟამად ამ ნაყოფიერ მიწებზე ძირითადად მუსლიმანი ხალხები სახლობენ. ამ რეგიონის სპეციფიკა ნავთობის უმდიდრეს მარაგშია, არაბული ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკაც სწორედ მასზეა დაფუძნებული. ერაყი და ირანი გარდა ენერგორესურსებისა, მინერალური

ნედლეულითაცაა უზრუნველყოფილი, მაგრამ „ალაჰის მთავარი წყალობა“ მთელი რეგიონისთვის – ეს, რა თქმა უნდა, ნავთობია. რეგიონში ნავთობის სარწმუნო მარაგების წილი მსოფლიოს 65%-ს აჭარბებს. ერაყის, ქუვეითის და არაბთა გაერთიანებული საემიროების პროგნოზული მარაგები თითოეულისთვის 100 მილიარდ ტონას შეადგენს. მათ ცოტათი ჩამორჩება საუდის არაბეთი (80 მლრდ. ტონა) და ირანი (70 მლრდ. ტონა). შედარებისთვის ვიტყვით, რომ ნავთობის ყოველწლიური მსოფლიო მოპოვება 4 მილიარდ ტონას აღემატება. რეგიონი ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 50%-ს უზრუნველყოფს.

მნიშვნელობის მიხედვით რეგიონის მეორე ბუნებრივი რესურსი გაზია. 144 ტრლნ. მ³ გაზის უზარმაზარ მარაგს მხოლოდ რუსეთი ფლობს. რეგიონი იძლევა მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 7%-ს.

ირანსა და ერაყში, გარდა ენერგორესურსებისა, რკინის მადნის და ზოგიერთი ფერადი ლითონის მდიდარი საბადოებია [1, გვ. 584-585].

რეგიონის უმეტესი ქვეყნების ეკონომიკურ მოდელებს რიგი მსგავსი ნიშნები აქვს: **1)** ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ჭარბობს. უმეტეს ქვეყანაში ძირითადი სიმდიდრე – ნავთობი და გაზი – ნაციონალიზებულია. ნავთობმოპოვებას და მის გადამუშავებას სახელმწიფო კომპანიები აწარმოებენ. **2)** ქვეყნის ეკონომიკა ორიენტირებულია ენერგომატარებლების ექსპორტზე და მასზე დიდადაა დამოკიდებული. ფაქტობრივად, რაც უფრო მეტი ნავთობი მოდის ერთ სულ მოსახლეზე, მით უფრო უკეთ ცხოვრობს ქვეყანა. ამიტომ რეგიონის პატარა ქვეყნები – გაერთიანებული არ-

აბული ემირატები, კატარი, ქუვეითი, ომანი – ყვავის. ნავთობდოლარები ცხოვრების მაღალ დონეს უზრუნველყოფს და ხორციელდება სხვა ქვეყნებისთვის წარმოუდგენელი სოციალური პროგრამები. 3) რეგიონისათვის ხშირად დამახასიათებელია სამხედრო კონფლიქტები. გარდა მუდმივი დაძაბულობისა ისრაელსა და მის მეზობლებს შორის, არსებობს დაპირისპირება ირანსა და ერაყს შორის, სოციალური კონფლიქტები იემენში, ქურთების ამბოხებანი და ა.შ. ამითაა განპირობებული უმეტესი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტში (მშპ-ში) სამხედრო დანახარჯების მაღალი წილი. არაბული ქვეყნების უმნიშვნელოვანესი, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარია იარაღის ბაზარი

აფრიკა ყველაზე სუსტად განვითარებული კონტინენტია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 60 ქვეყანას შორის, რომლებსაც 2003 წლისთვის ყველაზე მაღალი საზოგადოების განვითარების ინდექსი ჰქონდა (77,9-დან 94,4-მდე), აფრიკის ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოხვდა, ხოლო 18 ქვეყნიდან, რომლებსაც საზოგადოების განვითარების ინდექსი ყველაზე დაბალი აქვთ (27,5-დან 42,2-მდე), ყველა აფრიკის კონტინენტიდანაა. ეს ქვეყნებია: სიერა-ლეონე (ინდექსი 27,5), ნიგერია (29,2), ბურკინა-ფასო (33,0), ბურუნდი (33,7), მალი (33,7), მოზამბიკი (35,6), ეთიოპია (35,9), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (3673), კონგო (3673), გვინეა-ბისაუ (37,3), ჩადი (37,6), ანგოლა (37,7), ზამბია (38,6), მალავი (38,7) კოტ-დივუარი (39,6), ტანზანია (40,0), ბენინი (41,71), რუანდა (42,72) [1, გვ. 588-591].

აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს საჰარის სამხრეთით. ამ რეგიონში მსოფლიოს უღარიბესი

ქვეყნების 2/3-ია განლაგებული. აღმოსავლეთ აფრიკაში შედიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ეთიოპია, სომალი და უგანდა. ცენტრალური და დასავლეთი აფრიკის ხალხებს შორისაა – ანგოლა, კამერუნი, განა, ნიგერია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ადრინდელი ზაირი). სამხრეთი აფრიკა მოიცავს ბოტსვანას, ლესოტოს, ნამიბიას და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას (სარ-ს). აფრიკა აგრეთვე მრავალ კუნძულს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე დიდია მადაგასკარი, რომელიც კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა განლაგებული. აფრიკაში დაახლოებით 50 ქვეყანაა-ნიგერიიდან დაწყებული (127 მლნ მოსახლეობით) პატარა რესპუბლიკებამდე, როგორიცაა, მაგალითად, კომორის კუნძულები.

აფრიკა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. იგი მსოფლიოში ბოქსიტების, მანგანუმის, ქრომის, კაკაოს, ჩაის და სხვა პროდუქციის და ნედლეულის უმსხვილესი მწარმოებელია. აფრიკაში ოქროს (მსოფლიო მარაგების 50%), ალმასების, სპილენძის, ბოქსიტების, მანგანუმის, ნიკელის, პლატინის (მსოფლიო მარაგების 90%), კობალტის, რადიუმის, გერმანიუმის, ლითიუმის, ტიტანის და ფოსფატების ყველაზე დიდი მარაგებია. იქვე ბევრია რკინის მადანი, ქრომი, თუთია, ვანადიუმი და სხვა. მცირე რაოდენობით აღმოჩენილია თიხა, ქარსი, გოგირდი, მარილი, ნატრიუმის ოქსატი, გრაფიტი, კირქვა და თაბაშირი. ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, მაგალითად, ნიგერიაში არის ნავთობის და გაზის საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი. ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპორტი – აფრიკული ქვეყნების ეკონომიკათა ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. უმეტესი მათგანი ერთი ან

ორი რესურსის ვაჭრობაზეა დამოკიდებული.

აფრიკული კულტურა მრავალფეროვნებით (1000 ეთნიკური ჯგუფი და 1000-ზე მეტი სხვადასხვა ენა) გამოირჩევა. აფრიკელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გვაროვნულ ურთიერთობებს. მუსიკამ, ხელოვნებამ და ლიტერატურამ განსაზღვრული გავლენა მოახდინა სხვა კულტურებზე მთელ მსოფლიოში. მაგალითად, აფრიკულმა რითმებმა გავლენა იქონია პოპულარულ მუსიკალურ სტილებზე, როგორიცაა ჯაზი, ბლუზი. თუმცა საკმარისი ცივილიზაციური რესურსები, რომლებიც თანამედროვე პირობებში უზრუნველყოფდა აფრიკული ქვეყნების განვითარებას, იქ არაა. ამიტომ მის ნიადაგზე გადატანილი, განვითარებულ ქვეყნებსა და აიქებში გამოცდილი, ეფექტიანი სამართლებრივი და საკანონმდებლო სისტემები აფრიკაში მოსალოდნელ შედეგებს არ იძლევა [1, გვ. 591-593].

ღეგიონის, უმეტესი ქვეყნის ეკონომიკურ მოდელს აგრარულ-სანედლეულო მიმართულება აქვს. აფრიკული ქვეყნების ეკონომიკებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია: **1)** ორიენტაცია სასარგებლო წიაღისეულის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე. **2)** კვალიფიციური და უბრალოდ წერა-კითხვის მცოდნე შრომითი რესურსების არარსებობა, რაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უშლის. თანამედროვე ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ცივილიზაციური უკმარისობა. **3) კლანურობა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი კორუმპირებულობა**. მაგალითად, ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ნიგერია, კორუფციის მიხედვით, მტკიცედ დგას მსოფლიოში პირველ ადგილზე. 1998 წელს იქ უკვალოდ გაქრა

2 მილიარდი დოლარის უცხოური ინვესტიცია. აშშ-ის და IMF-ის ყველა მცდელობა მოეხდინა ამ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია, კორუფციის და თაღლითობის უმძლავრეს დაბრკოლებას შეეჯახა. პაროდოქსულია, მაგრამ ნიგერია, მსოფლიოში მე-13-ე ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი, თავის ქვეყანაში ნავთობპროდუქტების ქრონიკულ უკმარისობას განიცდის. **4) საგარეო ვალი.** საგარეო ვალის პრობლემა აფრიკულ ქვეყნებისთვის უზარმაზარ სიძნელეებს ქმნის. ყოველ აფრიკელზე, ბავშვების ჩათვლით, 350 დოლარი საგარეო ვალი მოდის. რეგიონის ვალი 200 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 80%-ს უტოლდება (კონგოსა და მოზამბიკში – 300%-ს). აფრიკის ქვეყნების საგარეო დავალიანების საერთო თანხის 60% ორმხრივ საფუძველზე სხვადასხვა სახელმწიფოს ეკუთვნის, 23% – საერთაშორისო ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენი – კერძო კრედიტორების წილად მოდის. **5) საინვესტიციო შიმშილი.** მიუხედავად გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ინტერნაციონალიზაციისა, აფრიკა ჯერ კიდევ რჩება ძირითადი ფინანსური ნაკადების გარეშე. მიმდინარე ათწლეულში განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება, თუმცა იგი მხოლოდ უმნიშვნელო ხარისხით შეეხო „შავი“ კონტინენტის სახელმწიფოებს, რომელთათვისაც ხელსაყრელი პირობების შექმნა უცხოური ინვესტორების მოსაზიდად ძნელია. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული ყველა უცხოური ინვესტიციიდან მხოლოდ 5% მოდის აფრი-

კულ სახელმწიფოებზე. 1999 წელს აფრიკამ დაახლოებით 8 მილიარდი დოლარის ინვესტიცია მოიზიდა. ეს ბევრად მეტია, ვიდრე 80-იანი წლების ბოლოს, როცა უცხოური ინვესტიციების ნაკადი წელიწადში დაახლოებით 3 მილიარდ დოლარს შეადგენდა, თუმცა ეს 1997 წლის კონტინენტის რეკორდულ დონესთან (9,4 მლრდ დოლარი) შედარებით დაბალი იყო. **6) დახმარების შემცირება.** საინვესტიციო შემონატანების დაბალ მოცულობებთან ერთად შეინიშნება აფრიკული ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი შემცირება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, აფრიკული ქვეყნების განვითარებისთვის განკუთვნილი ოფიციალური დახმარების ზომები, საუბარია საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებზე, 1996 წელს 10,7 მილიარდ დოლარამდე დაეცა. შედარებისთვის: 1990 წელს 14 მილიარდ დოლარს შეადგენდა. დახმარების მოცულობათა შემცირების ტენდენცია 1997-2000 წლებშიც შენარჩუნდა. **7) გადაშენების საფრთხე.** „CNN"-ის მონაცემებით, შიდსის ეპიდემიამ ზიმბაბვეში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით მეოთხედი საუკუნით შეამცირა. ამ ქვეყნის მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახლა 39 წელია. წინანდელი, შიდსის ეპიდემიამდე არსებული 65 წლის ნაცვლად, სიკვდილიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რაც უეჭველად აისახება აფრიკის კონტინენტის მოსახლეობის სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზეც. წინასწარი შეფასებით, შიდსის გამო ზიმბაბვეს მოსახლეობას უკვე დააკლდა 1,6 მილიონი ადამიანი. 2010 წლისათვის ეპიდემიის გამო ადამიანთა პოპულაცია

აფრიკაში 71 მლნ ადამიანით შემცირდება, კენიის – 6,7 მლნ-ით, სამხრეთ აფრიკის – 5,6 მლნ-ით, ზიმბაბვეს – 4,4 მლნ-ით, უგანდის – 4,2 მილნ-ით კაცით“ [1, გვ. 593-596].

ახლა მოკლედ შევეხოთ განვითარებადი ქვეყნების კოლონიურ წარსულსაც.

ჩვენი აზრით, ბოლო საუკუნეების მანძილზე განვითარებულმა ქვეყნებმა მაგალითად: პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია და სხვა, რომლებმაც დაიპყრეს ვრცელი ტერიტორიები: აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და აზიაში, უკვე არსებული ქვეყნების (მაგ: ჩინეთი და ინდოეთი – აზიაში და ეგვიპტე – აფრიკაში), გვერდით, ხელი შეუწყვეს ახალი განვითარებადი ქვეყნების ჩამოყალიბებას.

კოლონიზაციიდან განთავისუფლება და დამოუკიდებლობის მიღწევა პირველად შეძლეს ამერიკის განვითარებადმა ქვეყნებმა მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო აფრიკისა და აზიის განვითარებადმა ქვეყნებმა მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარში.

კოლონიური მმართველობის დროს, მეტროპოლიები განვითარებადი ქვეყნებიდან ნედლეულის იმპორტს ახორციელებდნენ და სამაგიეროდ შეჰქონდათ მზა პროდუქცია. საერთოდ არ, ან ნაკლებად ახორციელებდნენ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას ანუ ინდუსტრიალიზაციას. ამ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის საგრძნობი შეფერხება გაგრძელდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც.

ყოფილი მეტროპოლიები დღესაც ცდილობენ ჰეგემონიის Გშენარჩუნებას და დომინანტური როლის შესრულებას თავიანთ ყოფილ კოლონიურ განვითარებად ქვეყნებში.

ნეოკოლონიალიზმი არის არათანასწორ, არათანაბარუფლებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა ინდუსტრიულად განვითარებულ, წამყვან სახელმწიფოებსა და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის (ძირითადად ყოფილ მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის). ნეოკოლონიალიზმი ჩამოყალიბდა კოლონიალიზმის, როგორც სისტემის რღვევის პერიოდში და მიზნად ისახავს წამყვანი განვითარებული სახელმწიფოების მიერ ახალი, უფრო დახვეწილი და მოქნილი მეთოდებით თავიანთი ბატონობის და ზეგავლენის შენარჩუნებას ყოფილ კოლონიებსა და სხვა განვითარებად ქვეყნებზე. განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა, ნაციონალისტური პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების შედეგად, სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ყოფილ მეტროპოლიაზე. კლასიკური კოლონიალიზმისაგან განსხვავებით, გარეგნულად თითქოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ნებაყოფლობითი კავშირია, სადაც საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ფორმალულად დაცულია. განვითარებადი ქვეყნები განვითარებულ ქვეყნებთან, ნებით თუ უნებლიეთ, დებენ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ფაქტობრივად, კაბალურია და განვითარებად სახელმწიფოებს დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს არა მარტო ეკონომიკურად, არამედ, პოლიტიკურადაც [2].

განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას და მათში შექმნილ მდგომარეობას სრულიად ასახავს ინტერნეტში განთავსებული საკმაოდ საინტერესო ნაშრომი – **ათასწლეულის განვითარების მიზნები, რომლის მიხედვით:**

აღმოცენებულ საჭიროებებსა და დანიშნულებებზე, 1990-იან წლებში გამართული თათბირების შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლინდა ათასწლეულის განვითარების მიზნები, რომლებიც წარმოადგენენ გლობალურ თანამშრომლობას, მსოფლიოს უმთავრესი გამოწვევებისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ათასწლეულის განვითარების მიზნები მიმართულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უკიდურესი სიღარიბის დაძლევა; დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა; გენდერული თანასწორობა; ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; აივ/შიდსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; ეკოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა; განვითარების მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

ათასწლეულის განვითარების მიზნების ჩამოყალიბებას საფუძველად დაედო ათასწლეულის დეკლარაციის ქმედებები და მიზნები, რომლებიც შეიქმნა 2000 წლის სექტემბერში გამართულ გაერთიანებული ერების ათასწლეულის სამიტზე, 189 ქვეყნისა და 147 მთავრობის უმაღლესი პირის მიერ.

ათასწლეულის განვითარების მიზნები წარმოადგენს შეთანხმებული მიზნების კრებულს, რომლებიც მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა მონაწილე იმუშავებს ერთად და განახორციელებს საქმის თავის ნაწილს. ღარიბმა ქვეყნებმა დადეს წინა პირობა უკეთესი მართვისა და თავის ხალხში ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დანერგვის შესახებ. ამავე დროს მდიდარმა ქვეყნებმა მხარი უნდა დაუჭირონ მათ ვალების შემსუბუქებით, უფრო სა-

მართლიანი ვაჭრობითა და დახმარებით.

ათასწლეულის 8 ძირითადი მიზანი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1) უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილიანობის აღმოფხვრა

იმ ხალხის რაოდენობის შემცირება, რომელთა დღიური შემოსავალი წარმოადგენს 1 ამერიკულ დოლარზე ნაკლებს. მიღწევა სრული და ნაყოფიერი დასაქმებისა და თითოეულის უზრუნველყოფა სამსახურით (ქალებისა და ახალგაზრდების ჩათვლით). მოშიმშილე ხალხის რაოდენობის განახევრება.

საინტერესო ფაქტები:

პიროვნება აღიქმება უკიდურესად ღარიბად, თუ მას უწევს ცხოვრება დღეში 1 ამერიკულ დოლარზე ნაკლები თანხით; ყოველი მეხუთე მსოფლიოში მცხოვრები ადამიანი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარზე; ღარიბი ადამიანი, როგორც წესი, მშიერია. მსოფლიოში 800 მილიონი ადამიანია, რომელსაც არა აქვს საკმარისი საკვები; ყოველდღიურად დაახლოებით 25 000 ათასი ადამიანი იღუპება შიმშილით; 500 ყველაზე მდიდარი ადამიანი (სათითაოდ) შოულობს იმდენივე ფულს, რამდენსაც 416 უღარიბესი ადამიანი ერთად;

2. მთელს მსოფლიოში დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა

უზრუნველყოფა იმისა, რომ თითოეულ გოგონასა და ბიჭს ჰქონდეს საშუალება მიიღოს საშუალო განათლება.

საინტერესო ფაქტები:

ყოველი მეექვსე სასკოლო ასაკის ბავშვი არ დადის სკოლაში, ჯამში ეს ქმნის 115 მილიონ ბავშვს და მათი უმეტე-

სობა განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. მსოფლიოში 133 მილიონი გაუნათლებელი ახალგაზრდაა; მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა, სადაც გარკვეული საფასურია გადასახდელი დაწყებით განათლებაზეც კი.

3) გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის გაზრდა

გენდერული დისბალანსის აღმოფხვრა დაწყებით და საშუალო განათლებაში, ნაწილობრივ 2005 წლიდან – ხოლო საბოლოოდ 2015 წლამდე.

საინტერესო ფაქტები:

მსოფლიოში გაუნათლებელი ხალხის ორ მესამედს ქალები წარმოადგენენ; ქალთა დასაქმების რაოდენობრივი მაჩვენებელი მამაკაცებთან შედარებით ერთი მესამედით ნაკლებია; ქალებს ყოველთვის ნაკლებს უხდიან, ვიდრე მამაკაცებს. თუნდაც ერთი და იგივე საქმეში; ქალების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა წარმოადგენს მსოფლიო ლიდერებს.

4) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება ორი მესამედით.

საინტერესო ფაქტები:

განვითარებად ქვეყნებში ყოველი მეათე ბავშვი იღუპება 5 წლამდე ასაკში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ყოველი 143-ე; ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია პნევმონია, მალარია, წითელა და აივ/შიდსი. უკვე 40 წელზე მეტია, რაც გამომუშავებულია ინფექციური დაავადების – წითელას საწინააღმდეგო ვაქცინა, მიუხედავად ამისა ყოველწლიურად 30 მილიონზე მეტი ბავშვი იღუპება

ამ ინფექციით;

5) დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

2015 წლამდე მიღწეულ უნდა იქნას დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება სამი მეოთხედით და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა.

საინტერესო ფაქტები:

ორსულობასა და ბავშვთა შობადობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ყოველწლიურად იღუპება 500 000-ე მეტი გოგონა და ქალი; განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები 18 წლის გოგონათა დაახლოებით ნახევარი არის დედა; განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები დედების ნახევარმა იმშობიარა ბებიაქალის, ან ექიმის გარეშე;

6) აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

შეჩერდი და დაიწყე აივ/შიდსის გავრცელების შეცვლა. მიაღწიე 2010 წლამდე აივ/შიდსთან მოპყრობის უნივერსალურ ხელმისაწვდომობას, მათთვის ვისაც ეს სჭირდება. შეჩერდი და დაიწყე მალარიისა და სხვა დაავადებების გარემოცვის შეცვლა:

საინტერესო ფაქტები:

ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში (მაგალითად, სვაზილენდი, ბოტსვანა ან ლესოტო) ყოველი მესამე მოზარდი აივ/შიდსით ინფიცირებულია. ყოველდღიურად 6000-ე მეტი ადამიანი იღუპება აივ/შიდსის გამო; 2003 წელს (ყოველ დღე) დაახლოებით 5000 ადამიანი იღუპებოდა ტუბერკულიოზის გამო.

7) ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის საინ-

ტერესო ფაქტები:

ამჟამად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს მავნე გარემოში. კერძოდ, მსოფლიოში ყოველ მეექვსე ადამიანს აკლია ეკოლოგიურად სუფთა წყალი.

8) განვითარების მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება

მიზნად ისახავს კანონებზე დაფუძნებული სამართლიანი, არადისკრიმინირებული სავაჭრო და ფინანსური სისტემის განვითარებას (რომელიც ასევე გულისხმობს მმართველობის მიზნობრივად განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე). ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობის შედეგად განვითარებად ქვეყნებში არსებულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და დისტრიბუციის უზრუნველყოფას; განვითარებად ქვეყნებში საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობას.

საინტერესო ფაქტები:

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას უწევს გაცილებით მეტი ფინანსური ხარჯების გაღება ვალების გასტუმრებაში, ვიდრე განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემებზე; თუკი ყველა ქვეყანა ერთი მეათედით ნაკლებ ხარჯს გასწევს ჯარის შენახვაზე და მოახმარს ზემოთ აღნიშნულის განვითარებას, მაშინ ათასწლეულის განვითარების ყველა მიზანი იქნება მიღწეული [3].

განვითარებადი ქვეყნები ყოველწლიურად 124 მლრდ დოლარს ამოღებელი გადასახადების სახით კარგავენ, რომლებიც ოფშორულ ზონებში ირიცხება. საერთაშორისო სა-

ზოგადოება ასეთ ქვეყნებს ფინანსურ დახმარებას უწევს, რაც ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის OXSFAM-ის გათვლებით ამ პრობლემასთან საბრძოლველად ძალიან მცირე თანხები „საგადასახადო სამოთხის“ პრობლემების დარეგულირება „დიდი ოცეულის“ ფინანსთა მინისტრების დღის წესრიგში დადგა.

განვითარებადი ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, ოფშორებში ანგარიშებზე 6,2 ტრილიონ დოლარს ინახავენ. ამასთან ეს თანხა ყოველწლიურად 200-300 მლრდ დოლარით იზრდება, რომლებიც შემდეგ საზღვარგარეთის ბანკებში ირიცხება, ამ პრობლემასთან საბრძოლველად განვითარებადი ქვეყნებისათვის საერთაშორისო დახმარება წელიწადში 103 მლრდ დოლარს შეადგენს.

დომენიკ სტროს-კანი, OXSFAM-ის ექსპერტებიც მსოფლიოს მოუწოდებენ დაბალგანვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნების დახმარებისაკენ, რათა, შენარჩუნებული იქნეს ის მიღწევები, რომლებიც ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან აცილების მიზნით მოხდა. ეს ქვეყნები ყოველწლიურად მილიარდებს კარგავენ, რომლებიც შეიძლებოდა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე მიმართულიყო. ამ თანხებით შესაძლებელია განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების გაუმჯობესება, ასევე ხალხის დაცვა ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედებისაგან – მიიჩნევს სებასტიან ფორმი OXSFAM FRANCE-იდან. OXSFAM-ის მონაცემებით, წელიწადში 16 მლრდ დოლარი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ყველა ბავშვი სკოლაში მერხით იყოს უზრუნველყოფილი და 50 მლრდ დოლარი იმისათვის, რომ ღარიბი ქვეყნები კლიმატური ცვ-

ლილებებისაგან იქნენ დაცულნი [4].

2008 წლის მეორე ნახევრიდან, უკვე მერამდენედ, თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ჯერ კიდევ დღემდე სრულად არ არის დაძლეული. ჩვენი აზრით, კრიზისი გამოიწვია მსოფლიოს ქვეყნების მთავრობების მიერ პლანეტის ეკონომიკური რესურსების არასწორმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა მართვამ. რაც გამოიხატება პლანეტის ეკონომიკური რესურსების არასწორ და არაეფექტურ განაწილებაში. რა თქმა უნდა, ეს კრიზისი მეტნაკლებად ყველა განვითარებად ქვეყანასაც შეეხო.

ამ კრიზისთან დაკავშირებით ინტერნეტში საინტერესო მასალებს ვპოულობთ, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირველივე ნიშნებზე, 2008 წლის ივლისში, პროგნოზი ერთ-ერთმა პირველმა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გააკეთა. მისი პროგნოზი, რა თქმა უნდა, განვითარებად ქვეყნებსაც შეეხო. მასში ნათქვამია, რომ მზარდი ინფლაციის რისკი თანაბრად ემუქრება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს, თუმცა სიტუაცია ამ უკანასკნელთათვის ბევრად უფრო დრამატულია.

ნავთობზე და საკვებ პროდუქტებზე ფასების სწრაფი ზრდა ყველაზე სწრაფად აისახება განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც კვების პროდუქტებზე საკუთარი შემოსავლის 50-75% ხარჯავს, უსახსრობის გამო ფაქტობრივად სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების გარეშე რჩება.

სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ამ ქვეყნებისათვის განსხვავებულია. განვითარებადი ქვეყნებისათვის იგი მოქნილი მონეტალური პოლიტიკის გატარებასა და სახელმწიფოს მხრიდან გასავლების სფეროში მკაცრი დისციპლინის დაცვაში მდგომარეობს.

მსოფლიო ბანკმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი განვითარებად ქვეყნებზე მრავალმილიარდიანი დახმარების გეგმის შემცირებას გამოიწვევს. ოთხი ქვეყნიდან მხოლოდ ერთი თუ შეძლებს, რომ დაცული სოციალური პროგრამებისა და სამუშაო ადგილების შექმნით ეკონომიკის დაღმასვლას გაუმკლავდეს.

ამ ფონზე მანილაში არსებულმა აზიის განვითარების ბანკის პრეზიდენტმა ჰარუჰიკო კუროდამ გაბედული და ოპტიმისტური განცხადება გააკეთა. მისი აზრით, აზია ერთერთი პირველი რეგიონი იქნება მსოფლიოში, რომელიც შეძლებს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს გადაურჩეს.

2009 წლის 13 მარტს გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში, სადაც აღნიშნულია იმის შესახებ, რომ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკის დაღმასვლას მოელის. გლობალური ეკონომიკა ასეთ სავალალო მდგომარეობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად აღმოჩნდა. იანვრის თვეში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეკონომიკის 1,5%-ით ზრდას ვარაუდობდა. თუმცა ამ თვეს, სავალუტო ფონდის მმართველმა დომინიკ სტრაუს კანმა ღიად დააფიქსირა, რომ მსოფლიო უდიდესი რეცესიის წინაშე დადგა. მსოფლიო ბანკის მიერ გაკეთებულ ბოლო მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ რეცესიის შედეგად

პირველ რიგში განვითარებადი ქვეყნები დაზარალდებიან. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ეს ქვეყნები ეკონომიკურ წინსვლას ვაჭრობის ხარჯზე განიცდიან. სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, მსოფლიო ვაჭრობა ბოლოს 80 წლის მანძილზე ნელ-ნელა დაღმასვლას განიცდის. აღმოსავლეთ აზიაში ვაჭრობის უკანსვლა ბოლოხანს მაღალი მაჩვენებლით გამოიხატა, რის მაგალითადაც ჩინეთიც გამოდგება. გასულ წელთან შეადარებით ჩინეთში ექსპორტმა ბოლო ერთი წლის მანძილზე ოცდაექვსი პროცენტით დაიკლო. სამომავლოდ მდიდარი ქვეყნები შეეცდებიან, ქვეყნის შიგნით დაფინანსების მიზნით, მსოფლიო საკრედიტო ბაზარზე აიღონ ვალები თუმცა ინვესტორები განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად გასასესხებელ თანხებს უკვე ბევრად უფრო რთული პირობებით გასცემენ. მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი ჯეფ ჩელსკი აღნიშნავს, რომ ინვესტორები მაღლი რისკის მქონე ვალების გაცემისგან კარგახანია თავს იკავებენ. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, განვითარებადმა ქვეყნებმა სამი ტრილიონი დოლარის ოდენობით აღებული კერძო და სახელმწიფო სესხები უკან ამ წლის ბოლომდე უნდა დააბრუნონ. ზოგიერთ ქვეყანას უცხოური ვალუტის სარეზევრო ფონდი გადანახული აქვს, ზოგ ქვეყანას კი ვალების გასასტუმრებლად დაფინანსების ახალი წყაროების ძებნა მოუწევს. მსოფლიო ბანკის გამოთვლით, განვითარებად ქვეყნებს ორასსამოცდაათი მილიარდიდან შვიდას მილიარდ დოლარამდე დაფინანსება ესაჭიროებათ. ეს რიცხვი რეცესიის შედეგად შესაძლოა გაიზარდოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველმხრივ ცდილობს სესხების გაცემა გააფართოვოს. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა რობერტ

ზელიკმა მოუწოდა მდიდარ ქვეყნებს ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად კრიზისის ფონდში თანხები გამოყონ.

ეკონომისტ ჯეფ ჩელსკის განცხადებით, ეს მდგომარეობა ყველაზე მტკივნეულად მაინც ღარიბ ქვეყნებზე აისახება. ისინი ვერ შეძლებენ სასაქონლო ექსპორტისთვის საექსპორტო საკრედიტო ბაზარზე სესხის აღებას. თუმცა არ არის გამორიცხული, სასაქონლო ფასების დაცემა.

2009 წლის 24 ივლისის ჟურნალ „ეკონომიკაში" გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის წინასწარი პროგნოზი სათაურით „მიმდინარე წელს განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილების შემოდინება 7,3%-თ შემცირდება" რომლის მიხედვით: მსოფლიო ბანკის წინასწარი პროგნოზით, 2009 წელს ფულადი გზავნილების შემოდინება განვითარებად ქვეყნებში 304 მლრდ დოლარს მიაღწევს, ნაცვლად ნავარაუდევი 328 მლრდ აშშ დოლარისა.

ფულადი გზავნილების შემოდინების შემცირება (6,9 პროცენტი) ლათინურ ამერიკასა და კარიბის რეგიონში, ძირითადად გამოწვეულია, აშშ-ს სამშენებლო სექტორში არსებული პრობლემებით.

ფულადი გზავნილები სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში კვლავ მნიშვნელოვანი რჩება, თუმცა 2009 წელს მოსალოდნელია მათი მოცულობის შემცირება. განვითარებად ქვეყნებს შორის ინდოეთი, ჩინეთი და მექსიკა როგორც ფულადი გზავნილების მიმღები ქვეყნები, კვლავ ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს.

მსოფლიო ბანკი განვითარებად ქვეყნებს ვერაფრით ამშვიდებს და სააგენტო Revters-თან გაკეთებულ განცხადებაში წერს, რომ „მსოფლიო ტალღისებურ საფრთხეებს

უნდა ელოდოს". მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე სტაბილიზაციის ნიშნები გამოჩნდა, თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისი აგრძელებს ნეგატიურ გავლენას განვითარებად ქვეყნებზე. ამგვარ მოსაზრებას მსოფლიო ბანკის მეთაური რობერტ ზელიკი გამოთქვამს.

მისი თქმით, განვითარებადი ქვეყნები მხოლოდ ახლა იწყებენ გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის შედეგების შეგრძნებას. ამავე დროს ზელიკი ვარაუდობს კრიზისის ახალი ძალით შემოტევას იმ ადგილებში, სადაც ის დაიწყო, ანუ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ზელიკი ამბობს, რომ მდგომარეობა შესაძლოა გაუმჯობესდეს, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის მაშტაბებისა და ტემპების ირგვლივ კვლავ გაურკვევლობაა, რადგან არსებობს რისკები, რომლებიც ეკონომიკურ აღმავლობას ემუქრება. ბანკის პრეზიდენტის ვარაუდით, მსოფლიო უნდა ელოდოს, რომ ეს საფრთხეები ტალღისებურად შემოვა, მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნები კი მნიშვნელოვან სტრესს განიცდიან.

ზელიკის აზრით, მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობა და განმეორებითი ვარდნის საფრთხე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების უნარზე, გაუმკლავდნენ შექმნილ რისკებს. ამ რისკებს შორის კი მსოფლიო ბანკის მეთაური ასახელებს საბანკო სისტემის არასტაბილურობას და პროტექციონიზმს.

ჩვენი აზრით, 2010 წლის დასაწყისიდან უკვე საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით პოზიტივი შეიმჩნევა. მაგალითად: ამერიკულ ბანკ JPMorgan Chase&C-ის ანალიტიკოსები

თავიანთ განცხადებაში „სწორება აღმოსავლეთში“ წერენ, რომ ჩინური ეკონომიკა კრიზისიდან პირველი გამოვა.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში კრიზისმა ყველაზე ბოლოს, მაგრამ მაინც შეაღწია, თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობენ, ნეგატიურ შედეგებს ეს ქვეყნები პირველები გაუმკლავდებიან. ამის შესახებ ამერიკულ ბანკ JPMorgan Chase&C-ის ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღებაში, უპირველეს როლს ჩინეთი ითამაშებს. JPMorgan-ის ანალიტიკოსების აზრით, წამყვანი განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათმა მთავრობებმა სახელმწიფო ეკონომიკის სტიმულირების პროგრამის რეალიზაცია დაიწყეს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დამთავრებისას სიტუაცია განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე გაცილებით უკეთესად იქნება, ვიდრე სხვაგან წლის დასაწყისში. ჩინეთის, ბრაზილიის და რუსეთის საბირჟო ინდექსებმა, თითოეულმა 8%-ით მოიმატა. ის, რომ გვირაბის ბოლოს შუქს პირველი ჩინეთი დაინახავს, ამაში ეჭვი უკვე არავის ეპარება.

ჩინეთი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც 2008 წლის სექტემბრის მერე კორპორატიული და საცხოვრებელი კრედიტების სფეროში თვალში საცემი ზრდა დაფიქსირდა, – აღნიშნა ეკონომისტმა Merrill Lynch-მა. ასევე ჩინეთის აქტივებში არის 1,95 ტრილიონი დოლარის ოქროს ვალუტიანი რეზერვები, პროფიციტი შიდა ვაჭრობაში, დაბალანსებული ბიუჯეტი და დაბალი ინფლაცია [5].

ეკონომიკის ექსპერტების აზრით, განვითარებადი

ქვეყნების ეკონომიკა მიმზიდველი ხდება. TFXRU ზრდის ტემპებით ისინი განვითარებულ ქვეყნებს უსწრებენ.

განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკამ მსოფლიო კრიზისის პარალელურად მდგომარეობა გაიმყარა. ეკონომიკის ექსპერტების აზრით, განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკურ ზრდას უფრო სწრაფად განიცდიან, ვიდრე განვითარებული ბაზრები.

ექსპერტების პროგნოზით, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა მომავალი 25 წლის განმავლობაში ინვესტორებისათვის გაცილებით მიმზიდველი იქნება.

დღეს, ბაზრის მონაწილეები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ინვესტიციების მომავალს უკავშირებენ. ეს მოსაზრება ბოლო ორი წლის გამოცდილების შედეგად უფრო გამყარდა, როდესაც ფინანსური პრობლემების უმრავლესობა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე დაფიქსირდა.

ერთ-ერთმა განვითარებადმა ქვეყანამ – ჩინეთმა ეკონომიკის რეცესიიდან გამოყვანა უკვე შეძლო, რაც არ შეიძლება ითქვას განვითარებულ აშშ-ზე, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი სულ უფრო მცირდება.

განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციების ფონდებში აქტივების მოცულობა მსოფლიო მაშტაბით 563 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. თუმცა განვითარებულ ქვეყნებში ჩადებულ ინვესტიციებთან შედარებით, რაც 4,4 ტრილონ დოლარს შეადგენს, ეს მაჩვენებელი მაინც დაბალია.

სამეცნიერო Revters-მა გაავრცელა ინფორმაცია სათაურით „განვითარებადი ბაზრები კაპიტალის უზარმაზარ რაოდენობას იზიდავენ“, რომელიც გადმოგვცემს ექსპერტე-

ბის შეხედულებებს, რომელთა მიხედვით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებმა კრიზისის გადატანა ფაქტობრივად დანაკარგების გარეშე შეძლეს. ვიდრე განვითარებული სახელმწიფოები მსოფლიო რეცესიის შედეგებს ებრძვიან, განვითარებადი ბაზრები კაპიტალის უზარმაზარ რაოდენობას იზიდავენ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტის დეფიციტისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპის ფონზე განვითარებადი სახელმწიფოების მზარდი მიმზიდველობა გასაკვირი არ უნდა იყოს. ექსპერტების აზრით, კრიზისმა, განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების მიმართ ინვესტორების დამოკიდებულება შეცვალა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინვესტორების უმრავლესობამ განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ თავიანთი განწყობა შეცვალა და ამ ქვეყნების ეკონომიკებში ფულის ჩადება განაგრძო.

განვითარებადი ქვეყნების აქციებისა და ობლიგაციების ფონდში კაპიტალის შემოდინებამ გასული წლის შედეგების მიხედვით, 75 მლრდ დოლარი შეადგინა. იმ დროს როდესაც ამერიკის აქციათა ფონდებმა 75 მლრდ დოლარი დაკარგა. საინვესტიციო ფონდ PimCO-ს ხელმძღვანელის თქმით, არ შეიძლება ითქვას, რომ შექმნილი ვითარების კატალიზატორი საბერძნეთის პრობლემები გახდა, თუმცა ნათელია, რომ ინვესტორები დღეს ყურადღებას უთმობენ განვითარებადი სახელმწიფოების ძლიერ ეკონომიკებს და განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიის პრობლემებს.

საერთაშორისო რეიტინგების სააგენტოებმა გასული წლის ოქტომბრიდან მოყოლებული განვითარებადი ქვეყნები

30 პოზიტიური რეიტინგით დააჯილდოვეს. რამდენიმე განვითარებული ქვეყნების – საბერძნეთის, ირლანდიისა და იაპონიის რეიტინგი კი დაეცა [6].

ბოლოს 2010 წლის 22 იანვარს საერთაშორისო ფონდის მმართველმა გააკეთა მეტად ოპტიმისტური განცხადება „გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს“. მისი განცხადებით, გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი მოსალოდნელზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და მსოფლიო ეკონომიკის ზრდა უკვე პროგნოზირებულ 3 %-ს გადააჭარბებს.

ამის მიუხედავად, მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში ეკონომიკის აღდგენის პროცესის ტემპები განსხვავებული იქნება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ეს პროცესი მერყევი და სამთავრობო დახმარებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება, რადგანაც შენარჩუნდება უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით ევროპის რეგიონსა და აშშ-ში.

კანის განცხადებით, სწორედ ამიტომაც აუცილებელია სამთავრობო დახმარების შენარჩუნება იმ დრომდე, სანამ კერძო მოთხოვნისა და დასაქმების ზრდის კუთხით გაჯანსაღების მკაფიო ნიშნები არ დაფიქსირდება.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მდგომარეობა უკეთესია. ეკონომიკის აღდგენის პროცესში ლიდერობს აზია. შიდა მოთხოვნის, მოქნილი ეკონომიკური სტრატეგიისა და კრიზისზე პოლიტიკის სწრაფი პასუხის წყალობით. აზიის რეგიონისთვის (იაპონიის ჩათვლით), ზრდა 7%-ს გადააჭარბებს.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები კრიზისის შედე-

გებს უფრო სწრაფად დასძლევენ, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

კანის განცხადებით, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მთავრობებმა შეძლეს კრიზისის შემდეგ მათ ქვეყნებში შესული კაპიტალის ნაკადების სწორი მიმართულებით წარმართვა [7].

ლიტერატურა

1. **ვეშაპიძე შოთა, ლეკაშვილი ეკა, გრიშიკაშვილი ამბროსი, ასლამაზაშვილი ნანა.** მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.
2. **სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.** ნეოკოლონიალიზმი. http://www.nplg.gov.ge/gwdict//index.php?a=term&d=6&t=5457
3. **ათასწლეულის განვითარების ... ...** http://www.light-love.eu/ge/index.php?option=com–content&view=article&id=5&Itemid=6
4. **განვითარებადი ქვეყნები მილიარდებს .....** http://banksandfinance.ge/world/376-ganvitarebadi.html
5. **ჩინური ეკონომიკა კრიზისიდან ... ...** http://banksandfinance.ge/world/270-chineti.html
6. **დაწვრილებით-ეროვნული საკრედიტო .....** http://www.ncib.ge/geo/index.php?subaction=showfull&id=1265111856&archive=&start–from =&ucat=&city
7. **პარასკევი 22 იანვარი 2010 ... ...** http://www.economy.ge/digest/digest-22-01-2010-geo.html

თავი II. განვითარებადი ქვეყნების ეფექტიანი ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

2.1. პოსტსაბჭოური განვითარებადი ქვეყნების თავისებურებანი

საბჭოთა კავშირი, ჩვენი აზრით, იყო მეოცე საუკუნის უძლიერესი სუპერ ზესახელმწიფო, რომელიც ჩვენი პლანეტის ხმელეთის დაახლოებით ოცდაოთხ მილონ კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული და იქ ცხოვრობდა დაახლოებით 285 მილიონი ადამიანი. მისი დაშლის შემდეგ, ანუ 1991 წლიდან საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე შეიქმნა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, საქართველო, სომხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ყირგიზეთი, თურქმენეთი, მოლდავეთი.

ინტერნეტის მასალების მიხედვით, პოსტსაბჭოთა სივრცე, ამჟამად წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირი დატოვეს 1991 წელს, მისი დაშლის დროს. ტერმინი პირველად გამოყენებული იქნა ლიტველი ისტორიკოსის ალგის პრაზაუსკასის მიერ, რომელიც პირველად გამოჩნდა სტატიაში „დსთ, როგორც პოსტკოლონიური არეალი“, 1992 წლის 7 თებერვალს „ნეზავისიმაია გაზეტა“-ში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული განვითარების მიხედვით ხუთ ჯგუფად იყოფიან. **ბალტიისპირეთი** (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია),

ცენტრალური აზია (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი), **სამხრეთ კავკასია** (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). და **აღმოსავლეთი ევროპა** (უკრაინა, ბელარუსია, მოლდავეთი და რუსეთი).

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს რუსეთთან დიდი და ძველი კავშირები ჰქონდათ რუსეთის დაარსების თითქმის პირველი დღეებიდანვე. ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის დაპყრობა რუსეთმა მხოლოდ XVIII-XIX საუკუნეებში შეძლო. ბალტიისპირეთის ქვეყნები ტევტონის ორდენის, დანიის, პოლონეთისა და შვედეთის მთავრობების მფარველობის ქვეშ დიდი დროის განმავლობაში იყვნენ, სანამ XVIII საუკუნეში რუსეთის დაქვემდებარებაში შევიდოდნენ. ისინი დამოუკიდებელი ქვეყნები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გახდნენ. 1940 წელს ამ რესპუბლიკების გაერთიანება სსრ კავშირში დასავლური ქვეყნებისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობა დადასტურებული იქნა ჰელსინკის შეთანხმებით.

ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლის პერიოდში იყო შეთავაზება შეექმნათ კონფედერაციულ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი (სსკ), რომელშიც გაერთიანებაზე 1991 წლის 14 ნოემბერს წინასწარ შეთანხმდა შვიდი რესპუბლიკა (ბელარუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი), მაგრამ რადგანაც წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოებიდან მოდიოდა, კავშირი არ შექმნილა.

ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობასა და მათ მთავრობებს, სსრ კავშირის ნოსტალგია იმდენად

აწუხებდათ, რომ მზად იყვნენ საკუთარი ქვეყნების სუვერენიტეტი დაეთმოთ და ახალი კავშირი დაეარსებინათ, სადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობა შევიდოდა.

90-იან წლებში განიხილებოდა ნაზარბაევის წინადადება რუსეთთან ერთად შეექმნათ ევრაზიული კავშირი, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო ხუთი სახელმწიფო (ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი).

ბოლო დროს გახმაურდა იდეა შეექმნათ რუსეთისა და ბელარუსიის ერთობლივი გაერთიანებული სახელმწიფო, ამავე სახელწოდებით. რუსეთისა და ბელარუსიის კონფედერაციული კავშირი, მანამდე 1997 წლის 2 აპრილს შეიქმნა, ადრე შექმნილი (2 აპრილი 1996) რუსეთისა და ბელარუსის საზოგადოების ბაზაზე. იდეა ეკუთვნოდა ბელარუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს.

ბალტიისპირეთის ქვეყნები ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან არავის არ შეერთებიან და კურსი დასავლეთისკენ აიღეს (კერძოდ, შევიდნენ ევროპის კავშირსა და ნატოში).

ადრე სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფმა ქვეყნებმა, ბალტიისპირეთის გარდა, შექმნეს გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და ორგანიზაციები მაგალითად: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) – საქვეყნათაშორისო გაერთიანება, რომელშიც გაწევრიანებულები არიან: რუსეთი, ბელარუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი და უზბეკეთი. საქართველომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მერე დატოვა დსთ და კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია – კუხო. კუხოს

მთავარი ამოცანა – საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლაა.

– **სუამი,** მასში ოთხი წევრია (უზბეკეთის გასვლის შემდეგ): საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდავეთი. სუამ-ს ბევრი თვლის, როგორც ანტირუსულ ორგანიზაციას. სუამის წევრები არ არიან გაერთიანებული ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილ არცერთ ორგანიზაციაში დსთ-ს გარდა.

– **ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება** (ევრაზესი) დაარსებულია რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მიერ. სომხეთს, მოლდავეთსა და უკრაინას დამკვირვებლის სტატუსი აქვს. უკრაინამ განაცხადა, რომ არ სურს ფართოუფლებიანი წევრობა, მოლდავეთიც არ შედის ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციაში, რამდენადაც მისი პირველი დონის მეზობელი საზოგადოების წევრი არ არის. უზბეკეთი წევრი გახდა 2006 წლის 25 იანვარს.

– **შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია** შედგება ჩინეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთისგან. ორგანიზაცია დაარსდა 2001 წელს.

სეპარატისტული კონფლიქტები და ომები

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე კონფლიქტების უმეტესობა სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. სეპარატისტები ცდილობენ ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე დამოუკიდებლობა მიიღონ სახელმწიფოსგან, რომლის ნაწილად ითვლებიან, მაგალითად, **დნესტრისპირეთი,** კონფლიქტი მოლდავეთისაგან დამოუკიდებლობის მისაღებად; **აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი,** კონფლიქტი საქართ-

ველოსგან დამოუკიდებლობის მისაღებად. (რუსეთმა, ნიკარაგუამ და ვენესუელამ ცნო მათი დამოუკიდებელობა). **იჩქერია,** კონფლიქტი რუსეთისგან დამოუკიდებლობის მისაღებად; **მთიანი ყარაბაღი,** კონფლიქტი აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობლის მისაღებად; **ინგუშეთი,** კონფლიქტი რუსეთისგან დამოუკიდებლობის მისაღებად.

რუსეთმა ძალით დაიბრუნა ჩეჩნეთი. 2008 წლის ბოლოს ყარაბაღის თემაზე გამართულ შეხვედრაზე, სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ყარაბაღი ოფიციალურად რჩება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ყოფილ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ორჯერ იყო სამოქალაქო ომი, რომელიც არ უკავშირდებოდა სეპარატისტულ რეჟიმებს, მაგალითად სამოქალაქო ომი საქართველოში ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მომხრეთა შორის. ომი დამთავრდა, როდესაც რუსეთის ჯარმა მხარი დაუჭირა შევარდნაძეს, საქართველოს დსთ-ში შესვლის ნაცვლად. სამოქალაქო ომი ტაჯიკეთში 1992-1997 წლებში. ასევე ადგილი ჰქონდა ფერად რევოლუციებს ყოფილი საბჭოთა კავშირის სამ რესპუბლიკაში, რომელთაც ოპოზიცია მთავრობაში მოიყვანეს. „ვარდების რევოლუცია საქართველოში“, „ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში”, „ტიტეების რევოლუცია ყირგიზეთში“ [1].

საბჭოთა კავშირი, ჩვენი აზრით, იყო სუპერ ზესახელმწიფო თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერის მიხედვით. იგი მსოფლიოში მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩებოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ნანგრევებზე წარმოქმნილი

დამოუკიდებელი რესპუბლიკების უმრავლესობა, მრავალი მიზეზის გამო, ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნების დონეზე აღმოჩნდა, რომლებსაც დღეს, საყოველთაო შეხედულებით, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ეწოდებათ. ეს ქვეყნები ამჟამად იმყოფებიან ოდესღაც მოქმედი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის მართვის სისტემიდან ისეთ ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე, რომელშიც მთავარია მართვის საბაზრო პრინციპები. ამ ქვეყნების ჯგუფს სულ ახლახანს მიეკუთვნებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოები და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები. ეს ქვეყნები ამჟამად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებია, თუმცა ისინი თანდათანობით განვითარებად სახელმწიფოთა დონემდე ეშვებიან. მათგან გარკვეული მოსაზრებებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის სლავური რესპუბლიკები (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსია) შეიძლება განვითარებულადაც მივიჩნიოთ. სამხრეთი სახელმწიფოები კი უფრო კლასიკური განვითარებადი ქვეყნებია, ვიდრე გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები. ამ დაჯგუფების სახელმწიფოები ამჟამად სარგებლობენ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ინფრასტრუქტურის ნარჩენებით და ცდილობენ მოძებნონ თავიანთი განსაკუთრებული გზა მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში [2, გვ. 169-170].

1990-იანი წლების განმავლობაში დსთ-ს წევრი ქვეყნების ეკონომიკის განვითარება ხასიათდებოდა წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის განუწყვეტელი დაღმავლობით, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობრივი და თვისებრივი გაუარესებით, მოსახლეობის მატერიალური

კეთილდღეობის დონის მკვეთრი დაცემით (ყველა ქვეყანაში). სხვადასხვა ქვეყანაში კი ის შეადგენდა: სომხეთში, საქართველოში, ტაჯიკეთში – 70%; აზერბაიჯანში, რუსეთში, ყირგიზეთში – 60%-ს; მოლდავეთში – 50%-ს; უკრაინში, თურქმენეთში (არ შედის დსთ-ში) – 40%; უზბეკეთში, ყაზახეთში – 35%-ს; ბელარუსიაში – 25%-ს.

ამ ქვეყნების ეკონიმიკებს ყველაზე ძლიერი დარტყმა სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ მიაყენა. პრაქტიკულად დაიკარგა სავაჭრო კავშირები, შეწყდა კაპიტალური და ბინათმშენებლობა. ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევის პირობებში ეროვნულ ვალუტაზე გადასვლამ მისი გაუფასურება გამოიწვია. დომინირებდა ბარტერული გარიგებები. დენაციონალიზება (პრივატიზება) სტიქიურად მიმდინარეობდა. არ შეიქმნა საბაზრო მექანიზმები. ეს სიტუაცია დამახასიათებელი იყო თითქმის ყველა ახლადშექმნილი სახელმწიფოსთვის, გარდა უზბეკეთისა და ბელარუსიისა, სადაც სტრატეგიული ხასიათის ძირითადი სამეურნეო ობიექტები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დარჩა.

XXI საუკუნის დასაწყისში სიტუაცია ნელ-ნელა გაუმჯობესდა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში. ცენტრალურ აზიაში და ამიერკავკასიაში, შეწყდა შეიარაღებული კონფლიქტები, მეტნაკლებად მოწესრიგდა ახალი საბაზრო სისტემები, ამუშავდა სასაქონლო, მომსახურების და ფულის (სავალუტო) ბაზრები.

ინსტიტუციური ცვლილებები აუცილებელია საბაზრო სისტემის საფუძვლის შექმნისთვის, საბაზრო მეურნეობის და სამეწარმეო ძალების ამოქმედებისთვის. ეს კი გულისხმობს ქონების მიმართ დამოკიდებულების შეცვლას; პრივა-

ტიზებას და მინის რეფორმას; შრომის და კაპიტალის ბაზრის ფორმირებას; სამეწარმეო საქმიანობის და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მხარდაჭერას; საბაზრო ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის შექმნას; საგადასახადო სამსახურის, სასამართლო და სამართალდამცავი სისტემების შექმნას და სხვა. სტრუქტურული გარდაქმნა წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ადაპტაციის პროცესს მარადცვალებადი ეროვნული და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების მიმართ. იგი აუცილებელია ეკონომიკის გეგმიური სისტემის გადაყვანისთვის სამომხმარებლო საქონლის, მომსახურების წარმოების და მოთხოვნის სტრუქტურებზე.

2000-2005 წლებში დსთ-ს წევრ ქვეყნებში გარკვეული წინსვლა დაფიქსირდა გარდამავალი პერიოდის დასაწყისთან შედარებით. პირველად, გასული ათწლეულის განმავლობაში, დსთ-ს ყველა წევრ ქვეყანაში დადებითი ზრდა აღინიშნა, რაც, ძირითადად, ნავთობზე და ბუნებრივ აირზე ფასების ზრდით და რუსული რუბლის გაუფასურებით აიხსნებოდა.

2002-2005 წლებში საკმაოდ მზარდი იყო ამ ქვეყნების განვითარების ტემპები. ცენტრალურ ევროპაში სამრეწველო წარმოების განმტკიცების გარკვეული ნიშნები შეიმჩნეოდა. უფრო ზოგადად კი, ეკონომიკური ზრდა ეყრდნობა შიდა მოხმარების ზრდას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ამ რეგიონში ევროკავშირის ძალთა შემდგომ გადაადგილების პროცესს, რომელიც 2005 წელს ევროკავშირში ამ ქვეყნების შესვლის სტიმული გახდა. 2002 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკა 6,3%-ით გაიზარდა, რასაც საფუძვლად დაედო ამ ქვეყნებში გაზ-

რდილი შიდა მოთხოვნა. ამას მოქნილი რეაგირება მოჰყვა დსთ-ს მხრიდან, რითაც ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან შემცირებული მოთხოვნა დაბალანსდა. 2004-2005 წლებში ხდებოდა ზრდის უმნიშვნელო კლება, ამავე დროს ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა ამ ქვეყნების შიდა მოთხოვნა და ევროკავშირში გაერთიანება.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკაზე, სადაც ყოველწლიურად, 2000 წლიდან დაწყებული, ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნებოდა. ეკონომიკური აქტივობის ზრდის ძირითადი მიზეზები იყო: მზარდი შიდა მოთხოვნა (რუსეთსა და უკრაინაში), ნავთობზე ფასების ზრდა და სათანადო კაპიტალდაბანდებები ნახშირწყალბადების მოპოვების დარგში. როგორც კასპიის რეგიონში, ასევე ცენტრალურ აზიაში დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკა იზრდება ნავთობის და გაზის მოპოვების დარგებში გაწეული მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდების ხარჯზე. ნაკლებად ძლიერი ეკონომიკის ქვეყნები მოგებას იღებენ სასარგებლო წიაღისეულის და მადანის მოპოვების სექტორში აქტივობის ამაღლებით.

„უმსხვილეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 2001 წელს დაწყებულმა ზრდის შენელებამ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც გააძლიერა ზრდის ტემპების შენელება. ბევრი მათგანი დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებას მდგრადი ხასიათი არ გააჩნდა; ნელა მიმდინარეობდა ფინანსური სექტორის პოსტკრიზისული რეორგანიზება; კორპორაციულ სექტორში კვლავაც აღინიშნებოდა დავალიანების მაღალი დონე. აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა ევროკავშირის

წევრი გახდა, მაგრამ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, ისინი კვლავაც დაუცველნი არიან საგარეო მოთხოვნის ცვლილებებისგან, როდესაც მათი საექსპორტო პროდუქცია კონკურენციას უწევს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე არსებულ პროდუქციას და მოთხოვნა მათ პროდუქციაზე უმნიშვნელოა. მაგრამ თანდათან მათი პოზიციები ძლიერდება და ისინი საგარეო-ფინანსური ზემოქმედებისგან უფრო დაცულნი ხდებიან. ამას მთლიანი შიდა პროდუქტი-ს (მშპ-ს) ზრდის მაღალი ტემპებიც ადასტურებს“ [2, გვ. 598-601].

ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლიდან ანუ 1991 წლიდან, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობის ხელისუფლებაში დემოკრატიის ნიღაბქვეშ, ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს გარეგნულად ვითომდა მთავრობები, სინამდვილეში კი შექმნეს კრიმინალური კლანური დაჯგუფებები და მათი მეშვეობით ახორციელებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ხალხის და ქვეყნების ეკონომიკის „კანონიერად“ ძარცვას და მიტაცებას. ამის შედეგად, მილიონობით გაღატაკებული მოსახლეობის ფონზე დიდი სისწრაფით, მოკლე პერიოდში, წარმოიშვა მულტიმილიონერთა და მილიარდერთა საკმაოდ მოზრდილი ფენა. ამ ქვეყნების უმრავლესობაში თითქმის მოისპო და განადგურდა მოსახლეობის საშუალო ფენა. საკმაოდ გაიზარდა კორუფციის მასშტაბები, თითქმის არ არსებობს სიტყვის თავისუფლება. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იქცა პოლიტიკურ პატიმრად, ხორციელდება ჟურნალისტთა და მასმედიის მუშაკთა დევნა და ლიკვიდაცია. სასტიკად ირ-

ღვევა ადამიანის უფლებები, დიდი მასშტაბებით აყალბებენ არჩევნებს და ამით მოსახლეობას უსპობენ თავისუფალი არჩევანის უფლებას. საკმაოდ დიდია უმუშევრობის მასშტაბები, ოპოზიცია არის დევნილი, ფრიად შევიწროებული და დაფინანსების წყაროს მოკლებული, გაზრდილია კრიმინალი. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იქცა მათხოვრად, ისევე, როგორც ამ ქვეყნების უმეტესი ნაწილი იქცა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების ხელისშემყურედ, ანუ მათხოვრად.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ინტერნეტში განთავსებული მასალებიც, მაგალითად სტატიაში „შეტევა სიტყვის თავისუფლებაზე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში". ნათქვამია, რომ ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში მიკლოშ ჰარასტი აცხადებს, რომ ეუთოს წევრ რამდენიმე სახელმწიფოში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი უკან დახევა მედიის ლიბერალიზაციისაგან. ჰარასტის სიტყვებით იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც მას ეს თანამდებობა უკავია, მოწმე გახდა, თუ როგორ უარესდებოდა ზოგიერთ ქვეყანაში მედიის თავისუფლების მდგომარეობა, უხეშად, რომ ვთქვათ, „ფერადი რევოლუციების" შემდეგ როგორ დაიწყო კონტრევოლუციის პროცესი დამოუკიდებელი მასმედიის წინააღმდეგ, განაცხადა მან ჰელსინკის კომისიის სხდომაზე, კონგრესის წევრების წინაშე გამოსვლისას.

ჰარასტის ინფორმაციით, ეუთო დოკუმენტურად აღნუსხავს სხვადასხვა ქვეყანაში მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის შემთხვევებს და ამ მაჩვენებლებით მოწინავე პოზიციებზე არიან რუსეთი, ბელარუსია, ყაზახეთი, აზერ-

ბაიჯანი და უზბეკეთი [3].

ბევრ ქვეყანაში მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალებაა ინტერნეტი, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს შეუზღუდოს მოქალაქეებს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. ინტერნეტს უტევენ, როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული ასპექტით. ეს საფრთხის ქვეშ აყენებს პრესის თავისუფლებას არა მხოლოდ დღეს, არამედ მომავალში.

როგორც ცნობილია, პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ, პოლიტიკური განვითარების დასავლური ორიენტაციის გზა აირჩია, რითაც დიდად განაწყენებულ იქნა ვლადიმერ პუტინი, რომელმაც თავის დროზე საჯაროდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. ვლადიმერ პუტინს დღემდე აწუხებს საბჭოთა კავშირის ნოსტალგია და ცდილობს პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლით აიძულოს პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფი განვითარებადი ქვეყნები შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, ან მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სრულფასოვანი რევოლუციური გარდაქმნები მხოლოდ საქართველოში განხორციელდა.

წარმატებული ცვლილებებისთვის, როგორც ცნობილია, საჭიროა რამდენიმე ფაქტორი: ისტორიული მეხსიერება, საკუთარი სახელმწიფობრიობის არსებობისა და პოლიტიკური კულტურის ტრადიცია, საბჭოთა ხელისუფლებამდე ისეთი პარტიების ან თუნდაც ჯგუფების არსებობა, რომლებიც აქტიურად ეწეოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას ან,

სულ მცირედ განიხილავდნენ არსებულ პოლიტიკურ პრობლემებს, ასევე საჯარო და საპარლამენტო პოლიტიკის ტრადიცია, თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლის ტრადიცია, დისიდენტობის ტრადიცია.

რასაკვირველია, შესაძლოა სხვა ფაქტორების არსებობაც. მაგალითად, რევოლუციური განწყობებისთვის კრიტიკულად შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ეკონომიკური სიტუაცია, არამედ ომი და ხალხის მასობრივი მიგრაცია.

ჩვენი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცეში სრულფასოვანი რევოლუციური გარდაქმნების ყველა ფაქტორი მხოლოდ საქართველოში არსებობდა. უკრაინაშიც კი რომელმაც „ვარდების რევოლუციის" გამოცდილება გაიზიარა, ვერ შეძლეს იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომ უკრაინა დაყოფილია ენობრივი ნიშნით, ეკონომიკური პოტენციალით; დასავლეთის და აღმოსავლეთის ისტორიული მეხსიერება განსხვავებულია და დისიდენტობის ტრადიცია ძირითადად ქვეყნის დასავლეთ რეგიონებს აქვთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვლადიმერ პუტინი, რომელსაც დღეისათვის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა უკავია, უკვე დიდი ხანია ოცნებობს საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. იგი ამის მისაღწევად პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას ახდენს პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფ განვითარებად ქვეყნებზე და ცდილობს რაიმე ფორმით რუსეთის ფედერაციასთან მათ მიერთებას. მან უპირველეს ყოვლისა მიზანში ამოიღო საქართველო. არ აკმარა მას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუსეთის მიერ უკანონოდ მიტაცება და გაბრაზებულმა იმით, რომ საქართველო თავი-

სას არ იშლის და დასავლეთის ორიენტაციის გზას ჯიუტად ადგას, შეუქმნა აუარებელი პრობლემა. კერძოდ, განახორციელა ეკონომიკური ზეწოლა, რომელსაც საქართველომ ვაჟკაცურად გაუძლო. ამის საპასუხოდ ვლადიმერ პუტინმა, გამოიყენა მის ხელთ არსებული ერთ-ერთი უკანასკნელი ბერკეტი და 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია განახორციელა. ქართულმა ჯარმა, რომელიც მომზადებული იყო დასავლეთის პარტნიორი ქვეყნების მიერ, გაუძლო ამ აგრესიას და ხუთი დღის განმავლობაში ვაჯკაცურად იგერიებდა რუსეთის 58-ე არმიის იერიშებს. საქართველოს მთავრობის თხოვნით შუამავლობა საფრანგეთმა იტვირთა. საქართველოს, საფრანგეთის და რუსეთის ფედერაციის იმდროინდელმა პრეზიდენტებმა შესაბამისად მიხეილ სააკაშვილმა, ნიკოლა სარკოზიმ და დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად, მეომარმა მხარეებმა იკისრეს ომამდელ მდგომარეობამდე დაბრუნების ვალდებულება, რომელსაც რუსეთი დღემდე არ ასრულებს. ამ ომმა, ჩვენი აზრით, ორივე მხარეს დიდი ზარალი მიაყენა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომმა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე შეცვალა. მისი სიტყვებით, პრაქტიკულად დაშლილია დსთ, რომელიც საქართველომ დატოვა. თუ პირველ სამიტზე, სადაც ის იმყოფებოდა, სრული ანშლანგი იყო, ახლა მასზე რამოდენიმე ლიდერი ხვეწნით ჩაჰყავთ. აღარავის აღარ უნდა იქ წასვლა, განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გორში ყოფნისას.

მისივე თქმით, ერთი წლის წინ ყველა ფიქრობდა, რომ საქართველო დაიშლებოდა და დაქუცმაცდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ჩვენი აზრით, რუსეთი კვლავ ცდილობს, დაამტკიცოს არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მსოფლიოშიც, რომ ის ისევ მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს. ცდილობს აჩვენოს მსოფლიოს, რომ ის არის საბჭოთა კავშირის მემკვიდრე და გამუდმებით ექიშპება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს (ნატოს). რუსეთი ცდილობს, დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციასა და გაეროს შორის ისეთივე მემორანდუმის გაფორმებას, როგორიც ნატოსა და გაეროს შორის 2008 წელს გაფორმდა.

მოსკოვში პრაქტიკულად არ მალავენ, რომ ამ მემორანდუმის გაფორმების შემთხვევაში დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია თავისი ოფიციალური სტატუსით ნატოს გაუთანაბრდება.

კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციაში დსთ-ს წევრი 7 ქვეყანა შედის: რუსეთი, სომხეთი, ბელარუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. ქართველი ექსპერტები ხსენებული მემორანდუმის გაფორმებას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევენ, თუმცა ფიქრობენ, რომ თუკი მოსკოვმა თავისი გაიტანა, ეს ჰიპოთეტურად შესაძლოა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზეც აისახოს, რადგან თუკი ახლო მომავალში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ძალების ჩაყენების საკითხი დადგება, ამ მემორანდუმის საფუძველზე, მოსკოვი სამშვიდობო ოპერაციაში დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის ჩართვას მოითხოვს.

ექსპერტ არჩილ გეგეშიძის აზრით, ერთია, რომ ამგვარი მემორანდუმის დადების სურვილი აქვს ამ ორგანიზაციას, ხოლო მეორეა – რამდენად მოხდება მემორანდუმის გაფორმება. მისი თქმით, თეორიულად შესაძლებელია ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და მემორანდუმიც გაფორმდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში და ეს ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც აისახა, რუსეთმა მედიატორის როლი ვერ გამოავლინა, კონფლიქტურ ზონებში მშვიდობისმყოფელის რეპუტაცია დაკარგა და მის მიმართ ნდობა სერიოზულად დაეცა. ამიტომ პერსპექტივას მოკლებულია, რომ დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციამ გაეროსთან შეთანხმებას მიაღწიოს. თუმცა შესაძლოა ეს საკითხი მხოლოდ გაეროს გადასაწყვეტი არ იყოს და სხვა ფორმატში გადაწყდეს, მაგალითად ამერიკა-რუსეთის დიალოგში. არ არის გამორიცხული, რუსეთმა ამ საკითხის გადაწყვეტაში მხარდაჭერა პრეზიდენტების დონეზე მოითხოვოს. დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების დღის წესრიგში ყოველთვის არსებობს თემები ვაჭრობისათვის. აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი ფაქტობრივად იზოლაციაშია. თავად კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმაც არ დაუჭირეს მხარი მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაში. არადა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ოკუპირებული ტერიტორიების ლეგიტიმაცია. ამიტომ, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მას იზოლაციიდან გამოიყვანს, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რუსეთის მთავარი მიზანია, ჩათვალონ, რომ მას პოსტ-

საბჭოთა სივრცეში რაღაც კიდევ მოეთხოვება. რუსეთს დსთ-ც ხელიდან ეცლება. ისე დსთ-საც ჰქონდა მსგავსი პრობლემა ოფიციალური ცნობისა და ამ თვალსაზრისით ეს ორგანიზაციაც არ გახლავთ სრულყოფილი და გაეროს მხრიდან ბოლომდე აღიარებული. ის, რომ დსთ-ს ბოლო შეხვედრაზე 14 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 4-5 ქვეყნის ლიდერი ჩავიდა, კიდევ ერთ სისუსტეზე მიანიშნებს. ამიტომ, მთელი აქცენტი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციაზე გადადის. ექსპერტი არ გამორიცხავს (ეს მხოლოდ მოსაზრებაა), რომ რუსეთმა ეს დასავლეთის ქვეყნებთანაც ორმხრივი დიალოგის რეჟიმში დააყენოს, მაგალითად საფრანგეთთან, გერმანიასთან, აშშ-თან, მისი აზრით, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციების შეყვანის თაობაზე საუბრისას რუსეთი მოითხოვს, რომ კონტროლი მოხდეს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზციის მიერაც; ანუ იტყვის – კი ბატონო, თუ ასეა, რაღა სინგაპურელი და ბანგლადეშელი ჯარისკაცი შევიდეს, იქნებ ეს მისია ყაზახმა ან სომეხმა ჯარისკაცმა შეასრულონო.

პოლიტოლოგი ვასილ ჭყოიძე უსუსურს უწოდებს რუსეთის მცდელობას დაიმკვიდროს თავი, როგორც ცალკე და ნატოსთან თანასწორმა მოთამაშემ გლობალურ საფრთხეებთან ბრძოლაში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის რეპუტაცია დაეცა, საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვებამ კი გააჩინა ცენტრიდანული ტენდენციები. სწორედ აგვისტოს მოვლენებმა გამოიწვია კოლექტიური უსაფრთხოების ორ-

განიზაციის წევრების შეშფოთება, რომლებმაც დაინახეს, რომ რუსეთს შეუძლია ისინი ნებისმიერ სამხედრო ავანტურაში ჩაითრიოს, თუკი მის ნებას დაჰყვებიან. ამიტომაც ბევრი მათგანი რუსეთის ინიციატივებს დიდი სიფრთხილით ეკიდება.

რუსეთი ცდილობს მჭიდროდ შემოიკრიბოს დსთ-ს ქვეყნები, რომლებიც, შიშის თუ სხვა მიზეზების გამო, ვერ ბედავენ დატოვონ მათთვის უსარგებლო და შესაბამისად, საშიში ორგანიზაცია. მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობს აჩვენოს დასავლეთს, რომ ის კვლავ რჩება დომინანტად დსთ-ს სივრცეში და მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი ამ სივრცეში მოაზრებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ზოგადად თანამშრომლობა გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

ასევე, კოლექტიური უსაფრთხოების ძალების არსებობას კრემლის პროპაგანდა შიდა მოხმარებისათვის იყენებს. იგი ჩააგონებს თავის მოქალაქეებს, რომ არსებობს ნატო და ასევე ნატოზე არანაკლებ გავლენიანი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის გარშემო არის კონსოლიდირებული. ბუნებრივია, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის შედარება ნატოსთან აბსურდია, მაგრამ ასეთი პროპაგანდა რუსული საზოგადოების გარკვეულ ფენებზე მაინც ჭრის.

რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ გაეროს მეშვეობით იგი სრულუფლებიან მოთამაშედ აღიაროს საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვისა და დამკვიდრების საკითხებში, რამდენადაც ეს იმის

მაჩვენებელი იქნება, რომ რუსეთის პოსტულატს, პოსტსაბჭოთა სივრცე მისი განსაკუთრებული გავლენისა და ინტერესის სფეროა, მიიღებს საერთაშორისო თანამეგობრობა. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია. არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ აღიარებს, რომ რუსეთს გააჩნია ექსკლუზიური უფლებები და ინტერესები პოსტსაბჭოთა არეალში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს რუსეთისათვის ნებართვას, რომ მისი სატელიტი ქვეყნების შეიარაღებული ძალები გამოიყენოს საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვეთის ან თუნდაც თურქმენეთის წინააღმდეგ, რაც, რა თქმა უნდა წარმოუდგენელია – აცხადებს ვასილ ჭყოიძე [4].

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, ჩვენი აზრით, მეტად მძიმე და დაძაბული მდგომარეობაა. ამას განაპირობებს კონფლიქტური სიტუაციები (დნესტრისპირეთის, სამაჩაბლოს, აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის და სხვა). ამას დავუმატოთ ასევე რუსეთის იმპერიული ამბიციები. მდგომარეობა, რომ კრიტიკულ ზღვარზეა ეს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმაც დაადასტურა.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები განუხრელად იზრდება. ამ მხრივ პირველ ადგილზე საქართველოა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დსთ-ის ქვეყნები და საქართველო მაშტაბური ომისთვის ემზადებიან წერს – „ნეზავისიმაია გაზეტა".

სტატიაში ნათქვამია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 4.56% საქართველოს ხელისუფლება თავდაცვაზე ხარჯავს. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2009 წელს 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტად შემცირდა. თუმცა, ბიუჯეტიდან

სამხედრო საჭიროებისათვის მაინც გამოიყო 519 მილიონი აშშ დოლარი.

ამ თანხაში არ შედის აშშ-ისა და ნატოს სამხედრო-ჰუმანიტარული დახმარება. ამჟამად 1 მილიარდი აშშ დოლარი, რომლისგანაც 50 მილიონი გათვალისწინებულია მხოლოდ სამხედრო ხარჯებისათვის საქართველოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფარგლებში დახმარების სახით.

ანალოგიური თანხის გამოყოფითაა დაკავებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც. მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძეს თქმით, გათვალისწინებული იყო რეფორმების გაგრძელება დემოკრატიის, თავდაცვისა და ეკონომიკის გამყარებისთვის.

საქართველოს შემდეგ შეიარაღების ხარჯების მხრივ მეორე ადგილზე სომხეთი სახელდება, რომელიც თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 4,07%-ს ხარჯავს. ხოლო თუ არაღიარებული მთიანი ყარაბაღის სამხედრო ხარჯებსაც გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ სომხეთის მთავრობა სამხედრო საჭიროებისათვის ყოველწლიურად დაახლოებით 600 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავს.

აზერბაიჯანს კი, რომელიც ამტკიცებს, რომ მეზობელი სომხეთი მისი კანონიერი ტერიტორიის 20% ფლობს, არაერთგზის განუცხადებია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა სამხედრო გზითაც შეიძლება. ამ გეგმების მიხედვით კი, იგი ცდილობს არავის ჩამორჩეს და სამხედრო ხარჯებისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,95 % ხარჯავს.

აზერბაიჯანის სამხედრო პოტენციალის ზრდით შეშფოთებულნი არიან ეუთოს წარმომადგენელნი. ქვეყანაში შექმნილია ცალკე სამინისტრო, რომელიც სამხედრო

მრეწველობას განაგებს. მისი ბიუჯეტი კი თავდაცვაზე გამოყოფილ სხვა სახსრებში არ შედის. ამას გარდა, ბოლო წლების განმავლობაში აზერბაიჯანმა მოახერხა მნიშვნელოვანი სამობილიზაციო რეზერვის ჩამოყალიბება. ასე რომ, ექსპერტთა აზრით, ყოველივე ზემოთხსენებულისა და ასევე „ნავთობდოლარების" წყალობით, სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აზერბაიჯანს სამხედრო ხარჯებისათვის 3-4 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 9-10%) გამოყოფაც შეუძლია.

უკრაინა სამხედრო ხარჯებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5% ხარჯავს, მიმდინარე წელს ამ ხარჯების 5.2 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზრდას აპირებს. თუმცა ექსპერტები ეჭვობენ, რომ უკრაინა ამის გაკეთებას შეძლებს. მთლიანი შიდა პროდუქტის ასეთივე პროცენტს ხარჯავს თავდაცვისათვის უზბეკეთიც.

ბელარუსიაში არმიისთვის 900 მილიონ აშშ დოლარზე მეტი (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 %) იხარჯება.

რუსეთის სამხედრო ხარჯები კი რუბლის ექვივალენტში 3,4%-ითაა გაზრდილი. თუმცა ხარჯებმა თითქმის 1,5 მილიარდი აშშ დოლარით იკლო – მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებისა და რუბლთან მიმართებაში დოლარის კურსის გაზრდის გამო.

ამასთან ერთად, რუსეთის ფედერაცია თავდაცვის სფეროში აქტიურად ეხმარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ამ ქვეყნების მიმართ რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური დახმარება იმაზე მეტია, ვიდრე საქართველოს მთელი სამხედრო ბიუჯეტი.

აფხაზეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზების ინ-

ფრასტრუქტურის მოწყობისთვის გამოყოფილია 15-16 მილიარდი რუსული რუბლი. სამხრეთ ოსეთის მიმართულებითაც ნაკლები თანხა როდი იხარჯება.

ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი თავდაცვის სფეროზე დიდ თანხებს არ ხარჯავენ. მათი დანახარჯები სამხედრო სფეროში მთლიანი შიდა პროდუქტის 1% შეადგენს.

უცვლელი რჩება თურქმენეთისა და მოლდავეთის სამხედრო ხარჯები და მათი რაოდენობა მცირეა [5].

პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის შემდეგ ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქვეყანა უკრაინაა. ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რყევები და ცვლილებები მოხდა. იქ დიდია ე.წ. რუსულ-უკრაინული მოსახლეობაც, ამდენად რუსეთს ამ ქვეყანაში ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად, ამ თვალსაზრისითაც საკმაოდ დიდი დასაყრდენი აქვს. 2004 წლამდე უკრაინის პოლიტიკა ძირითადად პრორუსული ორიენტაციის იყო. 2004 წლის „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ, უკრაინაში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ორიენტაცია შეცვალა და პროდასავლურ დემოკრატიულ გზას დაადგა, კერძოდ, მან კურსი აიღო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსისა და ევროკავშირისაკენ. უკრაინის ხელისუფლების ასეთმა საქციელმა დიდად გაანაწყენა რუსეთის ხელისუფლება და იგი 2010 წლამდე ყველა ღონეს ხმარობდა უკრაინის ხელისუფლების შესაცვლელად და აი, 2010 წლის 7 თებერვალს ჩატარებულ არჩევნებში რუსეთის სასურველმა კანდიდატმა ვიქტორ იანუკოვიჩმა გაიმარჯვა. ჩვენი აზრით, 2010 წლის 7 თებერვალს უკრაინაში და საერთოდ პოსტსაბჭოთა

სივრცეში პირველად ჩატარდა ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები. ვიზიარებთ და ვეთანხმებით ზოგიერთი ექსპერტის და ანალიტიკოსის მოსაზრებებს და ვფიქრობთ, რომ უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გზიდან გადაუხვევს, მაგრამ ევროკავშირის გზას ბოლომდე მიჰყვება.

თბილისელი პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ უკრაინამ ისეთი მაგალითის დემონსტრირება მოახდინა, რომელიც მისაბაძია სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისათვის – მათ შორის საქართველოსთვისაც.

ბატონ იუშჩენკოს პოლიტიკური კარიერის სამწუხარო დასასრულის მიუხედავად, აღნიშნავდა სოსო ცისკარიშვილი, მან დატოვა ყველაზე პოზიტიური მემკვიდრეობა არა მხოლოდ უკრაინისათვის, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, იმ ნაბიჯებით, რომლებიც მან დემოკრატიის განვითარებისათვის გადადგა. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მაგალითს პოსტსაბჭოთა ისტორიაში, როდესაც პრეზიდენტს არჩევნებში ასეთ ტალღაზე გაემარჯვა, შემდეგ ორჯერ წაეგო საპარლამენტო არჩევნები და ბოლოს ხელახლა არჩევისთვის ვერ მიეღწია.

ანალოგიურად, ბაქოში არსებული ეროვნული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორი ლეილა ალიევა აცხადებს, რომ 7 თებერვლის არჩევნებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ უკრაინას სუფთა არჩევნების ჩატარება შეუძლია და ასეთი დემოკრატიული პრაქტიკა უკრაინის პოლიტიკურ კულტურაში მკვიდრდება.

უკრაინაში ამ პროცესის შეცვლა რთული იქნება ბოლო 20 წლის განმავლობაში – ამბობს ალიევა, ამ გარდამავალ პერიოდს უშედეგოდ არ ჩაუვლია. დემოკრატიული ინსტი-

ტუტები ინტენსიურად ფართოვდებოდა. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, დამკვიდრებულ სამოქალაქო თავისუფლებებზე მათ უარი არ უთქვამთ და ახლა ძალიან რთული იქნება ამ მიღწევების უგულვებელყოფა. იანუკოვიჩი ვერ შეძლებს რევოლუციის მიღწევების შეცვლას.

ის, რაც უკრაინაში მოხდა, მისაბაძი მოდელი გახდება – ამბობს სტივერ ფიფერი, აშშ-ის ყოფილი ელჩი უკრაინაში. მისი აზრით ეს, ისეთი დემოკრატიული არჩევნები იყო, რომლის დამკვიდრებასაც დანარჩენ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ისურვებდა.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ისინი მოსკოვთან დაკავშირებით უკრაინის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებებს ელიან, მაგრამ უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კიევი ევროპასთან ინტეგრაციაზე ბოლომდე უარს არ იტყვის. უკრაინის სწრაფვა ნატო-ს წევრობისკენ, რომელსაც მწირი საზოგადოებრივი მხარდაჭერა გააჩნდა, სავარაუდოდ შეწყდება, თუმცა ევროკავშირში მისი გაწევრიანების სურვილი ძალაში დარჩება.

რაც შეეხება იმ რუსებს, რომლებიც ახლა ფიქრობენ, რომ უკრაინა კურსს შეიცვლის და მთლიანად რუსეთისკენ მიბრუნდება, ბოლოს ვფიქრობ იმედგაცრუებულები დარჩებიან ამბობს ფიფერი – ის ვარაუდობს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა შემცირდება, თუმცა მისი აზრით, უკრაინული ელიტის უმრავლესობას და მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს უკრაინა სრულად გახდეს ევროპის ნაწილი.

ფიფერი და სხვა ანალიტიკოსები ასევე აღნიშნავენ, რომ 1994-2004 წლებში უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმაც პრორუსულად აღიქმებოდა, თუცა უკრაინის ნატოში გაწ-

ევრიანების ინიციატივით სწორედ ის გამოვიდა.

გარდა ამისა, ექსპრეტები ამბობენ, რომ უკრაინის პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებები ისეთ რეგიონებთან დაკავშირებით, როგორიცაა მოლდავეთის პრორუსული აჯანყებული პროვინცია დნესტრისპირეთი, ნაკლებად სავარაუდოა. 2006 წლის შემდეგ, კიევი და ევროკავშირი ერთობლივ პატრულირებას ეწევიან დნესტრისპირეთის საზღვართან უკრაინის მხრიდან. კონტრაბანდასთან და იარაღით ვაჭრობასთან ბრძოლის პოლიტიკას მოსკოვის მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა და კრემლმა მას დნესტრისპირეთის ბლოკადა უწოდა. იანუკოვიჩის პრორუსული მიდრეკილებების მიუხედავად, ექსპერტები ამბობენ, რომ, როგორც ჩანს, ამ მხრივ პოლიტიკა არ შეიცვლება, რამდენადაც უკრაინას მისი საკუთარი ეროვნული ინტერესები გააჩნია, კერძოდ, სახელმწიფოს განმტკიცება და საზღვრებთან რისკების შემცირება. ამ თვალსაზრისით, დნესტრისპირეთის კონფლიქტი ოფიციალური კიევის ერთ-ერთი პრიორიტეტია, იმის მიუხედავად, თუ რა „ფერის“ ხელისუფლებაა ქვეყანაში – ამბობს კიშინოველი პოლიტოლოგი უიგენ რევენკო [6].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინანტურ როლს თამაშობს და ამ სივრცის ქვეყნებზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს არა მხოლოდ თავისი უზარმაზარი ეკონომიკური რესურსებით, არამედ იმ უამრავი სამხედრო ბაზებით, რომლებიც გააჩნია მას პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარე ქვეყნებში. რუსეთი ცდილობს ყველანაირად ხელი შეუშალოს იქ სხვა დიდი ქვეყნების პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას. ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩვენი საუკუნის და-

საწყისიდან გააჩნია სამხედრო ბაზა მანასი ყირგიზეთში. იგი ამ ბაზის შენარჩუნების მიზნით, ყველანაირ მფარველობას უწევდა პრეზიდენტ აკაევის და შემდეგ პრეზიდენტ ბაკიევის რეჟიმებს. ხოლო რუსეთის ქმედებები ამ რეჟიმების ოპოზიციების მხარდაჭერისაკენ იყო მიმართული. ამან შედეგი გამოიღო და 2010 წლის დასაწყისში ოპოზიციამ ყირგიზეთში დაამხო პრეზიდენტ ბაკიევის რეჟიმი, რომელმაც ბელარუსიაში ჰპოვა თავშესაფარი.

ბელარუსიის პრეზიდენტმა, რომელმაც თავისთან ყირგიზეთის დამხობილი პრეზიდენტი ყურმანბექ ბაკიევი შეიფარა, შესაძლებლობით ისარგებლა, რათა რუსეთი იმისთვის გაეკიცხა, რომ ის ბარანოვიჩთან მდებარე სარაკეტო ბაზისა და ასევე ვილეიკთან ახლოს მდებარე რუსეთის საჰაერო-საზღვაო ფლოტის საკომუნიკაციო კვანძისთვის ფულს არ იხდის.

იმ დროს, როდესაც მანასის ცენტრი (ავღანეთს თუ არ ჩავთვლით) აშშ-ის ერთადერთი სამხედრო ბაზაა შუა აზიაში, რუსეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბევრი სამხედრო ობიექტი აქვს. სავარაუდოა, რომ ნაციონალიზმის გამძაფრების ეპოქაში რუსეთსა და აშშ-ს ამ ბაზების შენარჩუნება ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

უკმაყოფილება მანასეს სატრანზიტო ცენტრითა და ბაკიევის კორუმპირებულ რეჟიმთან ვაშინგტონის სარფიანი შეთანხმებებით იჯარაზე, იმ სახალხო აჯანყების მნიშვნელოვან მიზეზად იქცა, რომელმაც ბაკიევი დაამხო.

პენტაგონი ყველანაირ ფასად ცდილობს შეინარჩუნოს მანასის ბაზა, რაც ვაშინგტონში კონგრესის გამოძიების მიზეზი გახდა. ყურადღების ცენტრში მოექცა საეჭვო

გარიგებები ბაზისთვის საწვავის მიწოდებაზე, რომლებსაც აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აფორმებდა.

მანასის სამხედრო-საჰაერო ბაზა 2001 წლის დეკემბერში შეიქმნა და კომპანიებმა, რომლებსაც აკაევის ოჯახი აკონტროლებდა, მალევე მიიღეს კონტრაქტები ამ ბაზის ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების საწვავით მომარაგებაზე, თუმცა იჯარის ფასი საკმაოდ დაბალი იყო და წელიწადში 2 მილიონ დოლარს შეადგენდა.

როდესაც 2005 წლის მარტში, „ტიტების რევოლუციის“ შედეგად აკაევი დაამხეს, პენტანგონმა მსგავსი ხელშეკრულებები საწვავით მომარაგებაზე მისი მემკვიდრის გარემოცვის კომპანიებს გაუფორმა. შარშან იჯარის ფასმა თითქმის 67 მილიონ დოლარს მიაღწია. 2009 წლის ივლისში კომპანია mina-მ თავდაცვის სამინისტროსთან საწვავით მომარაგებაზე 239 მილიონი დოლარის ღირებულების წლიური შეთანხმება გააფორმა.

შეფასების თანახმად, კომპანია, რომელსაც ბაკიევის შვილი მაქსიმი ხელმძღვანელობდა, საწვავის მომარაგებიდან დამატებით 8 მილიონი დოლარის შემოსავალს იღებდა და მართალია ახალი დროებითი მთავრობის ხელმძღვანელმა როზა ოტუნბაევამ გარკვევით თქვა, რომ მანასის იჯარა კიდევ ერთი წლით გაგრძელდებოდა, ის აურზაური, რაც თავდაცვის სამინისტროს საწვავის კონტრაქტებს მოჰყვა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს გააფუჭებს ბიშკეკისა და ვაშინგტონის ურთიერთობებს.

ამერიკული სამხედრო ბაზა მანასის აეროპორტში უნდა დაიხუროს. განაცხადა ყირგიზეთის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ალმაბეკ ატამბაევმა, რადგან სამხედრო ბაზა

სამოქალაქო აეროპორტის ტერიტორიაზე ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენს. მან ამერიკელი მხარე გააფრთხილა, რომ 2014 წლის შემდეგ კონტრაქტი ყირგიზეთში ამერიკული სამხედრო ბაზის განლაგების თაობაზე, აღარ განახლდება.

2014 წელს ამერიკელები ან უნდა გავიდნენ მანასიდან, ან რუსეთთან ან სხვა ქვეყნებთან ერთად გადაზიდვების სამოქალაქო ცენტრი შექმნან [7].

რუსეთის ბაზებს, ამერიკულთან შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა.

უცხოური მედია დიდწილად ყურადღებას არ უთმობს იმ ფაქტს, რომ ყირგიზეთში სამხედრო ბაზა რუსეთსაც აქვს. კანტის საჰაერო ბაზა 2003 წელს შეიქმნა და ეს იყო პირველი რუსული სამხედრო ბაზა, რომელიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

მანასისგან განსხვავებით, რუსეთი ამ ბაზისთვის იჯარის ფულს არ იხდის. მართალია სამხედრო ობიექტი კანტში მანასზე ოთხჯერ პატარაა, მაგრამ ის კრემლისთვის ძალიან სასარგებლოა. ყირგიზეთში ბოლოდროინდელი არეულობების დროს რუსეთმა იქ თავისი მოქალაქეების დასაცავად 150 მედესანტე გააგზავნა.

ყირგიზების კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას იქცევს ყარა-ბალტაში რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის კომუნიკაციის სადგური, ასევე ქალაქ ყარაყოლში ისიკ-ყულის ტბაზე ნავსაწინააღმდეგო შეიარაღების საცდელი ბაზა.

თუკი რუსეთი ცოტახნის წინ ვაშინგტონზე მანასის პრობლემების გამო ქირქილებდა, ოდნავ მოგვიანებით ის

თავად მოექცა ყურადღების ცენტრში, როდესაც 27 აპრილს უკრაინის პარლამენტში, სევასტოპოლის პორტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტისთვის (რომლის იჯარის ვადაც 2017 წელს იწურება) საიჯარო ხელშეკრულების კიდევ 25 წლით გაგრძელებაზე კენჭისყრას აურზაური მოჰყვა. სანაცვლოდ უკრაინა რუსეთისგან გაზს დაბალ ფასში მიიღებს.

რატიფიკაციის პროცესს რადას სხდომათა დარბაზში ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. რთულ სიტუაციაში ჩავარდნილმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი სევასტოპოლში ძალიან დიდ ფასს გადაიხდის და იმავდროულად აღნიშნა, რომ იჯარის ღირებულება და ფასდაკლება გაზზე ათწლეულების განმავლობაში, 40 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც საკმარისია, რამდენიმე სამხედრო ბაზის ასაშენებლად.

ბელარუსიაში ლუკაშენკომ პუტინის განცხადებებით და ბაკიევისთვის თავშესაფრის მიცემით ისარგებლა და ბარანოვიჩის და ვილეიკის ობიექტებთან დაკავშირებით კრემლის სიძუნწე ამხილა. მან დაიჩივლა, რომ მინსკი ამ ობიექტებში იღებს „ნულ რუბლს, ნულ კაპიკს და ნულ დოლარს"

ყირგიზეთის და ბელარუსიის გარდა, რუსეთს რაკეტებზე რადიოლოკაციური თვალთვალის სადგური აქვს გაბალაში (აზერბაიჯანი); 102-ე სამხედრო ბაზა გიუმრიში (სომხეთი); სამშვიდობო ჯარები აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში; კოსმოსური რადიოლოკაციური ობიექტები სოფელ გულშადში (ყაზახეთი); 171-ე საავიაციო კომენდატურა ყარაგანდაში (ყაზახეთი); რუსეთის არმიის ოპერატიული ჯგუფი დნესტრისპირეთში (მოლდავეთი); 201-ე მოტომსროლელთა დივიზია კულიაბსა და კურგან-ტიუბში (ტაჯიკეთი), ასევე

კოსმოსური სივრცის კონტროლის რადიოლოკაციური სადგური ნურეკში (ტაჯიკეთი).

კენტის უნივერსიტეტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა როჯერ მაკდერმოტმა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის სამხედრო ყოფნის შენარჩუნების საკითხზე isn sacurity watch–სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო ბაზირების სტრატეგია ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეფუძნება. პირველ რიგში, არსებობს მკაფიო გეოსტრატეგიული გეგმები, რომლებიც მიმართულია პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ყოფნის გახანგრძლივებაზე, რაც დაბრკოლებას უქმნის ჩინეთის აშკარა გაძლიერებას. დამატებით მოსკოვს გათვლა აქვს იმაზე, რომ ობამა სუსტია, ან უკეთეს შემთხვევაში „იდეალისტი“ და ვიდრე ის განცხადებებს აკეთებს, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ფანტაზიად მიაჩნია, მოსკოვი ევრაზიული რუკის დაფარვის შესაძლებლობას ინარჩუნებს. მოსკოვის აზრით, ობამა კრემლის გრძელვადიან მისწრაფებებს უწყობს ხელს. თუკი ეს მოსაზრება სწორია, ამერიკას წინ პოლიტიკური პრობლემები ელის.

მოსკოვის მისწრაფებაში ააშენოს ახალი ბაზები, ყირგიზეთი გამონაკლისია. ყველა სხვა ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ობიექტები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროსაა აშენებული და რუსებს ეს ბაზები არც არასდროს დაუტოვებიათ. ყველაზე დიდი სხვაობა ამერიკის და რუსეთის სამხედრო ყოფაში იმაშია, რომ ფინანსური თვალსაზრისით ვაშინგტონი გაცილებით გულუხვი შეიძლება იყოს.

პენტაგონი თავისი მანასის ბაზით დაინტერესებული იქნება მანამ, ვიდრე ავღანეთი ამერიკული პრიორიტეტე-

ბის სიაშია. როგორც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე კონფლიქტმა ცხადყო, რუსული მემკვიდრეობა პოსტსაბჭოთა სამხედრო ბაზების სახით, მას ძალიან გამოადგა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაფერი ძალიან გაურკვეველია, თუმცა აბსოლუტურად ცხადია ის, რომ ვაშიგტონს ახალი პარადიგმის შემუშავება მოუწევს, თუკი მას შუა აზიაში დარჩენა სურს, ხოლო რუსეთისთვის უკრაინის გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, იქ საქმე ჩვეულებრივ ვითარდება.

ამ საკითხს, ისევე, როგორც ლუკაშენკოს ნაბიჯს მათთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს [8].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო არეულობები იქნება მანამ, სანამ რუსეთი არ დაეტევა თავისი ქვეყნის საზღვრებში და არ შეეცდება უარი თქვას იმ ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებაზე, რომელიც მას არ ეკუთვნის. მან უარი უნდა თქვას საკუთარ იმპერიულ ამბიციებზე და გაიყვანოს ჯარები პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტერიტორიებიდან. დახუროს მათში არსებული საკუთარი სამხედრო ბაზები და რეალურად აღიაროს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთმა უნდა გაითავისოს, რომ ეს ქვეყნები პოლიტიკურად მისი თანასწორუფლებიანნი არიან და მათთან ამ კონტექსტში უნდა ითანამშროლოს.

ლიტერატურა

1. პოსტსაბჭოთა სივრცე http://ka.wikipedia.org./wiki/
2. ვეშაპიძე შოთა, ლეკაშვილი ეკა, გრიშიკაშვილი ამბროსი, ასლამაზაშვილი ნანა. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.
3. შეტევა სიტყვის თავისუფლებაზე http://www. Media.ge/en/node/23684
4. მოსკოვი გაეროს ეგიდით სამშვიდობო... http://www.resonancedaily.com/index.php?id–rub=8&id–artc=352
5. ნიკოლა სარკოზი ... http://www.babajana.com/index.php?newsid=1818
6. ნდობის მანდატი: უკრინულ. http://foreignpress.ge/?p=11468
7. მანასის ამერიკული სამხედრო ბაზა დაიხურება • ტაბულა*www.tabula.ge/ge/.../57452-**manasis**-amerikuli-samxedro-**baza**-daixureb.*
8. პოსტსაბჭოთა სივრცის სამხედრო http://polity.ge/worldnews/caucasus?1640-militarily-defining-post-soviet- space.html

2.2. პოსტსაბჭოური განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

პოსტსაბჭოური განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, განვიხილავთ საქართველოს მაგალითზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირი მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მსოფლიოში ზესახელმწიფო იყო და საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან იმართებოდა, წარმოადგენდა ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა კი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო თითქოს გახდა პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ ეს მართლაც თითქოსდა იყო, რამდენადაც ცნობილია, რომ არ არსებობს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე.

ამდენად, საქართველომ მართლაც და ფორმალურად მოიპოვა დამოუკიდებლობა, თორემ მისი ეკონომიკა თითქმის მთლიანად სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული აღმოჩნდა.

საქართველოში 1989 წლიდან დაიწყო ეკონომიკის განვითარების მასშტაბების მკვეთრი შემცირება, რამაც მომდევნო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის სახე მიიღო.

1994 წლიდან, საქართველომ, დამოუკიდებელ ქვეყნად

ჩამოყალიბების მიზნით, საბჭოური ეკონომიკური სივრციდან გამოსვლა დაიწყო. წინასწრი მომზადების გარეშე გადადგმულმა ასეთმა ნაბიჯმა იმ თავითვე დაადასტურა საქართველოს ეკონომიკის დამოუკიდებელ რეჟიმში ფუნქციონირების არარეალურობა, რაც არსებითად განპირობებული იყო საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მოშლით, სისტემურ-სტრუქტურული დეფორმაციით, საკუთარი მონეტარული და ფისკალური სისტემების არარსებობით (იმ პერიოდში ქვეყანას საკუთარი ვალუტაც კი არ გააჩნდა). ყოველივე ამას თან დაერთო მადესტაბილიზებელი პოლიტიკური და კრიმინოგენული პროცესების გააქტიურება. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსეთის (რომელიც რჩებოდა ფულის ემიტენტად) მიერ განხორციელებული ანგარიშსწორების ბლოკირება, რამაც შექმნა ნაღდი ფულის დეფიციტი.

ამიტომ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა მიმოქცევაში შემოეღო დროებითი ფულის ნიშანი – ეროვნული ბანკის კუპონი, რომელმაც დაწყებული ინფლაციური პროცესები კიდევ უფრო გააძლიერა. ამ პროცესების გარღმავებას ხელი შეუწყო უკონტროლო საკრედიტო ემისიამ, რამაც ქვეყანა ჰიპერინფლაციის სპირალში მოაქცია. ყოველივე ამან მკვეთრად შეასუსტა წარმოების სტიმულები და დამანგრევლად იმოქმედა ეკონომიკაზე.

არაეკონომიკური ფაქტორებიდან აღსანიშნავია 1991-1993 წლების საომარი მოქმედებები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტები, აგრეთვე კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება, რომლებმაც ქვეყანას უდიდესი მატე-

რიალური და სულიერი ზარალი მიაყენა. მიახლოებითი გაანგარიშებით, მარტო ნგრევისა და ხანძრის შედეგად გამოწვეულმა პირდაპირმა ფინანსურმა ზარალმა მილიარდ ლარს მიაღწია.

სწორედ ყოველივე აღნიშნულისა და სხვა ფაქტორების გავლენით, 1995 წელს დაფიქსირდა მთლიანი შიდა პროდუქტი-ს (მშპ-ის) მოცულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.

საქართველოში 1995-2004 წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაო ცვლილებებით ხასიათდებოდა, რასაც განაპირობებდა, როგორც ეგზოგენური ისე ენდოგენური ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკა განსაკუთრებით მ გრძნობიარე აღმოჩნდა გარე ფაქტორების მიმართ. ბოლო წლების პოზიტიური ძვრების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია. დიდია სახელმწიფო ვალის მოცულობა მაღალია უმუშევრობის დონე, საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, არაჯანსაღია საინვესტიციო კლიმატი, დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს მაკროეკონომიკური რეგულირების, საბიუჯეტო-საგადასახადო ფულად-საკრედიტო მექანიზმები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მიზნების შესაბამისად, საჭიროა როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების გათვალისწინებით [1].

საქართველოში 1994 წლიდან დაწყებულმა მიზანმიმართულმა და მასშტაბურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი პოზიტიური კორექტივები შეიტანა ქვეყნის სო-

ციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკასა და სტრუქტურაში.

დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებით წარმატებული 1996-1997 წლები გამოდგა, როცა ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 11 პროცენტს მიაღწია, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნების პირობებში.

1998 წლის დასაწყისიდან კი მეწარმეობის განვითარების ხელის შემშლელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების (ტერორისტული აქტები, აფხაზი სეპარატისტების გააქტიურება და გალის რაიონიდან დევნილთა ახალი ნაკადის გადმოსვლა, მეტად არახელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, გლობალური საფინანსო კრიზისი, კორუფციის აღზევება და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა) ზეგავლენით ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია ჩამოყალიბდა.

გლობალურმა საფინანსო კრიზისმა, პირველ რიგში საქართველოს უპირველეს პარტნიორ ქვეყანაში – რუსეთში განვითარებული კრიზისული პროცესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ეროვნულ ვალუტას, რომლის კურსიც წლის განმავლობაში თითქმის 38 პროცენტით დაეცა. ამის საფუძველზე ბოლო წლებში ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ერთნიშნა ციფრს ინფლაციის დონემაც გადააჭარბა. ყოველივე ამან, სუსტი საგადასახადო ადმინისტრირების პირობებში, საბიუჯეტო შემოსავლების კლება და სახელმწიფოს დავალიანების ზრდა განაპირობა, რაც პრაქტიკულად საბიუჯეტო კრიზ-

ისის ჩამოყალიბებას მოასწავებდა.

სამწუხაროდ, შემდგომ წლებში მოხერხდა მხოლოდ ლარის კურსის გაუფასურების ჯერ შეჩერება, მერე კი რამდენადმე გამტკიცება და საბოლოო ჯამში-სტაბილურობის უზრუნველყოფა. რის შედეგად რამდენადმე შემცირდა ინფლაციის ტემპიც.

„შექმნილი ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაამძიმა 2000 წელს ქვეყანაში განვითარებულმა ხანგრძლივმა გვალვებმა და ზედმეტად ცხელმა ზაფხულმა, რომლის მიერ ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებულმა ზარალმა 0,5 მლრდ. ლარს მიაღწია. ამისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების (კორუფციის მზარდი მასშტაბები, ენერგო რესურსების მწვავე დეფიციტი, საბიუჯეტო კრიზისი და სხვა) გავლენით, 2000 წლის შედეგების მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პარამეტრმა მხოლოდ 1.9 პროცენტი შეადგინა. მთლიანობაში კი 1996-2000 წლებში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის ტემპმა თითქმის 133 პროცენტს მიაღწია, ნაცვლად ამ წლების ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული 172-184 პროცენტისა“ [2, გვ. 6-7].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენი აზრით, საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. რუსული ფულის ხმარებიდან ამოღებისა და ეგრეთ წოდებული კუპონიზაციის პერიოდში, მასშტაბური ხასიათი მიიღო მაშინდელი ჩინოვნიკების მხრიდან საქართველოს ბანკებიდან ხალხის კუთვნილი ფულის დიდი რაოდენობით დატაცებამ.

უცბად გამდიდრებული მაშინდელი ჩინოვნიკების დიდმა ნაწილმა პოლიტიკიდან ბიზნესში გადაინაცვლა და ხალხისაგან მოპარული ფულით ეგრეთ წოდებული ბიზნეს-კომპანიები დააარსა. ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ადამიანი პატიოსანი და სამართლებრივი გზებით მილიარდელი გახდეს, ერთი ადამიანის სიცოცხლე არ კმარა და ამისათვის საჭიროა რამდენიმე თაობის თავდადებული შრომა. დღეს-დღეობით კი სულ რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს არაერთი მოქალაქე გახდა მილიონერი და მილიარდელი, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ოფიციალური თუ არაოფიციალური ძარცვის ხარჯზე. ეკონომიკის დანგრევამ უმუშევრობის დიდი მასშტაბები გამოიწვია. ამან კი, უარყოფითი დაღი დაასვა ქვეყანაში დემოგრაფიულ მდგომარეობას და ცხოვრების დონეს.

ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების კრახი და კრიზისის გამძაფრება გამოიწვია, რამაც „ვარდების რევოლუციამდე“ მიიყვანა ქვეყანა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში 2006 წლის 1 ივლისიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ახალი პროგრამის – „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება“ – რეალიზაცია.

ამავე პროგრამის ფარგლებში ყოველ ახალშობილზე განხორციელდა „ღირსეული დასაწყისის“ ბარათის გაცემა, რაც გულისხმობდა ამ ოჯახებისათვის ერთჯერადად 1000 ლარიანი ვაუჩერის გაცემას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (''სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილება) საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა 2009 წლის 1 იანვრიდან ორი წლის ვადით გავრცელდა იმ ოჯახებზეც, რომლებიც არ იღებდნენ საარსებო შემწეობას და 2008 წლის 6 აგვისტოდან, საქართველოზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად, იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, დადგენილი წესით აღრიცხულნი არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში და განსახლებულნი არიან სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში, მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე შეუძლებელია (ამ ადგილების ოკუპაციის გამო) და ამავდროულად ოჯახის არც ერთი წევრი არ ეწევა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანაზღაურებად საქმიანობას, (გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა).

შესაბამისად, ზემოხსენებული ოჯახებიც იღებენ საარსებო შემწეობას.

გარდა ამისა, „ახალმა დევნილებმა" მიიღეს ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №731 განკარგულების შესაბამისად).

საპენსიო სისტემაში მიმდინარე რეფორმამ უზრუნველყო სახელმწიფო პენსიების ოდენობების ეტაპობრივი

ზრდა და პენსიების ადმინისტრირების მექანიზმების გაუმჯობესება.

2005 წლის განმავლობაში მინიმალური სახელმწიფო პენსია შეადგენდა 28 ლარს, შემდეგ ეტაპზე კი საპენსიო ასაკის საფუძველით დანიშნული სახელმწიფო პენსიის ოდენობა, „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 80 ლარი იყო. პენსიონერები 2007 წლიდან იღებდნენ პენსიაზე დანამატს შრომითი სტაჟის გათვალისწინებით (რაც დიფერენცირებულია 2-დან 10 ლარამდე). სახელმწიფო პენსიის ოდენობა გაეზარდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებსაც. კერძოდ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსია გასული დროის მდგომარეობით შეადგენდა 80 ლარს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის (გარდა მკვეთრად გამოხატულისა) სტატუსის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია – 70 ლარს.

საპენსიო განაკვეთის ზრდა განხორციელდა აგრეთვე ომის ვეტერანებისათვის. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვრებოდა 129 ლარით, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარით, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებისათვის და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 129 ლარით, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარით.

გარდა ამისა, 2007 წლიდან სხვადასხვა კატეგორიის პირთათვის (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდები, მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახები, 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულები და სხვა) განხორციელდა მანამდე არსებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათების მონეტიზაცია. „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების თანახმად, სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროების უზრუნველსაყოფად პენსიაზე დანამატის სახით გაიცემა საყოფაცხოვრებო სუბსიდია.

ამასთან, ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა.

2009 წლის იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადმოეცა ბავშვებზე ზრუნვის საკითხები. დამტკიცდა პროგრამა „ბავშვთა დაცვის დეინსტიტუციონალიზაცია“.

სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებებში მყოფ ბავშვთა რიცხვმა იკლო (2004 წ.) 5200-დან 1400-მდე, ე.ი. (შემცირდა 3,7-ჯერ); დაიხურა 6 სააღმზრდელო დაწესებულება; სააღმზრდელო დაწესებულებებში მოხვედრის რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა 60% განთავსდა ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში და 3626 ბავშვი გადაურჩა დაწესებულებაში ცხოვრებას; სოციალური სამსახურები შეიქმნა საქართველოს 52 რაიონში; 200-მდე გაიზარდა იმ სახელმწიფო სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ ოჯახის დახმარების, რეინტეგრაციის და შვილობლობის მომსახურებაზე; ხუთჯერ გაიზარდა ალტერნატიული მომსახურების სახელმწიფო დაფინანსება (800 000 ლარიდან 4 430 000 ლარამდე); შემუშავდა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო ალტერნატიული მინიმალური ეროვნული მომსახურებები (ბავშვთა და დედათა თავშესაფარი, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, შვილობლობა) [3].

2010 წლის 1 ივნისიდან არსებითად შეიცვალა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების კრიტერიუმების მეთოდიკა. დეკლარაციაში არ განიხილება ისეთი მკაცრი კრიტერიუმები, როგორიცაა ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა. დეკლარაციაში აღარ არის გათვალისწინებული იურიდიული პირის ნაჩუქარი ნივთები, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა შეფასებას. რაც ძალიან კარგია, მაგრამ ამ ბოლო წლების მანძილზე მრავლად დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როცა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ

ოჯახებში მისული სოციალური აგენტები არაობიექტურად აფასებდნენ ოჯახების ნამდვილ მდგომარეობას და არასწორად ავსებდნენ დეკლარაციებს. ამის შედეგად მრავლად ხდებოდა ისეთი ფაქტები, როდესაც დახმარებას იღებდნენ ისეთი ოჯახები, რომლებიც ამას სრულებით არ საჭიროებდნენ, ხოლო ზოგიერთი ნამდვილად გაჭირვებული ოჯახი ვერ ხვდებოდა მონაცემთა ბაზაში და ვერ იღებდა სახელმწიფოსაგან მათთვის საჭირო დახმარებას.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ საპენსიო მდგომარეობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მოქალაქის პენსია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული იყო 80 ლარის ოდენობით. მაშინ როდესაც, საქართველოს მთავრობის გათვლებით, საქართველოს მოქალაქის საარსებო მინიმუმი – 140 ლარი იყო. გარდა ამისა, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხალხს, საარჩევნო დაპირებით, პენსიის 100 დოლარამდე გაზრდა აღუთქვა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ სოციალურ აგენტებად სამსახურებში უნდა აიყვანოს კვალიფიციური და ობიექტური ადამიანები და ასევე, მთავრობის მიერ გატარებული პიარ-აქციებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შემცირების ხარჯზე გაზარდოს საქართველოს მოქალაქეების პენსია. სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მოქალაქეთათვის აუცილებელი და გადაუდებელი ოპერაციები და საერთოდ სახელმწიფოსგან ჯანდაცვის სფეროს ბიუჯეტში უნდა იქნეს გამოყოფილი რაც შეიძლება მეტი თანხები.

ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონო-

მიკური რეფორმები განხორციელდა. აღნიშნული რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

ეკონომიკის დერეგულირებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროების რაოდენობა და გამარტივდა რეგულირების პროცედურები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კერძო მეწარმეობის განვითარება, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით.

შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეამცირა გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე.

საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო პროცედურები, ხოლო 2011 წლიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდა საბაჟო კოდექსიც.

ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის რეფორმების შედეგად, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა 84%-ით შემცირდა.

მიღებული იქნა კანონი თავისუფალი ინდუსტრიული

ზონების შესახებ, რომლის თანახმად, ასეთი ზონა შესაძლოა შეიქმნას 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მისივე ან იურიდიული კერძო პირების ინიციატივის საფუძველზე.

საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რასაც ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკაც უწყობს ხელს.

2009 წელს მნიშვნელოვანი ზრდით ეკონომიკის შემდეგი სექტორები გამოირჩეოდა: 1) სამთომომპოვებელი მრეწველობა – 9.3%; 2) ჯანდაცვა – 7.6%; 3) ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება – 5,9%; 4) განათლება – 3.2%; 5) საფინანსო საქმიანობა – 1,5%; 6) ტრანსპორტი – 1,2%. წლიურმა ინფლაციამ კი – 3.0%.

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ეკონომიკური აქტივობის ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შედეგად, უმუშევრობის დონე ქვეყანაში 2006 წლის 13.6%-დან 2007 წელს 13.3%-მდე შემცირდა, ხოლო 2008 წელს ამ მაჩვენებელმა 16,5%-ს მიაღწია, რაც ძირითადად განაპირობა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოს მოვლენებმა. 2009 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულთა რიცხვი 1,7 მილიონ ადამიანს გაუტოლდა.

ბოლო წლებში გაიზარდა სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები. 2009 წლის მონაცემებით, არასახელმწიფო სექტორში მომუშავეთა საშუალო თვიური ხელფასი 604 ლარს შეადგენს, ხოლო სახელმწიფო სექტორში 481 ლარს.

2009 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მამაკაცის

საარსებო მინიმუმმა საქართველოში 128,8 ლარი შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2007 წელს 2 014,8 მლნ აშშ დოლარი იყო; 2008 წელს 1 564.0 მლნ აშშ დოლარი. 2009 წელს კი მხოლოდ 759,1 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 27 ქვეყანასთან, ხოლო ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე 32 ქვეყანასთან, რაც შესაძლებლობას აძლევს, როგორც მწარმოებელს, ასევე ინვესტორებს, წარმოებული პროდუქცია ახალ ბაზრებზე გადაიტანონ. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5 513 მლნ. აშშ დოლარი, იმპორტმა 4 378 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სავაჭრო დეფიციტმა – 3 243.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებშიც დაწინაურდა, მაგალითად: „DOING BUSINESS"-ის 2010 წლის მოხსენებაში (მსოფლიო ბანკის ჯგუფი) საქართველო 181 ქვეყანას შორის მსოფლიოში, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით მე-11 ადგილზე დასახელდა.

იმდროინდელი მთავრობა ფიქრობდა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად ქვეყანაში კორუფცია აღმოიფხვრა.

პრივატიზების პროცესმა საქართველოში 1993 წლიდან ძირითადად მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მოიცვა. მისი აქტიური ფაზა კი 2004 წელს დაიწყო და ახლაც გრძელდება. დღეისთვის სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი პრივა-

ტიზირებულია.

საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ (2000 წლის 14 ივნისი), ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო სისტემებში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა.

შრომის ბაზრის რეფორმირების მიზნით, 2006 წელს ძალაში შევიდა ახალი შრომის კოდექსი.

ბოლო წლებში, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ხოლო ენერგეტიკის განვითარების შედეგად, ახლა საქართველოს 24 საათიანი ელექტრომომარაგება აქვს.

საქართველოს, მრავალ ქვეყანასთან თანამშრომლობის განვითარებისთვის, აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა გააჩნია. მას 46 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული სავაჭრო-ეკონომიკური ორმხრივი შეთანხმება.

2005 წლის ივლისში საქართველო გახდა GSP-ის სქემის (GSP+) ბენეფიციარი. ამ სტატუსის მიღების შემდეგ საქართველო სარგებლობს უფლებით ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7200 სახის პროდუქცია [4].

უკანასკნელ წლებში გატარებული რეფორმების შედეგად, ჩამოყალიბდა ეფექტიანი, პროფესიონალური და გამჭვირვალე საჯარო სამსახური, რომელიც ემსახურება დემოკრატიული პრინციპების დაცვას, რაც უთუოდ დადებითია და დასაფასებელია, თუმცა ამან, ჩვენი აზრით: 1) სახელმწიფო სამსახურებიდან სხვადასხვა ბრალდებით (ასაკი, კორუფცია და სხვა) ბევრი კვალიფიციური სპეციალისტის დათხოვნა

განაპირობა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უმუშევართა ისედაც დიდი რაოდენობა. 2) სახელმწიფო სამსახურებში დაინიშნა ხშირ შემთხვევებში გამოუცდელი ახალგაზრდები. 3) კორუფცია გარეგნულად თითქოს მოისპო, მაგრამ ამან უფრო დახვეწილი და რთული ხასიათი მიიღო.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ისმის კითხვა თუ რამდენად ემსახურება ეს ყველაფერი დემოკრატიული ინტერესების დაცვას? ჩვენ განა ფასადურ სახელმწიფოს ვაშენებთ? ჩვენს მიერ შესწავლილი მასალებით ირკვევა რომ რეფორმის ხარჯზე საქართველოში გაადვილდა ბიზნესის კეთება და ამ მხრივ ქვეყანა მსოფლიო რეიტინგში მოწინავეთა რიგებში ირიცხება. მართლაც, რომ ადვილია დღეს საქართველოში ბიზნესის დაწყება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ასევე ადვილია, ამ შექმნილი ბიზნესის განადგურება სახელმწიფოს ზოგიერთი წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა მიზეზით. კერძოდ, ზოგჯერ ხორციელდება ბიზნესის რეკეტირება და მონოპოლიზაცია. ყოველთვის არ არის დაცული საკუთრების უფლება და აშ.

ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ობიექტები, სხვადასხვა გზებით რუსეთს გადაეცა. მნიშვნელოვნად არის გაძვირებული კომუნალური და სატრანსპორტო ხარჯები, გაზრდილია საკვები პროდუქტების ფასები. განადგურებულია სოფლის მეურნეობა და თითქმის არაფერი კეთდება მრეწველობის ასაღორძინებლად.

სხვა მხრივ მთავრობის მიერ განხორციელებული ბევრი ეკონომიკური რეფორმა მისასალმებელია მაგალითად, ინფრასტრუქტურის და ენერგეტიკის განვითარება და საქართველოს ეკონომიკური პრობლემების საერთაშორისო

დონეზე წამოწევა, ჩვენი ქვეყნის კავშირები, ეკონომიკის კუთხით მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მისასალმებელია, აგრეთვე, ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკაც.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ 2009 – 2010 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რომლის მიხედვით – სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა გახდა. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ არა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და მრავალი ინიციატივა განახორციელა. რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს ის, რომ – 2010 წლისთვის თითქმის ყველა სკოლა საქართველოში უზრუნველყოფილია გათბობისა და განათების სისტემებით, აქტიურად მიმდინარეობს კომპიუტერიზაციის პროცესი, გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლება. რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგთა სოციალური პირობები: გაიზარდა ხელფასები, მოხდა მათი სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნის გზით, საზოგადოება აქტიურად ჩაერთო სასკოლო განათლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მთავარი პრიორიტეტი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება გახდა. 2010 წელს პირველად ჩატარდა მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელშიც 10 000 – მდე პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა.

– სამინისტრო მასწავლებლებს გადასცემს ვაუჩერებს,

რომლითაც მათ საშუალება ეძლევათ გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ პროფესიული დონე.

– 2010 წელს პირველად ერთიან ეროვნულ გამოცდებს დაემატა მეოთხე საგანი და შეიცვალა უმაღლესში სწავლების დაფინანსების სისტემა.

– უსაფრთხო სკოლის ფარგლებში შეიქმნა მანდატურის ინსტიტუტი და ახალ 2010-2011 სასწავლო წელს „სკოლის მანდატურის სამსახური" გაფართოვდა და ამოქმედდა თბილისის, რუსთავის, წეროვნის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ფოთის საჯარო სკოლებში.

– 2010 წელს პირველად სახელმწიფო სოციალურად დაუცველ ყველა მოსწავლე უზრუნველყო სასკოლო სახელმძღვანელოების სრული პაკეტით.

– 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების პროცედურის ახალი მიდგომები და პრინციპები. დაიხვეწა საკონკურსო პროცედურები, მკაცრად განისაზღვრა სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები.

– შემუშავდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც 2011-2012 სასწავლო წელს ამოქმედდა და 5 წლის მანძილზე არ შეიცვლება.

– ყველა მნიშვნელოვან რეფორმასთან დაკავშირებით, 2010 წელს დაიწყო და გაგრძელდა პილოტირება, რომლის შედეგებზე დაყრდნობით სამინისტრო შეიმუშავებს 2010-2015 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას [5].

საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია ღირსია სკოლების უსაფრთხო

პროგრამის ფარგლებში ვიდეოთვალით აღჭურვა და მანდატურის ინსტიტუტის შემოღება.

სკოლებში განათლების დონე მეტად დაცემულია, რადგან არსებული სახელმძღვანელოები არ შეიცავენ საკმარ ინფორმაციას. გარდა ამისა სასწავლო წიგნები ყოველწლიურად იცვლება ანუ მშობლების მიერ ერთი შვილისათვის ნაყიდი წიგნი, მეორე წელს მეორე შვილს აღარ გამოადგება და ამ მხრივ ოჯახი მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს განიცდის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განათლების სისტემაში კიდევ ბევრია სამუშაო და რა თქმა უნდა, რეფორმებიც კვლავ არის გასატარებელი.

მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ბევრი ოპტიმისტური რეფორმისა, სახელმწიფოს სხვადასხვა რგოლში არსებული ვითარება საკმაოდ რთულია. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაშია, იმის გამო, რომ დიდია უმუშევრობის მასშტაბები, და ბევრი მოქალაქე სიღარიბის ზღვარზე და ზღვარს მიღმა იმყოფება.

უმუშევრობის დონეს საქართველოში ზრდის ტენდენცია გააჩნია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, (დაახლოებით 2011 წლამდე) ოფიციალური მონაცემებით, 2010 წელს, უმუშევრობის დონე 16,9%-ით განისაზღვრა, თუმცა დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 36%-იყო დაქირავებული. რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობის საქმიანობას ეწეოდა, მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი კი, 2009 წლის მონაცემებით, სოფ-

ლებში 82%-ზე მეტია. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალაქებსა და სოფლებში. უმუშევრობის დონე სოფლებში 7%-ია მაშინ, როცა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 28,8%-ია.

ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცე პრეზიდენტი, გია ჯანდიერი ფიქრობს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, რომ 2008 წელს ეკონომიკის განვითარების შანსი იყო, თუმცა აგვისტოს ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების პროცესი შეაჩერა. მისი აზრით, გასაკვირი არ არის, რომ უმუშევრობა საქართველოში იზრდება, იმიტომ, რომ ანალოგიური ტენდეციაა მთელ მსოფლიოში და მოლოდინია თითქოს ახლა შესაძლებელია უმუშევრობის შემცირება, არასწორია. იგი უმუშევრობის დაძლევის გამოსავალს ქვეყანაში, ინვესტიციების შემოსვლაში ხედავს. ეს კი, მისი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, ანუ თუ ქვეყანაში ულტრალიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა იქნება გატარებული, არის შანსი, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოში ფულის დაბანდებით დაინტერესდნენ, ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება თუ დაბალი გადასახადები იქნება.

სტატისტიკის მონაცემებით, უმუშევრობის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰოლანდიაშია – დაახლოებით 3%. საქართველოზე უარესი მაჩვენებელი ლატვიას, ესპანეთს, ბოსნია-ჰერცოგონიას და მაკედონიას აქვს [6].

სილარიბესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოში ცხოვრების ხარისხის დასადგენად საჭიროა ისეთი სოციალური პარამეტრების გათვალისწინება, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების დონე, განათლების ხელმის-

აწვდომობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ეკოლოგიურად სუფთა საკვების მოხმარება, დანაშაულის დონე და სხვა. სამედიცინო მომსახურების დონე და ეკოლოგიურად სუფთა საკვების მიღების საკითხი საქართველოში პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში დადებითი შეფასება შეიძლება მიეცეს მხოლოდ დამნაშავეობის დონის შედარებით დაბალ სიხშირეს, რომლის კლებაც ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებაა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რაოდენობა მსოფლიოში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მცირდება. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის 30%-ის ყოველდღიური შემოსავალი 2 დოლარზე ნაკლებია, რაც ნებისმიერი თანამედროვე ადამიანისათვის პრაქტიკულად კატასტროფაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ძალიან მცირე დროში უზარმაზარი პროგრესს მიაღწია, ეს საზოგადოებაზე ნაკლებად აისახა [7].

თანამედროვე საქართველოში მეტად მწვავეა დემოგრაფიული ვითარებაც. მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა მოკვდაობა. თუ 1980-იან წლებში, საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. უკვე გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე საჭიროა მშობელთა თაობის რაოდენობრივი შეცვლისათვის. მეტად ინტენსიური გახდა ემიგრაციული პროცესები, უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონამდე ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არ-

სებობისათვის სახსრების საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შემდეგ, მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდათა ასაკობრივი ჯგუფების ხვედრითი წილი და იზრდება 60 წელზე ხნიერი მოსახლეობის წილი, ე.ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორება მოსალოდნელი არ არის. 2005 წელს საქართველოში 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით ორჯერ შემცირდა. ამის შედეგად უკანასკნელ წლებში, ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რომელიც 2002-2006 წლებში მხოლოდ 5,8 ათას კაცს უდრიდა.

დემოგრაფიულ ვითარებას საქართველოში განაპირობებს მრავალშვილიანი დედების სიმცირე, რაც გამოწვეულია ასევე სიღარიბით და ეკონომიკურად გაჭირვებული მდგომარეობით.

ქვეყნაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩვენი აზრით, აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები: ერთი მხრივ აუცილებელია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, მეორე მხრივ კი საზოგადოებისათვის სასურველი რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება [8].

თუ შევაფსებთ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარე განვითარებადი ქვეყნის მდგომარეობას

გლობალიზაციის პირობებში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაც და უბედურებაც ყოველთვის იყო, არის და იქნება მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა. ამის გამო საქართველოს, მთელი ისტორიის მანძილზე, მრავლად ჰყავდა მტერი.

საქართველოს გადასარჩენად, ჩვენი აზრით, მთავრობამ უნდა გაატაროს ჭკვიანური პოლიტიკა. რაც იმაში გამოიხატება, რომ მთავრობა ყველენაირად უნდა შეეცადოს, კარგი და მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთობა იქონიოს როგორც დასავლეთთან, ასევე რუსეთთან.

ჩვენ ასევე ვფიქრობთ, რომ სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემა მუდამ იარსებებს და ვერასოდეს ვერ მოგვარდება, თუ რუსეთის მმართველობაში არ მოვიდა ჭეშმარიტად დემოკრატიული ხელისუფლება.

ზოგადად, ჩვენი ყოფილი ხელისუფლების ქმედებები საქართველოს შიდა და გარე მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, გარკვეულ შეფასებას იმსახურებს, კერძოდ, პოზიტიური კუთხით.

მთავრობამ ქვეყანას ბოლო წლების განმავლობაში ბევრი სიკეთე შესძინა კერძოდ: 1) განავითარა ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკა ქვეყანაში; 2) მოისპო ე.წ ქურდული კრიმინალი; 3) დაამყარა და განამტკიცა პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან; 4) გაატარა მრავალი რეფორმა ქვეყნის შიდა სტრუქტურებში; 5) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა და შაჰდენიზისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტებმა საქართველოს როლი მსოფლიოში კიდევ უფრო აამაღლა.

ეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებისათვის, რადგან ამ ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი ენერგეტიკულად მარაგდება ამ პროექტების მეშვეობით.

ნეგატიური კუთხით შეიძლება აღინიშნოს, ის, რომ: 1) ზოგჯერ სახელმწიფოს დონეზეა აყვანილი და ძალიან დახვეწილ ფორმებში ვლინდება კორუფცია; 2) ჩვენი ყოფილი ხელისუფლება ძალიან ბევრ თანხებს ხარჯავდა ბიუჯეტიდან პიარ აქციებში; 3) ამ ოცი წლის განმავლობაში გაუგებარ სიტუაციებში დაიღუპა საქართველოს მრავალი გამოჩენილი მოქალაქე; 4) პრესისა და ტელევიზიის უდიდესი ნაწილს აკონტროლებს მთავრობა; 5) სათანადოთ არ არის დაცული კერძო საკუთრება, მიმდინარეობს ბიზნესის რეკეტირება და მონოპოლიზაცია; 6) არნახულ მასშტაბებს მიაღწია უმუშევრობამ და ხალხის გადინებამ ქვეყნის გარეთ სამუშაოს საძებნელად; 7) სამსახურებში ხშირად ინიშნებიან გარკვეული პრივილეგიების მქონე ადამიანები; 8) ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ თავიდან ვერ აიცილა 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთთან, რამაც რიცხობვრივად გაზარდა ლტოლვილთა რაოდენობა; 9) სათანადოთ არ არის დაცული თავისუფალი სასამართლო სისტემა; 10) იმ უდიდესი დახმარების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა ფორმებით მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოსთვის გაიღო, მრავალმა ჩინოვნიკმა მიიტაცა. მათი დიდი ნაწილი შემდგომში ბიზნესმენად მოგვევლინა.

ზემოთ აღნიშნულმა უსამართლობამ, ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც, რამდენჯერმე მრავალათასიან მიტინგებში გადაიზარდა.

ცნობილმა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის

21 აპრილს დააფუძნა კოალიციური პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო". 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის კოალიციამ გამარჯვება მოიპოვა და ამავე წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ახალმა პარლამენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. (ბიძინა ივანიშვილმა დაიკავა საქართველოს-პრემიერ-მინისტრის თანამდებობა). 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ივანიშვილმა დატოვა თანამდებობა და მის ნაცვლად პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ირაკლი ღარიბაშვილი.

საქართველოს ახალმა მთავრობამ გაატარა გარკვეული ღონიძიებები სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებებით. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ საპარლამენტო დებატების დროს განაცხადა:

„2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქვეყანაში პოზიტიური, თანმიმდევრული ცვლილებების განხორციელებას. ახალი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა ეყრდნობა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. ნაბიჯები გადაიდგა უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, რისთვისაც ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც განავითარებს მცირე და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას; დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომის უფლებებს, უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციას, შრომის უუნარო მოქალაქეებს

შეუქმნის ღირსეულ პირობებს, დაამკვიდრებს უსაფრთხო სოციალურ გარემოს, განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას, იზრუნებს ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლისათვის". მისივე სიტყვებთ, «სტრატეგიის მთავარი მიზანია, საქართველო გახდეს ევროპულ ღირებულებებზე დაყრდნობილი კეთილდღეობის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ისწრაფვის განვითარებისკენ.» პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით, რაც გამოიხატება როგორც საგადასახადო შემოსავლების მობილიზების, ასევე, ექსპორტის ზრდის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის ტენდეცია თანმიმდევრულ და სტაბილურ ხასიათს იძენს, რაც ძირითადად მიიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნური ჩარევის გარეშე, ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შექმნის შედეგად.

საქართველოს მთავრობის გატარებულმა პოლიტიკამ და გადადგმულმა ნაბიჯებმა სათანადო ასახვა ჰპოვა მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებაში. საქართველოს აქვს გაუმჯობესებული რეიტინგი, კერძოდ, 5 საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 77-ე ადგილიდან 72-ზე გადავიდა.

2013 წლის პირველ ნახევარში პირდაპირმა უცხოურმა

ინვესტიციებმა 458 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. 2013 წლის მეორე კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 232 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 7 %-ით აღემატება, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს 3-ით აღემატება.

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2012 წელს 911 მილიონი დოლარი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5,8 % შეადგინა.

2013 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 0,1 პროცენტით შემცირდა და მილიარდ 640 მილიონი ამერიკული ამერიკული დოლარი შეადგინა, მიუხედავად იმისა, რომ 4,4%-ით შემცირდა იმპორტი, ექსპორტი გაიზარდა 14 პროცენტით რამაც მილიარდ 761 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2013 წლის იანვარ-აგვისტოში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით 12 %-ით გაუმჯობესდა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 126 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან დადებითი სავაჭრო ბალანსი 39 ქვეყანასთან დაფიქსირდა, რაც 1 ერთეულით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2,2 %-ით შემცირდა, 1 მილიარდ 769 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა საერთო ჯამში. აღსანიშნავია, რომ ექსპორტი 34%-ით გაიზარდა. დსთ-ს წევრ ქვეყნებთან საქართველოს საგარეო

ვაჭრობის ბრუნვა 8,7 პროცენტით გაიზარდა, ექსპორტი კი 24 %-ით გაიზარდა, რაც 979 მილიონი ამერიკული დოლარით განისაზღვრა. ხოლო იმპორტი 1%-ით შემცირდა (1 მილიარდ 267 მილიონი დოლარი შეადგინა).

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილობრი აღდგენის შემდეგ 2013 წლის მაისიდან რუსეთის ფედერაციაში გავიდა 15 მილიონი ამერიკული დოლარი ღირებულების ღვინო და 13 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების მინერალური წყალი. ამ ყველაფერმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდას: 2013 წლის ივლისში საქართველომ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკება ევროკავშირთან და ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერება. [9]

საქართველოს ახალი მთავრობის მიერ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს აანალიზებს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე:

საქართველოში სოციალური დანახარჯები ბოლო წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების დასაწყებად საქართველოს ახალმა მთავრობამ არსებული საბიუჯეტო პროექტის ძირითადი მიმართულებები შეცვალა. გარკვეული ხარჯების შემცირებისა და ოპტიმიზაციის ხარჯზე გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებისათვის პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსება. დღეს ქვეყანას აქვს ახალი, სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი. ეს არის სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი – ეს ის ფრაზებია რითაც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან მოყოლებული ახალი მთავრობის წევრები

თავს იწონებენ.

დაისმის კითხვები: რამდენად სასარგებლოა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისათვის სოციალური ხარჯების ზრდა? როგორია მსოფლიო გამოცდილება და რა შედეგებამდე მიიყვანა მსგავსმა პოლიტიკამ მსოფლიო ქვეყნები? ჯანდაცვის საბიუჯეტო დაფინანსება წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა. უახლოეს წლებში მთავრობის საშუალო ვადიანი ხარჯების გეგმის მიხედვით დაგეგმილია სახელმწიფო ხარჯების კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მატება.

2012 წელთან შედარებით ჯანდაცვის ხარჯები 403-დან 633 მლნ ლარამდე გაიზარდა. დამატებითი დაფინანსება „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ ამოქმედებამ მოითხოვა. „საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის“ დოკუმენტის მიხედვით, 2015 წელს ამ მიზნებისთვის 905 მლნ ლარი დაიხარჯება, ხოლო 2016 წელს – 1,470 მლნ ლარი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთავრობის მიერ აღებული დამატებითი ვალდებულებების დაფინანსება ისევ მოქალაქეების ხარჯზე უნდა მოხდეს. იმ მოქალაქეების ხარჯზე, ვინც დღეს ფორმალურ სექტორშია დასაქმებული და იხდის გადასახადებს. ოქტომბერში არჩეულ მთავრობას მხოლოდ ჯანდაცვის დაფინანსება არ გაუზრდია.

2013 წლის სექტემბრიდან ყველა ჯგუფის პენსიონერი გაზრდილ პენსიას აიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტად იზრდება სახელმწიფოს სოციალური ხარჯები. პენსიისა და დახმარების გაზრდა 1 272 250 პირს შეეხება. ასაკით პენსიონერთათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი რაოდენობა 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა. პენსიის

მატება შეეხო 681 392 პენსიონერს, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირთა პენსია (1 ჯგუფის ინვალიდი) – 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, პენსიის მატება შეეხო 21 892 პირს, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია (II ჯგუფის ინვალიდი) – 70 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდა, პენსიის მატება შეეხო 72 200 პირს, ასევე, ბავშვობიდან შშმპ პირების პენსია 70 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდა, მატება შეეხო 12 921 პირს. სოციალური პაკეტი 55 ლარიდან 100 ლარამდე გაეზარდათ მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრებს, მატება შეეხო 26 700 პირს, პოლიტრეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის სოციალური პაკეტი 62 ლარიდან გაიზარდა 107 ლარამდე, მატება შეეხო 1 350 პირს, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 272 ლარიდან 292 ლარამდე გაიზარდა, მატება შეეხო 17 126 პირს. საერთო ჯამში, მატება შეეხო 1 272 250 პირს. 2012 წლის სექტემბრისთვის აღნიშნული სოციალური გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენდა 110 922 825 ლარს, 2013 წლის სექტემბრიდან აღნიშნული გასაცემლების თანხა ყოველთვიურად შეადგენს დაახლოებით 154 529 303 ლარს. გარდა ამისა, სექტემბრიდან უფასო გახდა სახელმწიფო ბაღები და სასკოლო სახელძღვანელოები, რაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის კიდევ უფრო დიდი წნეხია

უმრავლესობის დეპუტატის, თინა ხიდაშელის მიერ მომზადებულ კანონპროექტს საბავშვო ბაღების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ, ხმა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა მისცეს. საპარლამენტო

უმცირესობის წევრი დეპუტატები კი მიიჩნევდნენ, რომ კანონპროექტის ამოქმედება სახელმწიფოს მხრიდან თანხების არაეფექტურ ხარჯვას გამოიწვევდა. საბავშვო ბაღების დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტებით მოხდება.

2013-2014 სასწავლო წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოებიც უფასო გახდა. უფასო სახელმძღვანელოს საჯარო სკოლების დაახლოებით 650 ათასი მოსწავლემ მიიღო. როგორც ცნობილია, წინა წლების განმავლობაში ყოველ წელს ოთხ მილიონზე მეტი სახელმძღვანელო იყიდებოდა, რამაც ჯამში 45-50 მლნ ლარი შეადგინა. ამ თანხის გაღება ახლა სახელმწიფო ბიუჯეტს მოუწევს.

ლევან კალანდაძე: „საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული მემარცხენე მიდგომები წამოსწია, რაც გარკვეულწილად პოლიტიკური მანევრი იყო – მადლიერება იმ ძალისა და ამომრჩევლისადმი, რომელმაც მოიყვანა ის ხელისუფლებაში. მეორე მხრივ, ეს არის პოპულისტური ნაბიჯები იმის საჩვენებლად, თუ როგორ ზრუნავს ხელისუფლება მოსახლეობაზე. თუმცა მოსახლეობაზე ზრუნვაც ორი გადმოსახედიდან შეიძლება შეფასდეს. ერთი მემარცხენული მიდგომაა – შენ შეგიძლია გასცე ყველაფერი ბიუჯეტიდან და ხალხი მოკლევადიან პერიოდში კმაყოფილი გყავდეს. მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის შეფერხება და ვარდნა. ნეგატიური ტენდენციების გაჩენა, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით არასასურველი კლიმატის ჩამოყალიბება. ამას შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური კრიზისი. მაგრამ არის მეორე, ე.წ. მემარჯვენული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესისა და ზოგადად ეკონომიკური გარემოსთვის ხელ-

საყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. ეს არის უფრო ხანგრძლივად საზიდი დიდი ტვირთი, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ეფექტური, რადგან ეს მიდგომა ავითარებს ბიზნესს. სამრეწველო და ეკონომიკური სიმძლავრეების გენერირებას კი თავად ბიზნესი ახდენს. ხდება სამუშაო ადგილების შექმნა. სოციალური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგად დატესტილი გზა არის სწორედ ადამიანების დასაქმება და არა ის, რომ გაჭირვებულ ადამიანს მისცე ერთჯერადად გამოკვების საშუალება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტრანსფორმაციის წლებში საქართველოს ყურადღების მიღმა უნდა დაეტოვებინა და იგნორირება მოეხდინა იმ ფაქტისა, რომ ქვეყანაში არიან ადამიანები, ვისაც მართლა უდგას გადარჩენის პრობლემა. მაგალითად ავიღოთ რამდენიმე კონკრეტული მიმართულება – სახელმძღვანელოების თემა – ეს ძალიან მძიმედ დააწვება ბიუჯეტს და გრძელვადიან პერიოდში სახიფათო ტენდენციების შემცველია. საქართველოში არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც მართლა საჭიროებენ ამ თვალსაზრისით დახმარებას. გარკვეული სოციალური სუბსიდირების საჭიროება ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ იმ ფორმით, პროგრამის განხორციელება სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, როგორითაც სახელმწიფომ გააკეთა, არასწორი იყო.

ჩემი აზრით, ჩვენი პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ სჭიროებებზე და არა საყოველთაობის პრინციპის დაცვაზე. რეალურად, ჩვენ ბიუჯეტს მოვექეცით უყაირათოდ. უნდა მომხდარიყო გრადაცია, გამოკვეთილიყო სახელმწიფოსთვის ის სამიზნე ჯგუფები, რომლებიც რეალუ-

რად საჭიროებენ სახელმძღვანელოებით დახმარებას. ამის ნაცვლად ჩვენ ყველას ვურიგებთ სახელმძღვანელოებს. მაპატიეთ და იმ ადამიანებს, რომლებსაც ყოველთვიური 800-1000 ლარი აქვს შემოსავალი და ოჯახის წევრები დასაქმებულები არიან, რატომ უნდა ვუხადო ბიუჯეტიდან წიგნების ფული, პირადად მე გადასახადის გადამხდელმა?! ამიტომ მგონია, რომ ეს უყაირათო ხარჯვაა ფულის და ეს პოლიტიკა უფრო მეტად პიარის ელემენტების შემცველია. ხელისუფლების არგუმენტი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ძალიან ძნელია მოსახლეობის გამიჯვნა და იმის დადგენა, რეალურად ვის სჭირდება ეს დახმარება. გასაგებია, რომ ძნელია კრიტერიუმებისა და კლასიფიკაციების დადგენა მოსახლეობაში, მაგრამ რომელი უფრო მნიშვნელოვანია? ის რომ იწვალოს სახელმწიფომ და დაადგინოს ეს კლასიფიკატორები თუ ბიუჯეტიდან სახსრების გაფლანგვა?

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ჯანდაცვის თემა – ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლამდე არსებობდა სამედიცინო მომსახურების პროგრამა. ახალმა ხელისუფლებამ კარდინალურად შეცვალა მიდგომები. სამედიცინო ჯანდაცვის სისტემა შეცვალა საყოველთაო დაზღვევის სისტემით. ეს არის მკვეთრად სოციალისტური მიდგომა. სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოსაგან იმ ადამიანების დახმარებას, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდებოდა, შეიცვალა იმ სისტემით, რომლითაც ყველამ ყველაფერი უნდა მიიღოს. აქაც ადგილი აქვს ბიუჯეტის უყაირათოდ ხარჯავს. ეს სია შეიძლება გავაგრძელოთ სოფლის მეურნეობის პროგრამით. თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ეს არ იყო

ბიუჯეტის ფული, ეს იყო ივანიშვილის ფული. მაგრამ ეს იყო სახელმწიფოს პოლიტიკა და სახელმწიფოს პოლიტიკა ფინანსებთან მიმართებაში უნდა იყოს ყაირათიანი და ეფექტიანობაზე გათვლილი. სოფლად არის კატეგორია მოსახლეობის, რომელიც მართლა გადარჩენას საჭიროებს გარკვეული დროის განმავლობაში, რათა ეს ადამიანები ფეხზე დადგნენ და მერე თავის თავს თვითონ მიხედონ, ამ მხრივ სოფლის მეურნეობის პროგრამა იყო მართლა ძალიან მნიშვნელოვანი. მაგრამ ჩვენ იმას, რაც გავაკეთეთ, დავარქვით სოფლის მეურნეობის პროგრამა და ვთქვით, რომ ეს დახმარების პროგრამა კი არ იყო, არამედ – სოფლად ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა. მაგრამ ის ბარათები რაც სოფლად დარიგდა, არანაირად არ ემსახურება სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს იყო სოფლად მცხოვრები ადამიანების სოციალური დახმარების პროგრამა. ამავე დროს, ამ პროგრამით ჩვენ შევქმენით გარკვეული მოლოდინი იმისა, რომ თუ ამ მილიარდს დავხარჯავთ სოფლის მეურნეობა განვითარდება, მაგრამ რეალურად ასე არ არის, ამ მილიარდისგან რა უნდა მივიღოთ, ამაზე უკვე აღარავინ ფიქრობს. აქაც გარკვეულ უყაირათობაზეა საუბარი. ეს ბარათები დაურიგდა ყველას, ნაცვლად იმისა, რომ გამოგვეკვეთა ის ჯგუფები, რომელსაც ეს თანხა რეალურად სჭირდებოდა. და თანხის მეორე ნაწილი მიგვემართა სოფლად მცირე ბიზნესის, მცირე მეურნეობის განსავითარებლად. ეს საყოველთაობის პრინციპი, თითქმის ყველა სფეროში გატარდა, მომავალში ძალიან მძიმე შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.“ [10]

ვეთანხმებით ექსპერტ ლევან კალანდაძეს ახალი მთავ-

რობის მიმართ მის კრიტიკაში ე.წ საყოველთაო მიდგომასთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან გამართლებულია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეტნაკლებად სოციალურ-ეკონომიკურად თანასწორ მდგომარეობაში ცხოვრობს, ხოლო საქართველოსნაირ ქვეყანაში კი უნდა იქნას გამოყენებული ასეთი პრინციპი „მეტად დავეხმაროთ მათ ვისაც ეს უფრო ესაჭიროება“.

ჩვენი აზრით მიუხედავად ახალი მთავრობის მიერ გატარებული გარკვეული ღონისძიებებისა საქაართველოში მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მთავრობის მიერ არაგონივრულმა ქმედებებმა გაზარდა უმუშევრობის დონე და არ დააკმაყოფილა მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რამაც ხალხში გაზარდა ნიჰილიზმის დონე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ქვეყანა შენდება მხოლოდ ელიტალური სახელისუფლო ქართველების ნაწილისთვის და ასევე ჩამოსულ უცხოელთათვის და არა ჭეშმარიტი ქართველებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩა საქართველოს.

ჩვენი აზრით ჩვენს ქვეყანაში დადგმულმა ე.წ. „ხელოვნურმა დემოკრატიამ“ არ გაამართლა. ჩვენს ერს და ქვეყანას ესაჭიროება ნემდვილი დემოკრატია ამ ყველაფრის შემდეგ ისმის კითხვა არის თუ არა საქართველო დემოკრატიული სახელმწიფო?. ამაზე სწორ პასუხს მხოლოდ დრო გაგვცემს!.

ლიტერატურა

1. **ხუსკივაძე მამუკა.** პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის პროცესთა შეფასებისა და რეგულირების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები საქართველოში. თბილისი 2006 წ.
2. **საქართველოს ეკონომიკის და ვაჭრობის სამინისტრო.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატიური გეგმა. თბილისი. 2001.
3. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მასალები 2003 წლიდან ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმებისა ღონისძიებების თაობაზე.** № 01-19/07/9755. 26.08.2010. საქართველო, თბილისი, 0119 აკ. წერეთლის გამზ. 144.
4. **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მასალები** საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით. № 17/2542/5-10. 02.06.2010. 0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12.
5. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმებისა და ღონისძიებების მნიშვნელოვანი შედეგები და მონაცემები.** № 15-11-3/17580. 27.09.2010. 0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 52.
6. **უმუშევრობა-არჩევნების-სამსახურში.** ttp://netgazeti.

ge/GE/11/business/1682/

7. ერთად-დავამარცხოთ-სიღარიბე/ http://barcelonismo.wordpress.com/2010/11/12/

8. დემოგრაფიული-მდგომარეობა-საქართველოში. html-lhttp://www.hwngo.org.ge/analytics/54-

9. ტყემალაძე: პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება ქვეყნის ...
www.netgazeti.ge › Home › ახალი ამბები

10. ემუქრება თუ არა საქართველოს საბიუჯეტო... _ Sazogadoeba.Gesazogadoeba.ge/?post_id=1063[

თავი. III. განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების დაძლევის გზები

3.1. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების დაძლევის გზები გლობალიზაციის პირობებში

წინა მდებარე თავში, ჩვენს მიერ, განხილული იყო განვითარებადი ქვეყნების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები პოსტსაბჭოური ქვეყნების და, უმთავრესად, საქართველოს მაგალითზე. თუმცა, როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, განვითარებადი ქვეყნების მეტისმეტი მრავალრიცხოვნობის გამო, იქ არსებული პრობლემები ძალზე მრავალფეროვანი და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ამდენად, განსხვავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლისა და დაძლევის გზებიც. ყველაფერ ამას თავისი საფუძველი და ისტორიული ფესვები გააჩნია, რამდენადაც ყოველ მათგანს განვითარების თავისი ისტორია აქვს. ყოველი მათგანი განსხვავებულ ბუნებრივ თუ ადამიანურ რესურსებს ფლობს, სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ნაწილი და მატარებელია, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება და სხვადასხვა ტემპით ვითარდება. შეინიშნება არსებული განსხვავებულობის შემდგომი გაღრმავების ტენდენციაც. თუმცა მათ შორის ბევრი ისეთი საერთო პრობლემის გამოკვეთაც შეიძლება, რომელიც ყოველი მათგანისათვის არის დამახასიათებელი, და რომელთაც აქვთ

ეკონომიკური ან სოციალური ხასიათი, ლოკალური ან გლობალური მნიშვნელობა. ყველა მათგანის ჩამოთვლასა და განსაკუთრებით მათი გადაწყვეტის გზების მოძიებას ათეულობით ნაშრომიც არ ეყოფა, რაც ჩვენს შესაძლებლობებს დიდად აღემატება. ამდენად, იძულებულები ვართ შემოვიფარგლოთ მხოლოდ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებით.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან, ჩვენი აზრით, პირველი და უმნიშვნელოვანესია **სიღარიბის** პრობლემა, რომელთან ბრძოლაც ყოველი ქვეყნის პირველი რიგის ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანაა. სიღარიბე, განვითარებად ქვეყნებში იმდენად გამოკვეთილი, ყოველმხრივი და მასობრივი მოვლენაა, რომ ის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად არის გადაქცეული.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა გლობალური კრიზისისა და ბუნებრივი კატაკლიზმების წყალობით, უკანასკნელ პერიოდში იმდენად გამწვავდა, რომ ახლა არა მარტო განვითარებადი ქვეყნების, არამედ მთელი მსოფლიოს მთავარ საზრუნავად არის გადაქცეული.

სიღარიბის მაღალი დონე განვითარებად ქვეყნებში განპირობებულია მოსახლეობის მცირე შემოსავლებით, უმუშევრობით, ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპებით, მწირი მატერიალური და ფინანსური რესურსებით და ა.შ. რომლებიც ცალ-ცალკე თვითონ წარმოადგენენ დამოუკიდებელ პრობლემებს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 2009 წლის მონაცემებით, დღეში აშშ-ის 2 დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა 2598,1 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 98,6% სწორედ განვითარებად

ქვეყნებზე მოდიოდა. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბე ყველგან არსებობს, უკიდურესი სიღარიბე განვითარებადი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი და ყველაზე მეტად აფრიკის კონტინენტზე საჰარიდან სამხრეთით მდებარე ქვეყნებში შეიმჩნევა.

სიღარიბეს ებრძვის ყველა, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დაწყებული ცალკეული ქვეყნით დამთავრებული. მსოფლიოში ათასწლეულის განვითარების 8 ძირითადი მიზნიდან ერთ-ერთი სწორედ უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილიანობის აღმოფხვრას ეხება. ყოველ ქვეყანაში სიღარიბესთან ბრძოლა და ბრძოლის გზების შემუშავება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით შემუშავებული თუ ცალკეული ქვეყნის მიერ მომზადებული პროგრამების მიხედვით ხდება. ზოგიერთი მათგანი წარმატებით სრულდება. მაგალითად, ჩინეთმა და ინდოეთმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შეამცირა მოშიმშილე ადამიანთა რიცხვი და გაზარდა შემოსავლიანობა ერთ სულ მოსახლეზე. ზოგიერთი ქვეყნების პროგრამების უმეტესობა კი ხორციელდება წარუმატებლად.

სიღარიბეს ზრდის ან პირიქით ამცირებს ყოველი ქვეყნის მიერ არჩეული საზოგადოებრივი კვლავწარმოების, სამეურნეო მექანიზმისა და განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ტიპი ანუ ქვეყნის მიერ არჩეული ეკონომიკური პოლიტიკა. მაგალითად აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა უარი თქვეს იმპორტშემცვლელი პოლიტიკის განხორციელებაზე და გეზი ისეთი მრეწველობის განვითარებისკენ აიღეს, რომელიც ექსპორტზეა ორიენტირებული და წარმატებასაც მიაღწიეს. სხვები ცდილობენ შეამცირონ ეკონომიკაში სახელმწიფოს

ჩარევა, ზოგიერთები ამცირებენ სავაჭრო ბარიერებს, სხვები პირიქით ზრდიან და პროტექციონისტურ პოლიტიკას ახორციელებენ და ა.შ.

შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად განსხვავებულია და შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბე სრულად არ არის დაძლეული არათუ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც, რამდენადაც **აბსოლუტური** სიღარიბის აღმოფხვრის შემთხვევაშიც კი, ყოველთვის რჩება **ფარდობითი** სიღარიბე.

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, განვითარებად ქვეყნებს (და ეს მათთვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა) არ გააჩნიათ წარმოების განვითარების ისეთი ფაქტორები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მრეწველობისათვის, მაგალითად **კაპიტალი და კვალიფიციური სამუშაო ძალა** [1, გვ.445].

კაპიტალის დაგროვებისათვის საჭირო ხელშემწყობი პირობები, საერთოდ არ არსებობს აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ტომის კანონები მოითხოვენ, რომ მისმა თითოეულმა წევრმა საკვები და საქონელი თემის ნებისმიერ სხვა წევრს უწილადოს, თუ მან ეს მოითხოვა. გაჭირვებულისადმი დახმარება გულმოწყალების აქტი კი არ არის, არამედ – მოთხოვნაა. ამ მიზეზით არავის არ შეუძლია პურის, ბამბის ან თავისი შრომის სხვა ნაყოფის დაგროვება და ამით კაპიტალის შექმნა აუცილებელი მოწყობილობის შესაძენად. სამრეწველო ეკონომიკის განვითარებას, რომელსაც მოწყობილობის შესაძენად კაპიტალი სჭირდება, ხელს უშლის არა ამ ტომების ინტელექტუალური დონე (რომელიც თავისთავად ძალზე დაბალია), არამედ მათი

კულტურის სისტემა [2, გვ. .27].

მაშასადამე, ასეთ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობების შექმნის გარეშე, ანუ არსებული კულტურული სისტემის შეცვლის გარეშე, კაპიტალის დაგროვების პრობლემა ვერასდროს გადაწყდება.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის მეტად მნიშვნელოვანია **კერძო საკუთრებითი უფლებების დაცვა.** თუმცა იქ, სადაც საკუთრებითი უფლებები დაცულია, მეწარმეობის განვითარებისათვის ყველა გზა გახსნილია (სხვა საჭირო პირობების არსებობის შემთხვევაში), ხოლო საკუთრებითი უფლებების სუსტი დაცვის ან დაუცველობის პირობებში, არ არსებობს წარმოებასა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების სტიმულები და შესაბამისად მეწარმეობის განვითარების მოტივაცია.

განვითარებადი ქვეყნების სხვა მნიშვნელოვანი პრობლემაა **მაღალი ინფლაცია.** მათი მთავრობები, ხშირ შემთხვევაში, უუნარონი არიან დააფინანსონ მნიშვნელოვანი ხარჯები აკრეფილი გადასახადების ხარჯზე. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება ამ ქვეყნებში ხშირად წარმოადგენს კანონზომიერ და სრულიად ჩვეულებრივ მოვლენას, და ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურად, ანუ ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში ხორციელდება. ამდენად სახელმწიფოსათვის ყველაზე იოლია დამატებითი ფულადი კუპიურების ბეჭდვა. ეკონომისტებმა, **სენიორაჟი** უწოდეს იმ რეალურ რესურსებს, რომელსაც სახელმწიფო გამოიმუშავებს დამატებითი ფულის ბეჭდვის ხარჯზე. როცა განვითარებადი ქვეყნების მთავრობები უწყვეტად ზრდიდნენ სამამულო ფულადი

მასების მოცულობებს, შეიმჩნეოდა მაღალი ინფლაცია (ზოგჯერ ჰიპერინფლაციაც) [1, გვ. 447].

მაშასადამე, ანტიინფლაციურ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია არალეგალური ეკონომიკის ჩრდილიდან გამოყვანა და მისი სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა.

განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს **კლანური ხელისუფლება და კორუფციის მაღალი** დონე. კლანური ხელისუფლება გამორიცხავს დემოკრატიულ არჩევნებს და აკანონებს ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემას, კორუფცია კი როგორც სოციალური და ეკონომიკური მოვლენა, განსაკუთრებით მასშტაბური, ყოვლისმომცველი და საშიში ხდება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში, როცა სახელმწიფო მოხელეებს ხელს არ აძლევთ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის გატარება, რაც პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის დროს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შეფერხებასა და გაჭიანურებას განაპირობებს [3, გვ. 121-122].

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, კორუფცია არის ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ყველა ძირითადი მანკიერების მიზეზი და შედეგი, რომელთანაც ბრძოლის გამკაცრებისა და თუნდაც გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის გარეშე ყველაფერი აზრს კარგავს და წყლის ნაყვას ემსგავსება. რამდენადაც, კორუფცია ძირს უთხრის ეთიკასა და ზნეობას, ანგრევს იმ მორალურ სტიმულებს, რომელსაც ლეგიტიმური საზოგადოება ეფუძნება, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობას და მთლიანად სახელმწიფოებრიობას,

თრგუნავს კონკურენციას, ამწვავებს ეკონომიკურ კრიზისს, ხელს უწყობს ბიუჯეტის სიმწირესა და დეფიციტს, ზრდის ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალს [3, გვ.135].

საგარეო ვალის კოლოსალური მოცულობა არის განვითარებადი ქვეყნების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა. ეს დაგროვილი ვალები რამდენიმე ტრილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს სხვადასხვა ვალუტაში, რისი გადახდის უნარიც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნია.

ჩვენი აზრით, სწორედ აქ დომინირებს უხილავი პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები განვითარებადი ქვეყნების მიმართ. კერძოდ, თუ ამა თუ იმ განვითარებადი ქვეყნის ხელისუფლება არ გაატარებს თავის ქვეყანაში იმ პოლიტიკას, რომელიც დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მმართველებს აწყობთ, ისინი ამოქმედებიან და სხვადასხვა მხრივ იმ განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლებებს, რომელთაც დიდი დავალიანება გააჩნიათ დონორების მიმართ, შეუქმნიან დიდ პრობლემებს. ხოლო თუ განვითარებადი ქვეყნები გაატარებენ იმ პოლიტიკას თავის ქვეყანაში, რომელიც დონორების მმართველ წრეებს აწყობთ, მაშინ დაგროვილ დავალიანებას ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოაწერენ.

სასურველია თუ განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ამა თუ იმ ფორმით მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოაწერენ ვალებს განვითარებად ქვეყნებს. მისაბაძია მაგალითად ის ფაქტი, რომ სულ რამდენიმე წლის წინ რუსეთმა განვითარებად ქვეყნებს 11,3 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის ვალები ჩამოაწერა.

როგორც განაცხადა მოსკოვში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა იური ისაკოვმა [4].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემას დღესდღეობით **ნავთობის, ანუ, შავი ოქროს პრობლემა** წარმოადგენს. ეს პრობლემა რა თქმა უნდა, ასახვას ჰპოვებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზეც. უკვე დიდი ხანია, რაც ნავთობმა, როგორც სათბობ-ენერგეტიკულმა საშუალებამ, ქვანახშირი ჩაანაცვლა. ჩვენ ვეთანხმებით მათ, ვინც ფიქრობს, რომ მსოფლიოში „ნავთობზე ფასების ზრდა გამოწვეულია არა მაკროეკონომიკური მიზეზებით, არამედ სპეკულანტების თამაშებით, რომლებიც ფასების გასაზრდელად მარჯვედ იყენებენ ერაყში, ირანში, ვენესუელასა და ნიგერიაში გეოპოლიტიკურ სტაბილურობას“ – ეს განცხადება ამ ბოლო ხანებში ლორდმა ჯორჯ ბრაუნმა, ბრიტანული გიგანტის „ბრიტიშ პეტროლიუმის“ პრეზიდენტმა გააკეთა [5, გვ. 76].

ბიოსაწვავს ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ გამოუჩნდნენ კრიტიკოსებიც, რომლებიც ასე ამბობენ: „მართალია ბიოსაწვავის გამოყენების საშუალებით მკვეთრად მცირდება ატმოსფეროში გამონაბოლქვის ოდენობა, მაგრამ სამაგიეროდ მისი წარმოების მოცულობების გადიდების გამო პლანეტაზე ტყეების ფართობები კატასტროფულად მცირდება. საფიქრალია, რომ ამ მოვლენის უარყოფითი ეფექტი გადაწონის ავტომანქანების მიერ გამონაბოლქვით ატმოსფეროსათვის მიყენებულ ზიანს.

ამ მიზეზით მიყენებული ზიანი უკვე აშკარად ეტყობა ინდონეზიას, მალაიზიას და ბრაზილიას. ბიოსაწვავის მის-

აღებად ყველაზე იაფ და გამოსავლიან ნედლეულად ითვლება პალმა. სწორედ ამიტომ ბიოსაწვავის მწარმოებლები ამ კულტურის გასაშენებლად მილიარდობით დოლარს აბანდებენ. შედეგად იჩეხება ტყეები და მის ადგილს პალმის პლანტაციები იკავებენ. მათ უკვე გადააჭარბეს ბანანით დაკავებულ ფართობებსაც კი“ [5, გვ. 122].

მართალია ბიოსაწვავის დამზადება შესაძლოა ბუნებაზე გარკვეულწილად ცუდად მოქმედებდეს, მაგრამ, სანამ კაცობრიობას ბიოსაწვავზე უკეთესი ალტერნატივა არ გაუჩნდება, მანამ ბიოსაწვავი უნდა მივიჩნიოთ ნავთობის ჩამანაცვლებელ წყაროდ.

დღევანდელ მსოფლიოს და მაშასადამე, განვითარებად ქვეყნებსაც, აწუხებთ ერთ-ერთი მთავარი გლობალური პრობლემა, რომელიც **გლობალურ დათბობას** უკავშირდება. გლობალური დათბობა, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ჩვენი პლანეტის ეკონომიკაზე, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზეც. ინტერნეტში განთავსებული მასალის მიხედვით: „მსოფლიოში ორი ძირითადი პრობლემაა ომი და კლიმატის ცვლილება, ანუ გლობალური დათბობა. კლიმატის ცვლილებები, ომებისა და კონფლიქტებისაგან განსხვავებით, მსოფლიოს ყველა ქვეყანას თანაბრად ეხება. მის შესაჩერებლად კი დღეისათვის აქტიურად მხოლოდ დიდი და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები იბრძვიან. მათი ძალისხმევა კი შედეგს ვერ გამოიღებს, თუ დედამიწის ყველა წერტილში ერთდროულად და შეთანხმებით არ იმოქმედებენ საერთო კატასტროფის შესაჩერებლად.

გლობალური დათბობა მხოლოდ ატლანტიკის ოკეანეში არ იწვევს ყინულის საფარის დნობას, რის შედეგადაც

გოლფსტრიმის თბილი დინების ტემპერატურა თანდათან ნულოვან ნიშნულს უახლოვდება. საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, ჩატარებული გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ გლობალურმა დათბობამ შავი ზღვის სანაპიროზეც გამოიწვია თბილი პერიოდის შემცირება, რაც მომავალში პირდაპირ აისახება როგორც ტურისტების რაოდენობაზე, ასევე ციტრუსების მოსავლიანობაზე ამ რეგიონში. საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყანა კი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება გლობალური დათბობის საფრთხეს და მის შედეგებს" [6].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განვითარებული სახელმწიფოები შინაგანად არასოდეს აღიქვამენ განვითარებად ქვეყნებს თავიანთ თანასწორ სახელმწიფოებად. ისინი, მხოლოდ გარეგნულად ახდენენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას ამა თუ იმ ფორმით, ხოლო შინაგანად ნაკლებად უწყობენ ხელს ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და ამდენად ამ ქვეყნებს მცირე შანსი აქვთ იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებს გაუთანასწორდნენ, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. ასეთი პოლიტიკით განვითარებადი ქვეყნები, მუდამ იქნებიან სხვადასხვა ფორმით განვითარებულ სახელმწიფოებზე მეტნაკლებად დამოკიდებულნი.

გლობალურ პრობლემებს ვერც ერთი ცალკეული განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა, მთელი მსოფლიოს გაერთიანება. კერძოდ, ამ შემთხვევაში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მართებთ დადონ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ პლანეტის

მასშტაბით მეტნაკლებად ყველა ფაბრიკა-ქარხანა აღჭურვონ შესაბამისი მოწყობილობით, რომელიც ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვს შეამცირებს. სწორედ აი აქ არის მნიშვნელოვანი ბიოსაწვავის როლი.

ცხადია, განვითარებად ქვეყნებს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში მრავალმხრივ ეხმარებიან, მათ შორის ფინანსურადაც, განვითარებული სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ფინანსური დახმარების დიდი ნაწილი მოდის გრძელვადიან კრედიტებზე, რომელსაც განვითარებადი ქვეყნები იღებენ ამა თუ იმ პროგრამის განსახორციელებლად. რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ისედაც დიდი მოცულობის საგარეო ვალს.

ვფიქრობ, რომ დადგა დრო, განვითარებადმა ქვეყნებმა, ბევრი განვითარებული ქვეყნის გამოცდილების შესაბამისად, ფართო ნაბიჯები გადადგან გლობალიზაციისაკენ მიმავალ გზაზე.

კერძოდ, შექმნან ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები რომელიც დაეხმარებათ ცალკეული პრობლემის მოგვარებაში, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად MERCOSUR-ი ლათინურ ამერიკაში, ASEAN-ი აზიაში და APEC-ი აზია-წყნარ ოკეანეში.

მათგან ერთ-ერთი უმსხვილესი და დინამიური სავაჭრო-პოლიტიკური კავშირი ლათინურ ამერიკაში არის **სამხრეთ-ამერიკული საერთო ბაზარი** არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის შემადგენლობით [7, გვ. 129-130].

ASEAN-ი, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, რომლის მიზანია, მონაწილე ქვეყნების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება,

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში თანამშრომლობის ჩატარება და ა.შ. [7, გვ. 132].

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანება (APEC)

APEC-ს ფორმალურად საკონსულტაციო სტატუსი აქვს, მაგრამ ფაქტობრივად მისი სამუშაო ორგანოები ვაჭრობის, ინვესტიციების და საფინანსო საქმიანობის წარმართვის რეგიონულ წესებს აყალიბებენ [7, გვ. 134].

აღნიშნული და სხვა ასეთი ორგანიზაციები, აერთიანებენ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას, საერთო და გლობალური პრობლემების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ორგანიზაციების შრომა და ბრძოლა, საერთო და გლობალური პრობლემების წინააღმდეგ, უფრო ძლიერი და ეფექტურია, ვიდრე, ცალკეული რომელიმე განვითარებადი ქვეყნის გარჯა.

ჩვენი აზრით, განვითარებად ქვეყნებში, როგორც შედარებით სუსტად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სასურველი იქნება ტრანსეროვნული კომპანიების ფილიალების ფუნქციონირება, რადგან ახლო მომავალში ბრძოლა ძალაუფლებისათვის ტრანსეროვნულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის გაგრძელდება ყველა სფეროში, ამასთან მოსახლეობა, როგორც მომხმარებელი, TRC-ების მხარეს იქნება, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ უფრო დაბალ ფასებს [8, გვ. 292].

საჭიროება მოითხოვს, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ცალკეული კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ საკუთარ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს მათი არც სრული ჩამოთვალისა და არც გადაჭრის

პრეტენზია, პრობლემების მეტისმეტი სიმრავლის, მრავალფეროვნების, განსხვავებულობისა და თავისებურებების გამო. ზოგადად კი, მათი გადაჭრის ძირითად გზებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს:

1. ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ადგილობრივი პირობების შესაბამისი გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის უპირატესი ტემპი დემოგრაფიული ზრდის ტემპთან შედარებით;

2. ყოველ ქვეყანაში კაპიტალის დაგროვებისათვის, ხელშემწყობი პირობების შექმნა ანუ ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება და ყოველი მათგანის კულტურული ფასეულობების თანდათანობითი შეცვლა, განათლების როლის ამაღლების პირობებში;

3. განვითარებული ქვეყნებიდან ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა, ინვესტორებისათვის ადგილებზე საუკეთესი პირობების შექმნით;

4. ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მნიშვნელოვანი შემცირება, მისი უმეტესი ნაწილის ჩრდილიდან გამოყვანა, ჩრდილოვან ეკონომიკასთან უკომპრომისო ბრძოლისა და მისი წარმოშობის ხელშემწყობი მიზეზების თანდათონობითი აღმოფხვრის პირობებში;

5. უკიდურესი სიღარიბის დაძლევა მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობის, ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრებითი ურთიერთობების დაცვისა და ხელშეუხებლობის პირობებში;

6. ქვეყნებში მაღალი ინფლაციის დაძლევა მკაცრი საფინანსო პოლიტიკის გატარების საფუძველზე;

7. კორუფციასთან და მექრთამეობასთან უკომპრომისო ბრძოლა, კამპანიური ხასიათის გარეშე;

8. საგარეო და საშინაო ვალის თანდათანობითი შემცირება, საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციით და ჩამოწერით;

9. საგარეო სავაჭრო ბრუნვის ბალანსის გაუმჯობესება, მისი საექსპორტო ნაწილის ხვედრითი წილის ამაღლების ხარჯზე;

10. ქვეყნებში კლანურობის აღკვეთა და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება;

11. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

12. ყოველ ქვეყანაში ბიუჯეტების გამჭვირვალეობის ამაღლება, შემოსავლების თანაბარი განაწილებისათვის ბრძოლის გაძლიერება,ანტიმონოპოლიური სამსახურების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა და ა.შ.

ლიტერარურა

1. **კრუგმანი პოლ., ოფსვილდი მაურის.** საერთაშორისო ეკონომიკა. თეორია და პრაქტიკა. თბილისი: „ცისარტყელა", 2000.
2. **როუზენი ჰარი.** გახდი მილიონერი (ამერიკული გზა), თბილისი: „სიახლე", 1994.
3. **აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ.** ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი: „უნივერსალი", 2004.
4. **რუსეთმა განვითარებად ქვეყნებს ...**

http://www.newsgeorgia.ge/economy/20060614/548717.html

5. **გრიშიკაშვილი ამბროსი.** ეკონომიკური მოზაიკა, თბილისი, 2008.
6. **მსოფლიო გლობალური დათბობის** ... http://7days.ge/index2.php?newsid=20
7. **ეთერია ემირი.** რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, თბილისი, 2005.
8. **მოვსესიანი ა.გ., ოგნიევცევი ს.ბ.** მსოფლიო ეკონომიკა. ტომი II, თბილისი, 2004.

1.2 განვითარებადი ქვეყნების სოციალური პრობლემების დაძლევის გზები გლობალიზაციის პირობებში

XX საუკუნის ბოლოს სამყარო ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა. დაახლოებით მილიარდი ადამიანი ცხოვრობს განვითარებულ ქვეყნებში, რომლის ცხოვრების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ამ მილიარდს ხშირად „ოქროს" მილიარდს უწოდებენ. დანარჩენი 6 მილიარდი განვითარებად ქვეყნებშია. არსებითად, ამგვარი დაყოფა უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა, კოლონიური იმპერიების მშენებლობის პერიოდში. დღემდე, „ოქროს" მილიარდი – ეს ძირითადად მეტროპოლიების მცხოვრებნი არიან, ხოლო განვითარებადი ქვეყნები – ყოფილი კოლონიები და ნახევრად კოლონიები.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის მეორე ჯგუფიდან პირველში გადასვლა აუხდენელ ოცნებად რჩება. მთელი XX საუკუნის განმავლობაში ეს გადასვლა უნიკალური პირობების მქონე (ნავთობის უზარმაზარი მარაგები, ფრიად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ა.შ.) მხოლოდ პატარა მოსახლეობის მქონე ძალიან ცოტა ქვეყანამ თუ მოახერხა.

მთლიანობაში განვითარებადმა ქვეყნებმა ვერაფრით ვერ შეძლეს განვითარებულ ქვეყნებთან მიახლოვება. გაეროს სტატისტიკით, 1951-1999 წლებში განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 5,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო განვითარებადებში – 10,3-ჯერ. ცხოვრების დონეთა დაახლოება ამ ორ ჯგუფში თითქოს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში განვითარებადი

ქვეყნების მოსახლეობა 2,8-ჯერ გაიზარდა, ხოლო განვითარებულებში – მხოლოდ 1,5-ჯერ. ამგვარად, კოლოსალური ძალისხმევის მიუხედავად, სხვაობა ამ ჯგუფს შორის პრაქტიკულად არ შემცირებულა. თუკი 1950 წელს განვითარებული ქვეყნები უსწრებდნენ განვითარებადებს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) წარმოდგენის დონით 6,7-ჯერ, 2000 წლისათვის ეს მაჩვენებელი 6,6-ის ტოლი გახდა, ანუ, ცდომილებათა გათვალისწინებით, სხვაობა ცხოვრების დონის ძირითად მაჩვენებლებს შორის ფაქტობრივად არ შეცვლილა.

„თანამედროვე მსოფლიო, მიუხედავად გლობალიზაციისა, მატერიალური უთანაბრობით დაღდასმულ სამყაროდ რჩება. თუ კაცობრიობას გავყოფთ 10 თანაბარ ნაწილად, დაახლოებით 700 მილიონი კაცის ოდენობით თითოეულში, მაშინ ყველაზე მდიდარ 700 მილიონ უმდიდრეს ადამიანთა დიდი ნაწილი (87%) განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან მდიდრები განვითარებადი ქვეყნებიდან (დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი). მასში შედიან „ახალი რუსებიც“ – 12 მილიონი ადამიანი. უთანაბრობას განვითარებად ქვეყნებში აღმაშფოთებელი მასშტაბები აქვს. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ 60 მილიონ მდიდარს განვითარებადი ქვეყნებიდან აქვს უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე, 1,7 მილიარდ უღარიბეს მაცხოვრებელს ამავე ქვეყნებიდან.

ითვლება, რომ აბსოლუტური სიღატაკის დონე – ეს არის ცხოვრება დღეში 1 ამერიკული დოლარით, ხოლო უპირობო სიღატაკის – 2 ამერიკული დოლარით დღეში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნტი (457 გ.) პური დოლარი

ღირს, ასევე – 1 ლიტრა რძე. ბუნებრივია, ამერკის შეერთებულ შტატებში 2 დოლარით დღეში ვერ იცხოვრებ, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში სხვა ფასებია და მილიარდობით ადამიანი ამ ღატაკური დონის შემოსავლებით არსებობს. გაეროს მონაცემებით, პლანეტაზე 1,2 მილიარდ ადამიანს 1 ამერიკული დოლარი შემოსავალი არა აქვს დღეში, ხოლო 2,5 მილიარდს – 2 ამერიკული დოლარი დღიურად. სხვათა შორის, ამ ჯგუფებში თითქმის სრულად ხვდებიან რუსი პენსიონერები" [1, გვ. 194-195].

მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ პრობლემებს მიეკუთვნება აგრეთვე სასურსათო პრობლემა. ცნობილია, რომ მსოფლიოში შიმშილისგან იღუპება ყოველწლიურად 40 მილიონზე მეტი ადამიანი, მეორე მსოფლიო ომში კი ხუთ წელიწადში 50 მილიონი დაიღუპა.

ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება **უმუშევრობა;** დღეს არსებითად უმუშევარია ყოველი მეათე ადამიანი. თუ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა და მათ შორის საბჭოთა კავშირში უმუშევრობა ფორმალურად არ არსებობდა, დღეს ყველაზე მეტად ეს საფრთხე ექსსაბჭოურ ქვეყნებს ემუქრება. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ინფლაციასაც გლობალური ხასიათი აქვს.

გლობალურ პრობლემათა შორის გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება განსაკუთრებით საშიში სნეულებანი (გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, კიბო, შიდსი და ა.შ.), რომელთაც სოციალური საფუძველი აქვთ. მიუხედავად მის წინააღმდეგ გამძაფრებული ბრძოლისა, ძლიერდება ნარკომანია. დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების მზარდი მოხმარება და ა.შ.

ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად რჩება **დემოგრაფიისა და მოსახლეობის მიგრაციის** პრობლემა.

აღნიშნული პრობლემა სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს, მეტადრე, როცა ეს მიგრაცია ომთან არ არის დაკავშირებული.

ეკოლოგიური საფრთხე, რომ დღითი დღე იზრდება, ეს უკვე არავის ეეჭვება, მაგრამ პრობლემათა პრობლემა მუდამ იყო და არის ომის საფრთხის დაძლევა. თუ რა სახსრებს შთანთქავს დღევანდელი მილიტარიზაცია, დღეს ეს ყველასთვის ცნობილია [2, გვ. 543-544].

როგორც უკვე აღინიშნა, დღევანდელი მსოფლიოს, განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ პრობლემას, წარმოადგენს **სურსათის ნაკლებობა**.

ერთ მილიარდზე მეტი ადამიანის დღიური რაციონი საარსებო მინიმუმზე დაბალია და სამწუხაროდ, მომავალში ეს ციფრი ალბათ, კიდევ გაიზრდება.

ინგლისელი მეცნიერის კოლინ კლარკის გაანგარიშებით, დღეს არსებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და აგროკულტურის მიღწევების საყოველთაო დანერგვის შედეგად დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 10-ჯერ მეტი მოსახლეობა, ვიდრე ამჟამად ცხოვრობს მსოფლიოში.

მოცემულ სივრცესა და დროში სურსათზე მოთხოვნილებას ფარავს კვების პროდუქტების წარმოება. თანამედროვე საზოგადოებაში ამ პრობლემას ცოტა სხვაგვარი რაოდენობრივი და თვისებრივი გამოხატულება ეძლევა: სურსათის მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება სურსათზე მოთხოვნას გარკვეულ სივრცესა და დროში.

ამდენად, ეს პრობლემა არსებობს იმ რაიონების, რე-

გიონებისა თუ სახელმწიფოებისათვის, სადაც ხდება სასურსათო ბალანსის ასეთი დარღვევა. რაც გახლავთ სასურსათო პრობლემის ძნელად მოსაგვარებელი მხარე, იგი ხომ წმინდა სოციალური მოვლენაა. სასურსათო პრობლემას ერთეული ქვეყნებისათვის აქვს მეორე მხარეც, რომლის გადაწყვეტა ბევრად ადვილია. ეს არის სურსათის ჭარბწარმოება, როცა მოცემულ სივრცეში იმაზე გაცილებით მეტი სურსათია წარმოებული, ვიდრე მასზე მოთხოვნაა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით ეს პრობლემა არ არსებობს და არც იარსებებს.

ასეა თუ ისე, აღნიშნული პრობლემა დასაბამიდან დღემდე კაცობრიობის „ეკონომიკური თანამგზავრია".

სასურსათო პრობლემის გადაჭრის ყველაზე უტყუარი გზაა ეკონომიკის სწორი მართვა. ყველა დარგის განვითარება და ამ დარგების თანაფარდობა უნდა აიგოს სურსათის წარმოების შესაძლებლობათა გათვალისწინებით და უწინარეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ამ პრობლემის გადაჭრისაკენ. ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედებაში რევოლუცია სასურსათო პრობლემის გადაჭრას რეალობად აქცევს [2, გვ. 545-546].

დღევანდელ მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, სოციალური პრობლემების გარკვეული ნაწილი **უმუშევრობას** უკავშირდება.

დანაშაულებრივი სამყარო, ნარკომანია, პროსტიტუცია და ა.შ. – აი ნუსხა იმ მოვლენებისა, რაც უმთავრესად დაუსაქმებლობით არის ნასაზრდოები. უმუშევრობას ზრდადი ტენდენცია ახასიათებს. ის ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბოლო წლებში თუმცა ზიგზაგებით,

მაგრამ მაინც დაცემის ტენდენციით ხასიათდება, მსოფლიო მასშტაბით საერთო ტენდენცია ზრდადია. არადა, სოციალური კონფლიქტების და ზოგჯერ ეთნოკრიზისების წყარო არაერთხელ გამხდარა უმუშევრობა [2, გვ. 550].

დღევანდელი მსოფლიოს და მათ შორის განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს **ემიგრანტთა დიდი მასშტაბები.** „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ სივრცეზე შრომითი ემიგრაციის უდიდესი ტალღები წარმოიშვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო მიგრანტების მესამედზე მეტი. ამგვარი პროცესები განსაკუთრებით ტაჯიკეთის, საქართველოს, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვებისთვის არის დამახასიათებელი. დღეს თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, 35 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს“ [3, გვ. 8].

მსოფლიოს დღევანდელ ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემას წარმოადგენს **დემოგრაფიული პრობლემა.** ეს განსაკუთრებით მტკივნეულად ეხება განვითარებად ქვეყნებს.

ამ მცირე ხნის წინათ საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაეცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ მომზადებულ პროგნოზებს მსოფლიოში 2050 წლამდე დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის თაობაზე. მასში მრავალი მონაცემი ნამდვილად შემაშფოთებელია. კერძოდ, მასში ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ პროგნოზების მიხედვით, 2050 წლამდე მდიდარ ქვეყნებში წლიურად 2-2,2 მილიონამდე იმიგრანტს უნდა ელოდონ. ეს კი იმის

მომასწავებელია, რომ უახლოეს 40-43 წელიწადში მსოფლიოს ისეთი დემოგრაფიული ცვლილებები ელის, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს.

მოსახლეობის ყველაზე მაღალ ზრდას ადგილი აზიისა და აფრიკის კონტინენტზე და ასევე ახლო აღმოსავლეთში ექნება, სადაც მცხოვრებთა რიცხვიც 2050 წლამდე 1 მილიარდით გაიზრდება. მათი დიდი უმრავლესობა საცხოვრებელი სახლების, საკვებისა თუ მტკნარი წყლის უკმარისობის გამო იძულებული გახდება სამუშაო და საცხოვრებელი საზღვარგარეთ ეძებოს. ამიტომ, ამ მიზნით, ათეულობით მილიონი აფრიკელი თუ აზიელი ევროპის თუ ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასახლდება. რაც შეეხება იქაურ მკვიდრ მოსახლეობას, იგი 2050 წლამდე გაზრდის ნაცვლად, შესაძლოა შემცირდეს.

საპროგნოზო პერიოდის განმავლობაში მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდება 2,5 მილიარდი ადამიანით და 9,2 მილიარდს მიაღწევს. კაცობრიობის ეს მატება ძირითადად აზიის, აფრიკის კონტინენტებზე და ახლო აღმოსავლეთზე მოვა. მომატებული მოსახლეობის რიცხოვნობა იმდენივე იქნება, რამდენი კაციც ცხოვრობდა მთელ მსოფლიოში 1950 წელს.

მაშინ, როდესაც აღნიშნული კონტინენტების ქვეყნებში მოსახლეობის რიცხოვნობა ასე მოიმატებს, სხვაგან იგი დრამატულად შემცირდება. გაეროს პროგნოზების თანახმად, მოსახლეობის რიცხოვნობის კლება განსაკუთრებით საგრძნობი იქნება აღმოსავლეთ ევროპაში და ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ამის მიზეზი გახდება აქედან მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადასახლება და ასევე ახალ-

შობილათა რიცხოვნობის შემცირება, რომელიც საკმარისი არ იქნება მოსახლეობის უბრალო აღწარმოებისათვისაც კი. მაგალითად, საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის, ბულგარეთის მოსახლეობა შემცირდება 35 პროცენტით, უკრაინის 33-ით, რუსეთის თითქმის ერთი მეოთხედით, პოლონეთის ერთი მეხუდედით. მოსახლეობის კლებას ადგილი ექნება ასევე გერმანიაში – 10 პროცენტით, იტალიაში – 7 პროცენტით. ევროპის სხვა მდიდარი ქვეყნების მოსახლეობა კი, მართალია, გაიზრდება, მაგრამ ამ ზრდის ძირითადი წყარო იმიგრაცია იქნება. მაგალითად, 2050 წლისათვის დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა 60 მილიონიდან გაიზრდება 69 მილიონამდე, მაგრამ მოსახლეობის ეს ზრდა ძირითადად იმიგრანტი მოსახლეობის ხარჯზე მოხდება.

2050 წლისათვის მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობა 1,2 მილიარდის დონეზე დარჩება, თუმცა იგი შემცირდებოდა, აქ რომ აზიიდან და აფრიკიდან იმიგრანტები არ ჩამოდიოდნენ – ნათქვამია გაეროს მოხსენებაში. ამასთან, მასიური იმიგრაციის ის დონე და ტემპები, რომელიც მსოფლიოს ელოდება დაახლოებით მომავალი ორმოცი წლის მანძილზე, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

70-იან წლებში მდიდარი ქვეყნები წელიწადში დაახლოებით მილიონ ადამიანს იღებდნენ. უახლოეს 43 წელიწადში იმიგრაცია იმ დონეს თითქმის ორჯერ გადალახავს და წელიწადში 2,3 მილიონამდე გაიზრდება. ამ ცვლილებებს გამოიწვევს ცხოვრების დონეთა განსხვავება მსოფლიოს ღარიბი და მდიდარი ქვეყნების მოსახლეობას შორის, რომელიც ამჟამად არსებობს და რომლის აღმოფხვრა ნაკლებ სავარაუდოა.

2050 წლისათვის მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა იქნება ინდოეთი, სადაც 1,7 მილიარდ მოსახლეზე მეტი იცხოვრებს. პაკისტანში იცხოვრებს 292 მილიონი ადამიანი და ამ მხრივ იგი მსოფლიოში მეხუთე ადგილს დაიკავებს. მეექვსე ადგილზე იქნება ნიგერია, თავისი 289 მილიონი მოსახლეობით. უგანდის მოსახლეობა გაიზრდება 93 მილიონამდე და იგი გადააჭარბებს უფრო მჭიდროდ დასახლებულ მეზობლებს – კენიასა და ტანზანიას.

მსოფლიო მოსახლეობის ასეთი ზრდა დიდი მასშტაბებით ნიადაგის დეგრადაციას გამოიწვევს და ღარიბი ქვეყნების წყლის მარაგებს შეამცირებს [3, გვ. 5-8].

სოციალურ პრობლემათაგან განვითარებად ქვეყნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **ჯანდაცვის** პრობლემა. აღნიშნულ ქვეყნებში ჯანდაცვა სუსტად არის განვითარებული და რომ არა, განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი დახმარება, ეს პრობლემა კიდევ უფრო მეტად გამწვავდებოდა. საჭიროა ამ სფეროში მეტი ფულადი სახსრების ჩადება მისი პროგრამისა და რეფორმის განსახორციელებლად ამ განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ხალხის საკეთლდღეოდ.

განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთ გლობალურ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს **განათლების პრობლემა**. დღესდღეობითაც კი მილიონობით ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია და ვერღებულობს სათანადო განათლებას. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მის შემაფერხებელ ფაქტორს, გარკვეულწილად რელიგია წარმოადგენს.

ის, რაზეც unisef-ი იუწყება, დამაიმედებლად ნამდვილად არა ჟღერს – განსაკუთრებით გოგონებისთვის და

ყურადღებაც ამის გამოა მათზე გამახვილებული. თავად განსაჯეთ: სკოლაში არ დადის 121 მილიონი ბავშვი, მათ შორის ბიჭები და გოგონები. მაგრამ, გოგონები 9 მილიონით მეტნი არიან, ანუ მსოფლიოში, განვლილი წლის მანძილზე, მოპოვებული ინფორმაციით, 65 მილიონი გოგონა არ სწავლობს..

Unisef-ს საკმაოდ დრამატული დასკვნა გამოაქვს (ერთი შეხედვით, შესაძლოა, მეტისმეტად დრამატულიც). თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა და მომდევნო ორი წლის მანძილზე საგრძნობლად არ იმატა გოგონების დაწყებითი განათლების მიღების მაჩვენებელმა (ამ მხრივ მძიმეა ვითარება უწინარეს ყოვლისა აზიასა და აფრიკის სამხრეთ რეგიონებში) – განვითარებად ქვეყნებში სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

გამოდის, რომ ქალტა განათლებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მთელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.

